ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი

დანართი N2

სსიპ წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ იმერის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თამარ აბაზაძე

წევრები:

სოფიო გაგოშიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

თამარი ოღლიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

იოსები ლაზარაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ნინო ბლუაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

მადონა ბობოხიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

მარინე ჩიტაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

მარინე კვარაცხელია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

მზია დადვანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

თამარ ზედგენიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ხათუნა ბენდელიანი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ იმერის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	243124579

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	წალკის მუნიციპალიტეტი
იურიდიული მისამართი	წალკის რაიონი სოფელი იმერა
ფაქტობრივი მისამართი	წალკის რაიონი სოფელი იმერა
საფოსტო ინდექსი	530
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	სკოლას არ აქვს ვებ-გვერდი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	skolaimera@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577604985

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	**MES 7 23 0001101239 07.09.2023**

ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	**25-26 ოქტომბერი 2023 წელი**

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	წალკის მუნიციპალიტეტი სოფელი იმერა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	წალკის მუნიციპალიტეტი სოფელი იმერა

3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	წალკის მუნიციპალიტეტი სოფელი იმერა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სსიპ წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ იმერის საჯარო სკოლაში 2023 წლის 25 და 26 ოქტომბერს, განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს. მასალებში ფიქსირდებოდა შეუსაბამობა, კერძოდ სკოლის მიერ წარმოდგენილი რიგ დოკუმენტებზე ფიქსირდებოდა სხვა სკოლის რეკვიზიტები, რის საფუძველზეც ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე ვიზიტის დროს გამოითხოვა შესაბამისი დოკუმენტაცია. სკოლის დირექციამ სრულად გაიზიარა ექსპერტების მითითებები,აღნიშნა, რომ ადგილი ქონდა ტექნიკურ ხარვეზს. სასკოლო საზოგადოების სრული შემადგენლობით თავიდან იქნა განხილულ დოკუმენტაციები და მოხდა მათი მოდიფიცირება სასკოლო საჭიროებიდან გამომდინარე. გასწორებული დოკუმენტაცია გადაეგზავნა ხარისხის მართვის სამსახურს მტკიცებულების სახით. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, ადგილზე დათვალიერების საფუძველზე შეისწავლეს სკოლის მატერიალური რესურსი. საგნობრივი ექსპერტები გაესაუბრნენ პედაგოგებს და მოიპოვეს საჭირო ინფორმაცია საგნობრივ პროგრამებთან დაკავშირებით. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა დაათვალიერა სასწავლო გარემო. ვიზიტის ბოლოს, ექსპერტებმა, სკოლის წარმომადგენლებს მიაწოდეს ინფორმაცია იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის პერიოდში გამოიკვეთა

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
სსიპ წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ იმერის საჯარო სკოლაში შესვლისთანავე თვალში საცემია ერთ გუნდად შეკრული პერსონალი, სუფთა და მოვლილი გარემო, დაუზიანებელი ინვენტარი, გამწვანებული ეზო და მოსწავლეთა ხელით შესრულებული პროდუქტები და ვიზუალური მასალა.
აღსანიშნავია, რომ ამ გარემოს ქმნის ხელმძღვანელი, პროგრამის მთელი აკადემიური და ადმინისტრაციული გუნდი, რომელთა მიზანია განათლების პროგრამის წარმატება და აღზარდონ ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება დაცვისადმი მზრუნველი, ჯანმრთელი ცხოვრების წესის მიმღები და მისი დამკვიდრებისადმი მებრძოლი,სამეწარმეო უნარ-ჩვევებით აღჭურვილი პიროვნება.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ **შეესაბამება** ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ **შეესაბამება** ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ **შეესაბამება**

	☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: **60**	**ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება** ☒	**აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ექსპ ერტთა ჯგუფის შეფასებით ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების სამივე საფეხურზე კურიკულუმები შეფასდა სრულ შესაბამაისობაში

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 1.2.1.3.	*სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, სკოლამ უზრუნველყოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება სტრატეგიულ გეგმაზე დაყრდნობით, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში. 2023.29.12.*
ინდიკატორი N 1.2.1.4.	*სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია,ერთწლიან სამოქმედ გეგმაში განსაზღვროს შესრულების რეალისტურ*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

,

	ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია;	ვადები, პასუხისმგებელი პირები და შესაბამი რესურსები, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრუ ვადაში 2023.29.12.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმი განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყო იდენტიფიცირებული პირების მიერ კანონმდებლობი დადგენილი ცნობების მოპოვება
ინდიკატორი N3.3.1.2	იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმი განსაზღვრულ ვადაში შექმნას ხარისხ უზრუნველყოფის პოლიტიკა. 2024.29.02.
ინდიკატორი N3.5.1.1.	იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, • უზრუნველყოს ვაკანსიის განთავსე ბიბლიოთეკარის პოზიციაზე და შესაბამი კადრის შერჩევა; მოახდინოს შესაბამისობ გეგმით განსაზღვრულ ვადაში. • წიგნადი ფონდის აღრიცხვიანობ მოწესრიგება; • ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის შემუშავებ მოახდინოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრუ ვადაში. (2024წლის 31.03.)

ინდიკატორი N3.6.2.1.	*სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმი* *განსაზღვრულ ვადაში შეიმუშავოს საქმის წარმოებ* *წესი*
ინდიკატორი N3.6.3.5.	*ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი ვერდიშეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის სახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, როგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე რიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი ალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი ოკუმენტი), სასწავლო პროცესთან კავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, სწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, საჩივრების მექანიზმები, ფინანსური ვგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და მოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და კონტაქტო ინფორმაცია.*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია , უზრუნველყოს ვ* *გვერდზე სკოლის სრულყოფილი ინფორმაცი* *განთავსება, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრუ* *ვადებში (2023 წ 29. 12)*
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* *(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*

ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N.3.1.2.1.	*პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;*	*სასურველია სკოლამ შეიმუშავოს ადამიანური რესურსი მართვის ერთიანი მექანიზმი*
ინდიკატორი N.3.3.1.3	*სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;*	*სასურველია სკოლამ შეიმუშავოს ცალკე დოკუმენტის მოსწავლის, მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის საჩივრის განაცხადის ფორმა და განხილვის პროცედურა.*
ინდიკატორი N.3.3.2.1	*სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;*	*სასაურველია სკოლამ გაწეროს მართვის პროცესებთან დაკავშირებული მექანიზმები*
ინდიკატორი N.3.3.2.2	*უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.*	*სკოლამ სასურველია შეიმუშავოს პერსონალის/სკოლის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი,*
ინდიკატორი N3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*სასურველია ა) სკოლამ დირექტორის ბრძანებით განსაზღვროს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები;* *ბ) სკოლაში შექმნას მრჩეველთა საბჭო;*

ინდიკატორი N3.4.1.2	*სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;*	*სასურველია განისაზღროს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლ დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი;*
ინდიკატორი N3.5.1.5	*სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).*	*სასურველია სკოლამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის განთავსება შესაბამის ოთახში სადაც ფუნქციონირებს სველი წერტილი და შესაძლებელია გამწოვ საშუალების დამონტაჟება.*
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი N4.2.1.1..	*სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;*	*სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება მოსწავლის მიღების წესი , თუმცა სასურველია დაწესებულებამ, შექმნას მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობის ერთიანი წესი*
ინდიკატორი N4.2.2.1.	*კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;*	*სკოლის მისიიდან გამომდინარე სასურველია სკოლამ დაგეგმოს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიულიორიენტაციის გაკვეთილები.*

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი*	*რჩევა*
ინდიკატორი 2.2.1.5.	**დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა** *სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;*	**მათემატიკის** კათედრას მიეცა რჩევა, კურიკულუმში თემები გადააწყოს ისე,რომ კლას-კომპლექტებში სწავლა-სწავლების პროცესში შესაბამისი კლასების თემატიკა ემთხვეოდეს ერთმანეთს,რაც მოსწავლეებს დაეხმარება მიღებული ცოდნის განმტკიცებაში ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში.ასევე,გადახედოს

ინდიკატორი 2.2.2.1.		ათემატიკის კურიკულუმში წარმოდგენილ თემატურ ბლოკებს ა საჭიროების შემთხვევაში, ჩაშალოს თემებად, მაგალითად: ექვსე კლასის რიცხვების თემატურ ბლოკში სამი დიდი თემა უშავდება და ეს მიმართულება საჭიროებს სამ თემად ჩაშლას **ახელმწიფო ენის** კათედრის წარმომადგენლებს მიეცათ რჩევა, ყველა კომპლექსურ დავალებას დაურთონ პირობები რიტერიუმებით, რათა გაირკვეს, რამდენად სწორადაა ანსაზღვრული ქვეცნება/ქვესაკითხები. ასევე, ლას-კომპლექტში შემავალ კლასებს კომპლექსურ ავალებათ მიეცეთ ერთი და იმავე ტიპის დავალება. **ელოვნების საგანში** I-VI კლ. აუცილებლად მიეთითოს იემის ფარგლებში რა საკითხს ამუშავებს პედაგოგი. ასევე ადაიხედოს და დაკონკრეტდეს კონტექსტ მაგალითის გრაფა. **მუსიკის საგანში** I-IVკლ.აუცილებლად მიეთითოს თემის ფარგლებში რა საკითხს ამუშავებს პედაგოგი. ასევე მნიშვნელოვანია მიეთითოს სახელმძღვანელოს გამომცემლობა.რადგან სკოლას დაწყებით საფეხურზე აქვს კლასკომპექტები, **კომპიუტერული ტექნოლოგიების** საგანში მიეცეს რჩევა, რომ კლასკომპლექტის შემთხვევაში ორივე კლასისთვის მუშავდებოდეს ერთი და იგივე მიმართულება.
ინდიკატორი 2.2.2.1	***დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*** ***სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი***	***სასურველია*** *კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებ* *გამდიდრება, მათი მორგება კლასკომპლექტის სპეციფიკა* *დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებით. მაგალითად, საგ* *ჩვენი საქართველოს ფარგლებში, თუ კი მე-6 კლასელისთვ*

ინდიკატორი 2.2.1.2; ***ინდიკატორი 2.2.2.1;*** ***ინდიკატორი2.2.2.2.***	***წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;*** ***ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;***	*კომპლექსურ დავალებად განსაზღვრული იქნება ოფიციალურ* *წერილის მომზადება გურიაში მეურნეობის განვითარების შესახ* *მაშინ, ალბათ, სწორი იქნება იმავე კლასკომპლექტის მე-* *კლასელისთვის სამეგრელოს ან იმერეთის (გააჩნია, მე-5 კლას* *პროგრამიდან, გურიის პარალელურად რომელი თემის განხილ* *მოუწევს მასწავლებელს) შესახებ იგივე დავალების მიცემა. ასე* *მიდგომითშესაძლოა კარგი შედარებითი ანალიზიც გამოვიდეს, რ* *გეგმიურად გათვალისწინებული კონტექსტ-მაგალითებ* *განხილვასთან ერთად შინაარსების უფრო სიღმისეულად გააზრებ* *შეუწყობდა ხელს. ასევე, **მნიშვნელოვანია** კლასგარე* *აქტივობების სახით ესგ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემა* *სასკოლო პროექტის დაგეგმვა-განხორციელება-ანგარიშგება.*
ინდიკატორი N.2.2.1.3. *ინდიკატორი N 2.2.1.4.* *ინდიკატორი N2.2.1.5.*	***დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*** ***სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.***	***სასურველია** კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებ* *გამდიდრება და, ასევე, კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-* *ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე სასკოლო პროექტ* *დაგეგმვა-განხორციელება, ისე, რომ მოსწავლეებს საშუალ* *ჰქონდეთ მონაწილეობა მიიღონ პროექტის მართვასა* *განხორციელებული აქტივობების რეფლექსიაში.*

ინდიკატორი N 2.2.2.3.	**დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა** **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;**	*ცოდნის კონსტრუირების საფეხურების დეკლარატიული ცოდნიდან პირობისულ ცოდნამდე მისასვლელი ნაბიჯებისა და ჰოლისტურად შეფასების უზრუნველყოფისთვის სასურველია თითოეული კომპლექსური დავალებისთვის განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა და განამვითარებელი კომენტარების შესაბამისი სტრუქტურის (დაზუსტება, წახალისება, რჩევა) დაცვით გაწერა.*

ინდიკატორი N.2.3.1.1.	**დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	*სასურველია აღნიშნული პუნქტი ცალკე უფრო მკაფიოდ გამოიყოს მეთოდოლოგიის დოკუმენტში და უფრო მეტად დაკონკრეტდეს მონიტორინგისა და შეფასების პრინციპები, მიმართულებები, ფორმატი, ვადები და ინსტრუმენტები.*
ინდიკატორი N.2.3.1.1.	**დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა** **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;**	*სასურველია სკოლას იმის დასადგენად მონიტორინგისა და შეფასებ სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულ „დასჯა-წახალისებად“, თუ მხარდაჭერის მექანიზმად ჰქონდ კვლევის პრაქტიკა ინტერვიუს ან ფოკუს-ჯგუფის ფორმატში.*

ინდიკატორი N.2.2.1.1. *ინდიკატორი2.2.1.2.* *ინდიკატორი 2.2.2.1.* *ინდიკატორი 2.2.2.2.*	**საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა** *ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;* *სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;*	**სასურველია** კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებით გამდიდრება, მათი მორგება კლასკომპლექტის სპეციფიკაზე დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებით. მაგალითად, საგან გეოგრაფიის ფარგლებში, თუ კი მე-7 კლასელისთვის კომპლექსურ დავალებად განსაზღვრული იქნება საჰარის უდაბნოს შესწავლა კვლევის ანგარიშის სახით, მაშინ, ალბათ, სწორი იქნება იმავე კლასკომპლექტის მე-8 კლასელისთვის ატაკამას შესახებ იგივე დავალების მიცემა. ასეთი მიდგომით შესაძლოა კარგი შედარებითი ანალიზიც გამოვიდეს, რაც გეგმიურად გათვალისწინებული კონტექსტ-მაგალითების განხილვასთან ერთად შინაარსების უფრო სიღრმისეულად გააზრებას შეუწყობდა ხელს. ასევე, **მნიშვნელოვანია** კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე სასკოლო პროექტის დაგეგმვა-განხორციელება-ანგარიშგება. **მათემატიკის** კათედრას მიეცა რჩევა, გადახედოს კურიკულუმში წარმოდგენილ სამიზნე ცნებებს და ქვეცნებები მიუსადაგოს ამ სამიზნე ცნებებს, რაც მათ დაეხმარება თემატური ერთეულის დაგეგმვაში,ხოლო მოსწავლეებს - გრძელვადიანი მიზნების ჩამოყალიბება-განვითარებაში. **სახელმწიფო კათედრის** წარმომადგენლებს მიეცათ რჩევა, ყველგან მიუთითონ ქვეცნებები/ქვესაკითხები, ასევე, დავალებებსდაურთონ პირობები კრიტერიუმებით, რათა გაირკვეს,რამდენად სწორადაა განსაზღვრული ქვეცნება/ქვესაკითხები (იქ, სადაც მითითებულია). კლას-კომპლექსტში მოსწავლეებს შესთავაზონ მსგავსი ტიპის კომპლექსური დავალებები. **მუსიკის** კურიკულუმში VII-VIII-IX კლ. არასწაორად არის შეტანილი საკითხი. რადგან საკითხი წერია კონტექსტ მაგალითის გრაფაში.რაც არასწორია. საკითხი უნდა ჩაიწეროს სპეციალურად

		საკითხისთვის გამოყოფილ გრაფაში.**ხელოვნების** კურიკულუმში თითოეული თემისათვის აუცილებელია ასევე საკითხების დამატება.
ინდიკატორი N 2.2.1.3. ინდიკატორი **N 2.2.1.4.** ინდიკატორი **N 2.2.1.5**	**საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა** ***სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.***	**სასურველია** კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებით გამდიდრება და, ასევე, კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე სასკოლო პროექტის დაგეგმვა-განხორციელება, ისე, რომ მოსწავლეებს საშუალება ჰქონდეთ მონაწილეობა მიიღონ პროექტის მართვასა და განხორციელებული აქტივობების რეფლექსიაში.
ინდიკატორი N.2.2.2.3.	**საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა** ***შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;***	ცოდნის კონსტრუირების საფეხურების დეკლარატიული ცოდნიდ პირობისულ ცოდნამდე მისასვლელი ნაბიჯებისა და ჰოლისტურ შეფასების უზრუნველყოფისთვის **სასურველია** თითოეულ კომპლექსური დავალებისთვის განმავითარებელი შეფასებ რუბრიკების შექმნა და განამვითარებელი კომენტარების შესაბამი სტრუქტურის (დაზუსტება, წახალისება, რჩევა) დაცვით გაწერა.

ინდიკატორი N 2.3.1.1	**საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	**სასურველია** აღნიშნული პუნქტი ცალკე უფრო მკაფიოდ გამოიყოს მეთოდოლოგიის დოკუმენტში და უფრო მეტად დაკონკრეტდეს მონიტორინგისა და შეფასების პრინციპები, მიმართულებები, ფორმატი, ვადები და ინსტრუმენტები.

ინდიკატორი N.2.3.1.2.	**საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა** *მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;*	**სასურველია** სკოლას იმის დასადგენად მონიტორინგისა (შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულ „დასჯა-წახალისებად", თუ მხარდაჭერის მექანიზმად ჰქონდ კვლევის პრაქტიკა ინტერვიუს ან ფოკუს-ჯგუფის ფორმატში.

ინდიკატორი N.2.2.1.1. *ინდიკატორი N.2.2.1.2.* *ინდიკატორი N.2.2.2.1.* *ინდიკატორი N.2.2.2.2.*	**საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა** *სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;* *ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;*	**სასურველია** კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებით გამდიდრება და, ასევე, კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე სხვა სასკოლო პროექტების დაგეგმვა-განხორციელება-ანგარიშგება.
ინდიკატორი N 2.2.1.3. ინდიკატორი N 2.2.1.4. ინდიკატორი N 2.2.1.5	**საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა** *სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.*	**სასურველია** კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებით გამდიდრება და, ასევე, კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე სასკოლო პროექტის დაგეგმვა-განხორციელება, ისე, რომ მოსწავლეებს საშუალება ჰქონდეთ მონაწილეობა მიიღონ პროექტის მართვასა და განხორციელებული აქტივობების რეფლექსიაში.

ინდიკატორი N.2.2.2.3.	**საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა** ***შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;***	ცოდნის კონსტრუირების საფეხურების დეკლარატიული ცოდნიდ პირობისულ ცოდნამდე მისასვლელი ნაბიჯებისა და ჰოლისტურ შეფასების უზრუნველყოფისთვის **სასურველია** თითოეულ კომპლექსური დავალებისთვის განმავითარებელი შეფასებ რუბრიკების შექმნა და განამვითარებელი კომენტარების შესაბამ სტრუქტურის (დაზუსტება, წახალისება, რჩევა) დაცვით გაწერა.

ინდიკატორი N 2.3.1.1	**საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა** ***მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;***	**სასურველია** აღნიშნული პუნქტი ცალკე უფრო მკაფიოდ გამოიყოს მეთოდოლოგიის დოკუმენტში და უფრო მეტად დაკონკრეტდეს მონიტორინგისა და შეფასების პრინციპები, მიმართულებები, ფორმატი, ვადები და ინსტრუმენტები.
ინდიკატორი N.2.3.1.2.	**საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა** ***მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;***	**სასურველია** სკოლას იმის დასადგენად მონიტორინგისა ‹ შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულ „დასჯა-წახალისებად“, თუ მხარდაჭერის მექანიზმად ჰქონდ კვლევის პრაქტიკა ინტერვიუს ან ფოკუს-ჯგუფის ფორმატში.

ინდიკატორი N.2.3.1.2.	**საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა** *მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;*	**მათემატიკის** კათედრას მიეცა რჩევა, გადახედოს კურიკულუმში წარმოდგენილ სამიზნე ცნებებს და ქვეცნებები მიუსადაგოს ამ სამიზნე ცნებებს, რაც მათ დაეხმარება თემატური ერთეულის დაგეგმვაში,ხოლო მოსწავლეებს - გრძელვადიანი მიზნების ჩამოყალიბება-განვითარებაში. **სახელმწიფო კათედრის** წარმომადგენლებს მიეცათ რჩევა, ყველგან მიუთითონ ქვეცნებები/ქვესაკითხები, ასევე, დავალებებსდაურთონ პირობები კრიტერიუმებით, რათა გაირკვეს,რამდენად სწორადაა განსაზღვრული ქვეცნება/ქვესაკითხები (იქ, სადაც მითითებულია). კლას-კომპლექსტში მოსწავლეებს შესთავაზონ მსგავსი ტიპის კომპლექსური დავალებები. **ხელოვნების** კურიკულუმში თითოეული თემისათვის აუცილებელია საკითხების დამატება.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა შეფასებების საფუძველზე, სკოლის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, თავდპირველად, დასკვნის პროექტის თანახმად, რიგ სტანდარტებთან მიმართებით, შეფასდა როგორც არ „შეესაბამება“ (პირველი სტანდარტის -კომპონენტი 1.2.კომპონენტი; ინდიკატორი 1.2.1.3 და 1.2.1.4.მესამე სტანდარტის - კომპონენტი 3.1 ინდიკატორი 3.1.2.3.; 3.3. ინდიკატორი 3.3.1.2. 3.5 ინდიკატორი 3.5.1.1.; 3.6კომპონენტი ინდიკატორი 3.6.2.1;3.6.3.1.;3.6.3.4. და 3.6.3.5. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიგნებები და არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია შესასრულებელი სამუშაო ვადების გათვალისწინებით. ექსპერთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია სტანდარტების მიმართებაში, რის შედეგადაც განხორციელდა მათი მეტწილ შესაბამისობაში გადატანა.ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად, გაიზიარა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და ცვლილებები ასახა დასკვნაში. რეკომენდაცია გაიცა პირველი სტანდარტის 1.2.1.3 და 1.2.1.4. ინდიკატორის და მე-3 სტანდარტის 3.1.2.3.;3.3.1.2; 3.5.1.1;3.6.2.1.; 3.6.3.5.;ინდიკატორის მითითებულ ვადებში განხორციელებაზე. სკოლას მიეცა არაერთი რჩევა.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.1. სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია, შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, მისია და ხედვა შემუშავებულია სკოლის პრიორიტეტებზე დაყრდნობით

სსიპ - წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ იმერის საჯარო სკოლის მისიაა:

- აღზარდოს ინტელექტუალური, მაღალი ზნეობის მქონე, გამოკვეთილი მოქალაქეობრივი პოზიციის , სრულყოფილი პიროვნება.

- შექმნას შესაბამისი გარემო მოსწავლეთათვის თავისუფალი, შემოქმედი, ინტერკულტურული სამოქალაქო ცნობიერებისა და ტოლერანტობის ჩამოყალიბებისთვის.

- აღზარდოს ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება დაცვისადმი მზრუნველი ჯანმრთელი ცხოვრების წესის მიმღები და მისი დამკვიდრებისადმი მებრძოლი,სამეწარმეო უნარ-ჩვევებით აღჭურვილი პიროვნება.
- მოამზადოს მოსწავლეები საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციისთვის

სკოლის ხედვაა თანამშრომლობაზე და ურთიერთ პატივისცემაზე დამყარებული უსაფრთხო სკოლა, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეთა მაღალ მიღწევებსა და კონკურენტუნარიანი, დამოუკიდებელი, რეალიზებული წარმატებული მოქალაქეების

აღზრდაზე. ეს ყოველივე ხელს შეუწყობს მოსწავლეებში სამეწარმეო უნარჩვევების განვითარებას და მოსწავლეთა საერთშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციას.

სკოლის მთავარი ღირებულება თანამშრომლობით კულტურაზე დამყარებული ინკლუზიური გარემოა. განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობა, გამჭვირვალობა, მიუკერძოებლობა, თანამშრომლობა, ობიექტურობა , განვითარება და ინოვაციურობა.

2.სკოლა წარმოდგენილი მისიით და ხედვით განსაზღვრავს, რომ მისი დანიშნულებაა, შესძინოს მოსწავლეს ცოდნა და უნარები, რომელიც დაეხმარება მათ კრიტიკულად და შემოქმედებითად მიუდგნენ ნებისმიერ საქმიანობას, შექმნან რაიმე ღირებული , რაც გამოადგება საზოგადოებას, შემდგომ თაობას. სკოლა ხელს უწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება დაცვას.მოსწავლეზე ორიენტირებული აქტივობების დაგეგმვას, დემოკრატიული ფასეულობების მქონე მოქალაქის აღზრდას. სკოლის მატერიალურ- ტექნიკური ბაზა თავის მხრივ ხელს უწყობს უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის შექმნას.

ინდიკატორი 1.1.1.2 დაკმაყოფილებულია

3.სკოლის დირექტორის 2023 წლის 01.09 ბრძანებით N13 შექმნილია სკოლის ფილოსოფიის (მისია,ხედვა, ღირებულებები) და სტრატეგიული/ სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფი.ვიზიტის პერიოდში სკოლამ პრეზენტაციის სახით წარმოადგინა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებისთვის განხორციელებული აქტივობები. წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ მასწავლებლები და მშობლები, ერთობლივად შეიმუშავეს ხედვისა და ღირებულებები.

ინდიკატორი 1.1.1.3 დაკმაყოფილებულია

4..სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებისთვის შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა, სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტის პირველადი ვერსია გაუზიარეს სასკოლო საზოგადოებას. შედგა სასკოლო საზოგადოებასთან შეხვედრის ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ მასწავლებლები, მშობლები და სოფლის საკრებულოს წარმომადგენელი. აღნიშნული ოქმის საფუძველზე დგინდება, რომ სასკოლო საზოგადოება სრულად იზიარებს სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტის წარმოდგენილ ვერსიას და მზად არიან ითანამშრომლონ მათი შესრულებისთვის.**ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია**

5.სკოლის მისია გამოკრულია სკოლის ფოიეში. სკოლის მიერ წარმოდგენილია სკოლის ფილოსოფიის შემუშავების მეთოდოლოგია, რომლის შესაბამისად, სკოლა გეგმავს შემუშავებული სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გასაჯაროებას სკოლის ფეისბუქ გვერდზე.**ინდიკატორი 1.1.1.5 დაკმაყოფილებულია**

6.სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, კერძოდ, საჯარო რეესტრის ამონაწერიდან დგინდება, რომ სკოლის სახელწოდებაა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – **წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ იმერის საჯარო სკოლა,**რაც გამომდინარეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებიდან ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ''. დოკუმენტების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს **ინდიკატორი 1.1.1.6. დაკმაყოფილებულია**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის 2023 წლის 1 სექტემბრის ბრძანება N13 სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული / სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.
- სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული / სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შქმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N2 და N3

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1.სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2.სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3.სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ, წარმოადგინა სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია სტრატეგიული დაგეგმვის ხუთ ძირითადი ეტაპი: მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება/გაზიარების პროცესი; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება/გაზიარება/დამტკიცების პროცესი; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესი; მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცლილების შეტანის პროცესი; სტრატეგიული გეგმის ანგარიშის და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადების პროცესი. წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით, სკოლა ყველა ეტაპზე– შემუშავების, ინფორმაციის შეგროვების, გაზიარების, უკუკავშირის მიღებისა და შეთანხმების– რთავს დაინტერესებულ მხარეებს. ამრიგად, სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. **ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია**

2.სკოლამ წარმოადგინა სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშავებული შვიდ წლიანი (2023-2030) სტრატეგიული გეგმა, რომელიც შემუშვებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. შეთანხმებულია პედაგოგიურ საბჭოსთან და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლის სტრატეგიული გეგმა მოიცავს შემდეგ მიზნებს:

სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;

ადამიანური რესურსის განვითარება;

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;

უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;

სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;

მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;

ორგანიზაციული განვითარება;

ასევე მიზნის შესაბამის ამოცანებს და კორელაციაშია სკოლის მისია, ხედვასა და ღირებულებებთან.

ინდიკატორი 1.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3.ვიზიტის პერიოდში სკოლას არ წარმოუდგენია ერთ წლიანი სამოქმედო გეგმა. **ინდიკატორი 1.2.1.3 არ არის დაკმაყოფილებული.**

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა, რომ სკოლის სტრატეგიულ გეგმაზე დაყრდნობით შეიმუშვებს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმას და დასრულებული სახით წარმოადგენს 2023 წლის 29. 12.-ისთვის,

შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა მეტწილ შესაბამისობაში

ინდიკატორი 1.2.1.3 მეტწილ შესაბამისობაშია.

4.ვინაიდან სკოლას არ წარმოდგენია ერთწლიანი სამოქმედო გეგმა , ვერ ფასდება სკოლის შვიდწლიანი გეგმით დასახული მიზნები რამდენად შესრულებადია, გამომდინარე აქედან..**ინდიკატორი 1.2.1.4 არ არის დაკმაყოფილებული.**

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა, რომ განახლებული სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმას შეიმუშვებს და დასრულებული სახით წარმოადგენს 2023 წლის 29. 12.-ისთვის, რომელშიც განისაზღვრება სკოლის მიერ დასახული სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობების, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და რესურსები.

შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა მეტწილ შესაბამისობაში

ინდიკატორი 1.2.1.4 მეტწილ შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის 2023 წლის 15 სექტემბრის ბრძანება N29 დამტკიცებულია სკოლის მისია , ხედვა ღირებულებები;
- სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- სკოლის სტრატეგიული გეგმა 2023-2030;
- სკოლის სამოქმედო გეგმა 2023-2024

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მე-12 თავი მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. მონიტორინგი მოიაზრებს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე, შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. შეფასება გულისხმობს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას. სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების პროცესის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა;

ინდიკატორი 1.2.2.1. დაკმაყოფილებულია

2.სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ამიტომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება ვერ განხორციელდებოდა.

შესაბამისად, **ინდიკატორი ვერ ფასდება**

3.როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ამიტომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები ვერ ექნებათ გასაჯაროებული. შესაბამისად, **ინდიკატორი ვერ ფასდება**

4.სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ამიტომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეფასება ჯერ ვერ მოხდებოდა. ამდენად, **ინდიკატორი ვერ ფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა 2023-2030 წელი

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილი გარკვეული მასალების შესწავლით და რიგითი საკითხების დაზუსტების გზით დადგინდა, რომ სკოლის სტრუქტურა შედგება: დირექციისგან, აღმინისტრაციისაგან, ტექნიკური პერსონალისაგან, სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოსაგან. თითოეული რგოლის წარმომადგენელთნ დადებულია შრომითი ხელშეკრულება, სადაც ჩანს ფუნქცია-მოვალეობები. ასევე სკოლაში მოქმედებს ოთხი კათედრა: ქართული ენისა და საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრა;საბუნებისმეტყველომეცნიერების, მათემატიკისა და ისტ კათედრა;უცხოენების კათედრა;სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრა. არსებობს დისციპლინური კომიტეტი და მოსწავლეთა თვითმმართველობა. უნდა აღინიშნოს, რომ საჭიროების მიხედვით იქმნება სხვადასხვა კოლეგიური ორგანო, რომლებიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ საქმიანობას. მაგ.: მრჩეველთა საბჭო, ხარისხის მართვისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. სკოლას აქვს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, მასწავლებლის კარიერული წინსვლისა და ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება. თითოეული
ორგანიზაციული სტრუქტურული ერთეული ხელმძღვანელობს „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N448 ბრძანების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N06 ბრძანების, N167 ბრძანების, ასევე, სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. თანამშრომელთა უფლებამოსილებები გადანაწილებულია ასევე თითოეული თანამშრომლის შრომით ხელშეკრულებებში. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ახსნა-განმარტების შედეგად დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების და პირების ფუნქციები განსაზღვრულია, შესაბამისად, ყოველივე ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორი 3.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2.თანამშრომლების საქმიანობის ფუნქციები შრომითი ხელშეკრულების ნაწილია, რომელიც განსაზღვრავს თითოეული დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობებს, ყოველივე თავის მხრივ ხელს უწყობს სტრუქტურული ერთეულების და დასაქმებულების საქმიანობის განხორციელებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით დგინდება,

რომ სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორი 3.1.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024წ;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1.პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2.სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3.პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4.პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5.პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6.სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას არ აქვს ადამიანური რესურსის მართვის ერთიანი მექანიზმი გაწერილი, თუმცა მასალების გაცნობის შედეგად დაგინდა, რომ პერსონალის მართვის გარკვეული წესები და პირობები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილია:სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, დასვენების ხანგრძლივობა, შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი, ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შრომის პირობების დაცვის წესები,

წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი, მატერიალური პასუხისმგებლობა, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები, სამუშაოსთვის დამახასიათებელი მოთხოვნები. სკოლის პერსონალთან გაფორმებულია მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს შრომის კოდექსს. სკოლის მიერ ჩატარებული კონკურსების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის შედეგად დადგინდა, რომ ახალი მასწავლებლის მიღება ხორციელდება კონკურსის გზით teacherjobs.ge-ზე გამოცხადებით. საკვალიფიკაციო მოთხოვნები დადგენილია ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 21 3 მუხლი21 3 მუხლისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის''მოთხოვნათა შესაბამისად. დადგინდა, რომ პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

რჩევა: სასურველია სკოლამ შეიმუშავოს ადამიანური რესურსის მართვის ერთიანი მექანიზმი

ინდიკატორი 3.1.2.1. დაკმაყოფილებულია

2. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის/სკოლის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია სკოლაში დასაქმებული პირების ფუნქცია-მოვალეობები, უფლებები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებულია ახალი თანამშრომლის მიღებისა და სოციალიზაციის მექანიზმები, კერძოდ, ახალ თანამშრომელთან პერიოდული პროფესიული დიალოგი არსებული სირთულეების პრევენციის/მართვის მიზნით. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, დაწესებულება სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე დაწესებულება გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. შეფასების სისტემა ეფუძნება ზდასრულთა სწავლების კონცეფციას და ითვალისწინებს შემდეგ პრინციპებს: პატივისცემისა და აღიარების ატმოსფეროს შექმნა; აქტიური მონაწილეობის წახალისება; გამოცდილებაზე დაყრდნობა; კოლაბორაციული კვლევა-ძიება; სწავლა მოქმედებისთვის. შეფასება მოიაზრება, როგორც კონსტრუქციული უკუკავშირი განვითარებისთვის. პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგვისა და განხორციელებისას სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია თანამშრომელთა წახალისების და მათზე სახდელის დაკისრების წესები და პირობები. სხვადასხვა დისციპლინური გადაცდომისთვის გამოიყენება სხვადასხვა სახდელი. როგორიცაა: შენიშვნა, გაფრთხილება, საყვედური, სასტიკი საყვედური, ხელფასის დაკავება და სამსახურიდან განთავისუფლება. მასწავლებლის დისციპლინურ გადაცდომებს განიხილავს დისციპლინური კომიტეტი, ხოლო სხვა დასაქმებული პირების

შემთხვევაში სკოლის დირექტორი. სკოლის დირექტორი, დარღვევის სპეციფიკიდან გამომდინარე, უფლებამოსილია ნებისმიერი თანამშრომლის დისციპლინური გადაცდომის განხილვისთვის მიმართოს სკოლის დისციპლინურ კომიტეტს. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკა და იგი მზადაა ნებისმიერი გამოწვევისთვის

.ინდიკატორი 3.1.2.2. დაკმაყოფილებულია..

3.სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებულია ახალი თანამშრომლის მიღებისა და სოციალიზაციის მექანიზმები. დაწესებულებაში თანამშრომელთა შერჩევა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებზე დაყრდნობით. კომისიის წევრი ვალდებულია, კონკურსის ეტაპების დაწყებამდე წინასწარ განაცხადოს ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომელმაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს კანდიდატის ობიექტურად შეფასებასა და მის მიმართ გადაწყვეტილების მიუკერძოებლად გამოტანაში. ამ შემთხვევაში, კომისიის წევრი ვალდებულია, განაცხადოს თვითაცილება. შესაბამისად, ის ვერ მიიღებს მონაწილეობას იმავე ვაკანტურ პოზიციაზე წარდგენილი სხვა კანდიდატის შეფასებასა და მათ მიმართ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. თუ კომისიის წევრი არ განაცხადებს ზემოაზღნიშნული გარემოების არსებობის შესახებ, ხოლო აღნიშნულის შესახებ კომისიისათვის ცნობილი გახდება კონკურსის მიმდინარეობისას, კომისიის ამ წევრის მიერ კანდიდატის შეფასება არ იქნება გათვალისწინებული საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას დაწესებულება ვაკანტური პოზიციის განაცხადისას ეყრდნობა პერსონალის/სკოლის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი. შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით და კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს შერჩევის ეტაპების განხორციელებას. მასწავლებლის შერჩევა ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ დადგენილი წესით. განაცხადი ქვეყნდება საჯაროდ, მასწავლებლის ვაკანსიის ვებგვერდზე. მასწავლებლებთან გაფორმებულია, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N174/ნ (2019 წლის, 20 აგვისტო) ბრძანებით განსაზღვრული, სტატუსის შესაბამისი ხელშეკრულებები (უფროსი, წამყვანი). წარმოდგენილია კანონმდებლობის შესაბამისი ცნობები: ნასამართლეობის, ნარკოლოგიური შემოწმების, „სქესობრივი თავისუფლების და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და საქართველოს მთავრობის N463 დადგენილი „უფლების ჩამორთმევის შესახებ“. წარმოდგენილი მასალების შესწავლით შეიძლება დავასკვნათ, რომ პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით. სკოლაში დასაქმებულ ორ პერსონალს არ ჰქონდა წარმოდგენილი სრულყოფილად კანონმდებლობის შესაბამისი ცნობები

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა, რომ სკოლაში დასაქმებული იდენტიფიცირებული პირების მიერ კანონმდებლობით დადგენილი ცნობების წარმოდგენას უზრუნველყოფს 2023 წლის 10.12 სთვის.

შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა მეტწილ შესაბამისობაში

ინდიკატორი 3.1.2.3 მეტწილ შესაბამისობაშია.

4. სკოლაში დასაქმებულია დირექტორი, დირექტორის მოადგილე, მოსწავლეთა უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, ბუღალტერი, საქმისმწამოებელი, ბიბლიოთეკარი, საინფორმაციო მენეჯერი, ექთანი, დამლაგებელი. სკოლაში სულ 15 მასწავლებლია, მათ შორის 6 პედაგოგი წამყვანის სტატუსის მქონეა. პედაგოგების კვალიფიკაცია დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტაციით: დიპლომი, სერტიფიკატები. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. ყველასთან გაფორმებულია ხელშეკრულება კანონმდებლობის დაცვით, მათი პოზიციისა და სსიპ წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ იმერის საჯარო სკოლის პერსონალის/სკოლის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობის დოკუმენტში აღწერილი საკვალიფიკაციო მიოთხოვნების შესაბამისად. **ინდიკატორი 3.1.2.4 დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლაში მართვის პოლტიკა და ორგნიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობით და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც დასტურდება თანამშრომელთა მიღების პროცედურებით, კონკურსის პირობებიდან გამომდინარე საკონკურსო კომისიების მუშაობით, წარმომადგენლობითი პრინციპით შექმნილი სამუშაო ჯგუფებით, სკოლაში შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარებისა და კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიებში აღწერილი თანამშრომლობითი პროცესებით. სკოლას სტრუქტურისა და პოზიციების შესაბამისად პერსონალის/სკოლის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობის დოკუმენტით განაწილებული აქვს პერსონალის ანგარიშვალდებულების სისტემა. გუნდურად მუშაობენ და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში თანამშრომლობენ კათედრები, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ეფუძნება მონაწილეობის პრინციპს – დაწესებულება უზრუნველყოფს შესრულებული სამუშაოს შეფასების პროცესში პერსონალის სრულ ჩართულობას. **ინდიკატორი 3.1.2.5 დაკმაყოფილებულია..**

6.სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ძირითადი ამოცანაა დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა და რეალიზება. აღნიშნული დოკუმენტის მე-8 მუხლში „თანამშრომელთა მოტივაცია“ გაწერილია მასწავლებელთა წახალისების მატერიალური და არამატერიალური ფორმები, როგორიცაა: მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოება; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. სკოლის შინაგანაწესის მე-10 მუხლში მოცემულია დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი. კათედრის მუშაობის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და

პრობლემების გადაჭრის გზების ძიებაა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. **ინდიკატორი 3.1.2.6 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პერსონალის/სკოლის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი;
- სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- სკოლის შინაგანაწესი;

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

0 შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის მუშაობის შეფასების წესი, რომელიც მოიცავს სკოლის ყველა ერთეულის შეფასების წესს და პერიოდულობას. შეფასების წესს თან ერთვის გაკვეთილის შეფასების რუბრიკა. სხვა ერთეულების შეფასებისთვის კი მითითებულია დაკვირვების ობიექტი/ობიექტები. ამავე წესით განსაზღვრულია ახალი თანამშრომლის სოციალიზაციის მექანიზმები, რომელთა შორისაა პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება სხვადასხვა გზით და გამოვლენილი პროფესიული საჭიროებების შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა. სკოლის პროფესიული განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგ საკვანძო პრინციპებს: პროფესიული განვითარება, როგორიც ყოველდღიური, მიმდინარე პროცესი; შეფასება, როგორც კონსტრუქციული უკუკავშირი განვითარებისთვის; სასკოლო საზოგადოების ურთიერთნდობა, როგორც განვითარების უპირობო საფუძველი. სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია ხარისხის მართვის სამსახურის მუშაობა მმართველობითი და ძირითადი პროცესების შეფასების მიზნით. ხარისხი მართვის სამსახური შეფასებას ახორციელებს პროცესის დოკუმენტზე დაყრდნობით და გასცემს რეკომენდაციებს, პროცესის განხორციელების პრაქტიკის გაუმჯობესების ან/და პროცესის მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ. შემოწმების საფუძველზე სამსახური ადგენს დასკვნის პროექტს რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: ა) შემოწმების საგანი და ფარგლები; ბ) შემოწმების განხორციელების პერიოდი; გ) ინფორმაცია შემოწმების განხორციელების პროცესის შესახებ; დ) შემოწმების ფარგლებში გამოვლენილი მიგნებები; ე) შეუსაბამობებისა და ხარვეზების გამოსწორების რეკომენდაციები და ვადები; ვ) საჭიროების შემთხვევაში სხვა ინფორმაცია და მტკიცებულებები. დასკვნის პროექტი ეგზავნება დაკვირვების ობიექტს და ემსახურება ხარისხის გაუმჯობესებას.დირექტორი და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი აფასებს მათ დაქვემდებარებაში არსებულ პირებს მათი სამუშაო აღწერილობის შესაბამისად. **ინდიკატორი 3.2.1.1. დაკმაყოფილებულია**

2 სკოლამ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის თანახმად პერსონალის საჭიროების გამოვლენაზე პასუხისმგებელია სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. შემოწმებისათვის შეირჩევა სამსახურის მიერ წინასწარ შედგენილი შესამოწმებელი ობიექტი, შეფასება განხორციელდება კითხვარის საფუძველზე, რომელსაც ავსებენ პროცესზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები. ხარისხის მართვის სამსახური დირექტორთან შეთანხმებული ერთი ან რამდენიმე რისკ-ფაქტორის გათვალისწინებით, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ახორციელებს შესამოწმებელი პროცესების/კურიკულუმების იდენტიფიცირებას, რის საფუძველზეც ადგენს პროცესების/პროგრამების შემოწმების წლიურ სამოქმედო გეგმას, რომელიც მტკიცდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. შემოწმების საფუძველზე სამსახური ადგენს დასკვნის პროექტს, რომელიც მოიცავს შემოწმების ფარგლებში გამოვლენილ მიგნებებს, შეუსაბამობებისა და ხარვეზების გამოსწორების რეკომენდაციებსა და ვადებს. სკოლის

პერსონალის/სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობის დოკუმენტის თანახმად, მონიტორინგის საფუძველზე ანალიზის გაკეთების და გაუმჯობესების მექანიზმების დაგეგმვის ვალდებულება ეკისრება სკოლის დირექტორის მოადგილეს.

ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3.სკოლაში შექმნილია ხარისხის მართვის სამსახური, რომელიც აფასებს რა თითოეულ მასწავლებელს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს, აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს. სკოლაში დანერგილია კრიტიკული მეგობრის კულტურა, საჭიროებისამებრ მასწავლებლები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილზე და გასცემენ განმავითარებელ ზეპირი უკუკავშირს. სკოლის 2023-2030 სტრატეგიულ გეგმაში გათვალისწინებული აქვს მასწავლებლის პროფესიული ზრდის ხელშემწყობი ამოცანები, ხოლო ერთწლიან სამოქმედო გეგმაში მისი შესაბამისი აქტივობები.

ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლას, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილი აქვს სასკოლო საზოგადოებაში ახალი თანამშრომლის სოციალიზაციის პროცედურები, გაწერილია აქტივობები, პასუხისმგებელი პირი/პირები და ვადები. აღნიშნული გეგმის მიხედვით სკოლას განსაზღვრული აქვს ახალი თანამშრომლის წარდგენა, მისი საკომუნიკაციო ჯგუფებში დამატება, სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების, სკოლის რიტუალების და კულტურის გაცნობა, მისი პროფესიული საჭიროებების შეფასება და მხარდაჭერა.

ინდიკატორი 3.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5.პერსონალის წახალისების სახეები და გამოყენების წესი რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით . სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-8 მუხლში გაწერილი აქვს თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლების პროცედურები. სკოლის დანაკლისიანი ბიუჯეტიდან გამომდინარე, წარმოდგენილ სკოლის ბიუჯეტის პროექტში ამ ეტაპზე არ არის გათვალისწინებული თანამშრომელთა ფულადი პრემია. სკოლის შინაგანაწესში წახალისებულია კლასის დამრიგებლის/მშობლის ინიციატივა მოსწავლეთა ექსკურსიის მოწყობის მიზნით. **ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პერსონალის მუშაობის შეფასების წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- შინაგანაწესი;

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის განვითარებისა და პედაგოგთა მხარდაჭერის ჯგუფის დებულება. რომლის თანახმად, სკოლაში პროცესების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის შიდა მექანიზმები ხორციელდება სკოლის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და გამოიყენება სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისების პერიოდული და სისტემური შეფასებისა და მუდმივი განვითარებისთვის. სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე და განავითარე ციკლს. **ინდიკატორი 3.3.1.1 დაკმაყოფილებულია**

2.სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები აღწერილია სკოლის ხარისხის განვითარებისა და პედაგოგთა მხარდაჭერის ჯგუფის დებულებაში.აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად სკოლის მმართველობითი პროცესებია: ა) სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლება;ბ)პედაგოგთა პროფესიულ განვითარებისათვის ხელშეწყობა; **სკოლას არ აქვს შემუშავებული სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი.**

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შემუშავებას უზრუნველყოფს 2024 წლის 29 .02. –სთვის.

ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და ინდიკატორი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.

ინდიკატორი 3.3.1.2. მეტწილ შესაბამისობაშია.

3.სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით არ აქვს შემუშავებული მოსწავლის, მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის საჩივრის განაცხადის ფორმა და განხილვის პროცედურა.თუმცა სკოლაში შემოსულ ყველა განაცხადზე ხორციელდება დირექციის მხრიდან დროული რეაგირება. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და შესაბამისი დისციპლინური სახდელები. დისციპლინური გადაცდომების განხილვის მიზნით სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედის თანაბარი რაოდენობით მასწავლებელი, მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე, ხოლო სამეურვეო საბჭო უფლებამოსილია, წესდებით გათვალისწინებული წესით დისციპლინური გადაწყვეტილებების შესახებ საჩივრები თავად განიხილოს ან შექმნას სააპელაციო კომიტეტი. სკოლასა და მშობელს შორის წარმოქმნილი დავის რეგულირება განხილულია სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

რჩევა: სასურველია სკოლამ შეიმუშავოს ცალკე დოკუმენტის მოსწავლის, მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის საჩივრის განაცხადის ფორმა და განხილვის პროცედურა.

ინდიკატორი 3.3.1.3 დაკმაყოფილებულია

4.სასკოლო საზოგადოების კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით სკოლას აქვს შინაგანაწესი, სკოლაში ფუნქციონირებს სკოლის სამეურვეო საბჭო, სკოლას ჰყავს დისციპლინური კომიტეტი, სკოლის ექთანი, თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი და სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა. სკოლას შემუშავებული აქვს „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლი კანონიერი უფლებების დაცვის“ დოკუმენტი, რომელიც იყოფა ორ ნაწილად: მოსწავლის და მოსწავლის მეურვის კანონიერი უფლებები და სკოლის პერსონალის კანონიერი უფლებები. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, მოსწავლეებისათვის მათი უფლებებისა და სკოლის მიერ დადგენილი წესების გაცნობას თითოეული კლასის დამრიგებელი

ახორციელებს მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ეს შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალიზაციით, სახელოვნებო/შემოქმედებითი მიდგომების გამოყენებით. დაუშვებელია მოსწავლისათვის უფლებებისა და წესების გაცნობა დოკუმენტზე ხელმოწერით, მოსწავლეში შიშის გრძნობის გაღვიძება, დასჯის შიშის შექმნა და სხვა. ინფორმაცია მოსწავლისა და მისი მეურვის უფლებების შესახებ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის ადმინისტრაციის ან კლასის დამრიგებლის მიერ ელექტრონულად ეგზავნება ყველა მოსწავლეს. თითოეული მოსწავლის მეურვესთან სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას, სადაც დეტალურადაა გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები. მოსწავლეებსა და მათ მეურვეებს ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებელი გააცნობს შინაგანაწესს, ასევე შინაგანაწესში შეტანილ ცვლილებებს ცვლილების შეტანიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. სკოლაში დასაქმებული თითოეული პირის შრომითი უფლებები დაცულია საქართველოს კანონმდებლობით. მასწავლებელთა და სკოლაში დასაქმებული დამხმარე პერსონალის შრომით, სოციალურ-ეკონომიკურ, სამართლებრივ უფლებებს დამატებით იცავს საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი. დოკუმენტს თან ერთვის საკანონმდებლო ნორმატიული აქტების ჩამონათვალი, რომლითაც რეგულირდება სასკოლო საზოგადოების კანონიერი უფლებები, შესრულების პერიოდის, პასუხისმგებელი პირისა და მტკიცებულების მითითებით. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორი 3.3.1.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება
- სკოლის დირექტორის ბრძანება N27 08.09..2023წ. საზოგადოებასთან ურთიერთობის წესის დამტკიცების შესახებ;
- შინაგანაწესი;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს გვერდი სოციალური ქსელში, სადაც პერიოდულად განათავსებს სკოლაში დაგეგმილი და მიმდინარე ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას და იღებს უკუკავშირს. თითოეული კლასის დამრიგებელს შექმნილი აქვს ფეისბუქ ჯგუფი, რომელშიც გაწევრიანებული არიან მოსწავლეთა მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები. ამ ჯგუფების დახმარებით, ასევე ხდება მშობლების ინფორმირება, გამოკითხვა და სხვა საჭირო აქტივობების განხორციელება. სკოლის ადმინისტრაცია აწყობს მიზნობრივ შეხვედრებს მშობლებთან სკოლაში მიმდინარე სიახლეების გაცნობის მიზნით. შეხვედრებზე ხდება მშობლების ინიციატივებისა და წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირება და ერთობლივად გადაჭრის გზების დასახვა. სკოლის მოსწავლეთა მშობლები მონაწილეობენ სკოლის სამეურვეო საბჭოს არჩევნებში. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს სკოლის ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით საკომუნიკაციო აქტივობების განხორციელების პირობებს, ცნობადობის ამაღლების ღონისძიებების ჩატარების გზებს, შიდა და გარე კომუნიკაციის მართვის პრინციპებს, საინფორმაციო საშუალებების (ვებ. გვერდი, ელ-ფოსტა, სოციალური მედიის არხები) მართვისა და განვითარების სტრატეგიებს. აღნიშნული წესი ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზისა და რეაგირების ფორმებს. თანამშრომლებისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად, სკოლის ვებ გვერდი, სოციალური ქსელები, ელექტრონული ფოსტა და სკოლის ღია სივრცეში საინფორმაციო დაფა, სადაც გამოიკვრება გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია; საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირის შედეგები გამოიყენება საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; პირადი საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ სკოლის დირექციას წერილობითი განცხადებით, რაზეც დირექციის მხრიდან იღებენ მყისიერ უკუკავშირს. აქედან გამომდინარე, სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები.

რჩევა: სასაურველია სკოლამ გაწეროს მართვის პროცესებთან დაკავშირებული მექანიზმები

ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია

2.მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ჩართულობა სკოლის მართვის ორგანოებში უზრუნველყოფილია მათი წარმომადგენლებით სამეურვეო საბჭოში, რომელიც არის უმაღლესი არჩევითი ორგანო და რომელთანაც ხდება სკოლისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების წარდგენა დასამტკიცებლად და/ან შესათანხმებლად. მოსწავლეთა არჩევითი ორგანოს, სკოლის სტრუქტურული ერთეულის, მოსწავლეთა თვითმმართველობის საშუალებით უზრუნველყოფილია მოსწავლის ჩართვა სკოლის მართვაში. მასწავლებელთა გაერთიანება - პედაგოგიური საბჭო მონაწილეობს სასკოლო ცხოვრების მთელ რიგ გადაწყვეტილებების მიღებაში, კათედრები - კათედრის დონზე გადაწყვეტილებების მიღების

პროცესში არიან ჩართული, დისციპლინური კომიტეტი კი განიხილავს დისციპლინურ გადაცდომებს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

რჩევა:სკოლამ სასურველია შეიმუშავოს პერსონალის/სკოლის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი, ინდიკატორი 3.3.2.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანება N27 08.09..2023წ. საზოგადოებასთან ურთიერთბის წესის დამტკიცების შესახებ;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი;
- კათედრის დებულება;
- მშობელთან შხვედრის ოქმიN1 2023.16.10.

შეფასება:

0 გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

0 შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მფლობელობაშია ორი მიწის ნაკვეთი 1. 9960კვ.მ ძველი სკოლის შენობა ნაგებობით 145,26კვ.მ საკადსტრო კოდიN და ახალი სკოლის ეზოს საერთო ფართი მიწის (უძრავი ქონების)საკადასტრო კოდი N 85.02.28.136 მიხედვით შეადგენს 9887კვ.მ 2023 წლის 30.01-ს მდგომარეობით. მასზე განთავსებულია სამი შენობა ნაგებობა N1 სკოლის შენობა 448 კვ.მ, შენობა ერთ სართულიანია; N2 დამხმარე ერთსართულიანი შენობა 114კვ.მ; N 3 საქვაბე 17,4 კვ.მ; ორი სპორტული მოედანი 527,27კვ.მ და 295,42 კვ.მ. ახალი სკოლის შენობა ექსპლუატაციაში შესულია 2021 წლიდან. სკოლის ტერიტორია შემოღობილია. სკოლას აქვს ერთი ძირითადი შესასვლელი და რამდენიმე სათადარიგო გასასვლელი. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი აღჭურვილია 8 ვიდეო სათვალთვალო კამერით. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისი სკოლის „ადამიანისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტით“. სკოლას გამოყოფილი ჰყავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. სკოლის პრაქტიკაა მასწავლებელთა მორიგეობა. სკოლის დაცვას უზრუნველყოფს დარაჯი. სკოლამ წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს დასკვნა სკოლის შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. ვიზიტის ეტაპზე სკოლას განხორციელებული ჰქონდა ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი, შენობის საევაკუაციო გზებზე/გასასვლელებში და ცეცხლმაქრების განთავსების ადგილებში გამოკრული იყო საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის ერთიანი სატელეფონო ნომერი „112; სკოლას ჰყავს ექთანი და შესაბამისად აღჭურვილი ექიმის კაბინეტი. ექთნის კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება N041/ნ/01-23/ნ-ით (2022 წლის 21 მარტი) განსაზღვრულ მოთხოვნებს.

რჩევა: ა) სკოლამ დირექტორის ბრძანებით განსაზღვროს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები;

ბ) სკოლაში შექმნას მრჩეველთა საბჭო;

ინდიკატორი 3.4.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი. კლასის დამრიგებლის ფუნქცია-მოვალეობებში გაწერილია დამრიგებლის ვალდებულება, დაეხმაროს მოსწავლეს სასკოლო გარემოში წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში. მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობებში გაწერილია საკუთარ გაკვეთილზე, კლასში, წესრიგის და დისციპლინის დაცვის ვალდებულება და მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე ზრუნვა; სკოლაში მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი. ბრძანებით დამტკიცებულია მორიგე მასწავლებელთა განრიგი. ასევე, განსაზღვრულია სკოლაში შემომომსვლელ პირთა აღრიცხვაზე პასუხისმგებელი პირი.

რჩევა:. განისაზღროს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი;

ინდიკატორი 3.4.1.2 დაკმაყოფილებულია.

3.სკოლა მცირეკონტიგენტიანია , სკოლაში დასაქმებული თითოეული პერსონალი ზრუნავს, კოლეგის, მოსწავლის და მშობლის ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნაზე. სკოლა სასწავლო წლის განმავლობაში სულ მცირე ორჯერ აწარმოებს მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას: ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ; დისკრიმინაციის წინააღმდეგ; ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ; ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით. სკოლა, საკუთარი ძალებით თუ სხვა ორგანიზაციების დახმარებით,ახორციელებს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: მშობლის როლი ბავშვის განათლებაში და აღზრდაში; შვილთან ეფექტური კომუნიკაცია; ძალადობა (მათ შორის ნაადრევი ქორწინება) და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე; ოჯახში ძალადობა და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე; ბულინგი, კიბერბულინგი და მათი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე; ჯანსაღი ცხოვრების წესი; სხვა საკითხები, რომლებიც უზრუნველყოფს კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობის ამაღლებას.

ინდიკატორი 3.4.1.3 დაკმაყოფილებულია

4.სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი. სკოლას მიეწოდება სუფთა წყალი. სკოლას ემსახურება 2 დამლაგებელი.სველ წერტილებში დაცულია პირადი ჰიგიენის დაცვისთვის შესაფერისი პირობები. პირადი ჰიგიენის საშუალებები განთავსებულია

იზოლირებულ საცავებში, რომელიც ნიავდება ბუნებრივი ვენტილაციით. ჰიგიენური პირობების დაცვა მიმდინარეობს, როგორც სკოლის შიდა, ასევე გარე პერიმეტრზე. სკოლაში სულ 4 სველი წერტილი, მათ შორის 1ადაპტირებული სველი წერტილი. სველ წერტილებში დაცულია ჰიგიენური ნორმები. სკოლის სანიტარულ ჰიგიენური კვანძები აღჭურვილია სათანადო საშუალებებით: ქაღალდის ხელსახოცები, თხევადი საპონი, ტუალეტის ქაღალდი, სადეზინფექციო ხსნარი, აეროზოლები და სხვა. სკოლის ექთანი ვალდებულია განახორციელოს სკოლის სანიტარიულჰიგიენური პირობების შესრულებაზე ზედამხედველობა. სკოლის დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პერსონალს მიაწოდოს ინფორმაცია დალაგების წესის, გამოსაყენებელი ხსნარების, დასუფთავების რეჟიმის, ნარჩენების მართვისა და სხვა დაკავშირებული დეტალების შესახებ. დირექციის მიერ ასევე გათვალისწინებულია სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება.

ინდიკატორი 3.4.1.4. დაკმაყოფილებულია

5.მოსწავლეთა პირადი საქმეები განთავსებულია სპეციალურად გამოყოფილ, დაცულ სივრცეში და მათზე წვდომა აქვთ საქმეთა მმართველსა და დამრიგებლებს. მოსწავლის მობილობის შემთხვევაში მოსწავლის პირადი საქმე ფოსტით გადაეგზავნება მიმღებ სკოლას. სკოლაში დაცულია სკოლის პესონალის პირადი საქმეები

ინდიკატორი 3.4.1.5. დაკმაყოფილებულია

6.სკოლაში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილი პირია საქმის მწარმოებელი , ფინანსურ საკითხებზე ბუღალტერი და სკოლის დირექტორი.სასკოლო საზოგადოება ითვალისწინებს, რომ დაუშვებელია სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაციის გაზიარება . პერსონალური მონაცემების გაცემა ხორციელდება მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის შეთანხმებისა და ხელმოწერის საფუძველზე. სკოლის კომპიუტერულ სისტემაში ჩართულია დაცვის მექანიზმი.

ინდიკატორი 3.4.1.6 დაკმაყოფილებულია

7.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას. სკოლის დამხმარე პროცესების შემოწმებისათვის შეირჩევა შესამოწმებელი ობიექტი, რომელთა შეფასება ხორციელდება წინასწარ შედგენილი კითხვარის საფუძველზე, რომელსაც ავსებენ პროცესზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები. შეფასების შედეგად ხორციელდება რეკომენდაციების შემუშავება.

ინდიკატორი 3.4.1.7 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სკოლის საკადასტრო გეგმა.;
- საღამრიგებლო პროგრამები;
- დასაქმებულთა პირადი საქმეები;
- სკოლის მიერ შემუშავებული სანიტარულ, ჰიგიენური ნორმების დაცვის მექნაზმი

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ იმერის საჯარო სკოლა, საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად, განთავსებულია 9887კვ.მ. ფართობზე ახლად აშენებულ შენობაში. სკოლის ფართი (საკლასო ოთახები, დერეფნები, ეზო, ბიბლიოთეკა და სპორტული მოედნები) იძლევა საშუალებას, მოსწავლეები სასწავლო პროცესში ჯეროვნად ჩაერთონ სხვადასხვა აქტივობაში, შესვენებებზე კი სრულფასოვნად დაისვენონ.სკოლაში არსებული 65 მერხი და სკამი მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისია, ყველა კლასში არის დაფა. სკოლის ფართი (საკლასო ოთახები, დერეფნები,ეზო,ბიბლიოთეკა, სპორტული მოედნები) იძლევა საშუალებას, მოსწავლეები სასწავლო პროცესში ჯეროვნად ჩაერთონ სხვადასხვა აქტივობაში, შესვენებებზე კი სრულფასოვნად დაისვენონ. სკოლა ფლობს და იყენებს 11 კომპიუტერს (6 მუშა მდგომარეობაშია, განთავსებულია კომპიუტერულ კლასში, რომელშიც განთავსებულია ასევე სკოლის ბიბლიოთეკა. აღსანიშნავია, რომ სკოლა მცირე კონტიგენტიანია მოსწავლეთა რაოდენობა კლასში არ აღემატება 6-ს), 3პრინტერს, 7 პროექტორს, 7 ლეფტოპს და 5 პერსონალურ კომპიუტერს. სკოლას აქვს 2 ღია სპორტული მოედნები და ერთი დახურული სპორტული ოთახი დამხმარე შენობაში, სპორტული ინვენტარით აღჭურვილი.დათვალიერებამ ცხადყო, რომ სპორტული აქტივობებისთვის საკმარისი რესურსით არის სკოლა უზრუნველყოფილი (ფრენბურთის ბადეები,ფეხბურთის, კალათბურთის, რაგბის, ბურთები,ტენისის მაგიდა, ტატამი, განტელები).სკოლას აქვს პანდუსი, ადაპტირებული სველი წერტილები.სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომელიც

შედგება სამკითხველო სივრცისაგან, აღწურვილია საკოლო სახელმძღვანებითა და მხატვრული ლიტერატურით.. სივრცე მყუდრო და გამოყენებისთვის სათანადოა.სკოლას ვიზიტის პერიოდში გამოცხადებული ჰქონდა ვაკანსია ბიბლიოთეკარის პოზიციაზე.

ასევე მოსაწესრიგებელია წიგნადი ფონდის ა\ღრიცხვიანობა . კერძოდ თითოეული წიგნი როგორც მატერიალურად, ისე ელექტრონულად, დაამოწმოწმდეს ბეჭდით 1-ელსა და მე-17 გვერდებზე. შეიმუშავოს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში განმარტა, რომ ვაკანსია განთავსებულია teacherjobs.ge/76214-ზე, ბიბლიოთეკარის შერჩევას, შესაბამის ვადებში წიგნადი ფონდის აღრიცხვიანობას და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის შემუშავებას უზრუნველყოფს 2024 წლის 31.03-ისთვისს.სკოლა შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკებში ითვალისწინებს რისკეის დადგომის 30% (ვაკანსიით დაინტერესების ნაკლებობა)

შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილებით ინდიკატორი შეფასდა მეტწილ შესაბამისად

ინდიკატორი 3.5.1.1. მეტწილ შესაბამისობაშია.

2.სკოლის ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსებით სარგებლობა ყველა წევრისთვის ხელმისაწვდომია და სოციალიზაციისათვის ეფექტურ პირობებს ქმნის. გარდა ბიბლიოთეკისა,კომპიუტერული თუ საბუნებისმეტყველო ლაბორატორისა, და სპორტული მოედნისა, სარეკრეაციო ზონებიც მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს მოსწავლეთა და მასწავლებელთა პრაქტიკული საქმიანობისათვის. მაგალითად, გამოყოფილია სივრცე, რომელშიც გამოფენილია ამავე სკოლის პედაგოგთა და მოსწავლეთა მიერ შექმნილი რესურსები და იგი ხელმისაწვდომია ნებისმიერი მსურველისათვის დათვალიერებისას და ინტერვიუირებისას დადასტურდა, რომ ეზოც ხშირად არის გამოყენებული მიზნობრივი აქტივობებისთვის.

ინდიკატორი 3.5.1.2. დაკმაყოფილებელია

3. სკოლაში შექმნილია ინკლუზიური განათლების განხორციელების პირობები. კერძოდ, სასკოლო გარემო ადაპტირებულია ყველა უნარისა და შესაძლებლობის მოსწავლისათვის, რაც გამოიხატება იმით, რომ უკლებლივ ყველა სივრცე ხელმისაწვდომია ყველა ტიპის მოსწავლისთვის. მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილი . სკოლაში არის პანდუსი. განთავსებულია ვიზუალური მანიშნებლები. **ინდიკატორი 3.5.1.3. დაკმაყოფილებელია**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა კეთილმოწყობილია და აძლევს მოსწავლეებს შესაძლებლობას, სკოლის ბაზაზევე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული თუ შემეცნებითი აქტივობები. მაგალითად, სკოლის ეზო, რომლის სივრცეშიც განტავსებულია სკოლის მიერ პროექტის ფარგლებში შეძენილი სატრენაჟორო აღჭურვილობა. მინდორი მოწესრიგებული და ლამპიონებით აღჭურვილია, გაზიარებულია ადგილობრივი საზოგადოებისათვის.

ინდიკატორი 3.5.1.4. დაკმაყოფილებელია

5. სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო, ასევე დამხმარე რესურსების ხელმისაწვდომობას როგორც ელექტრონულად, ისე მატერიალური სახით, სკოლის მიერ დადგენილი წესით. სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებულია კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო წიგნადი ფონდი. ბიბლიოთეკაში არის, როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურა. ადგილზე დათვალიერებამ ცხადყო, რომ სკოლა უხვად ფლობს საჭირო საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისთვის სხვადახვა სახის თვალსაჩინოებას: რუკებს, პლაკატებს, მოდელებს. სკოლას გააჩნია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით გამართული და სასწავლო რესურსებით აღჭურვილი ინფრასტრუქტურა. ყველა საგნისთვის (ქიმია, ბიოლოგია და ფიზიკა) არსებობს კაბინეტი ლაბორატორიაში არის შესაბამისი ხელსაწყოები: სინჯარები, კოლბები, მულაჟები,მიკროსკოპი. სკოლის პედაგოგის მიერ შექმნილი ფიზიკის

საგნობრივ დისციპლინაში შექმნილი რესურსები განთავსებულია დამხმარე შენობაში. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი და ყველა საჭირო ინვენტარით აღჭურვილი ღია სპორტული მოედანი, ასევე დახურული სპორტული პატარა დარბაზი. ისტ-ის მიმართულებით მოწყობილია კომპიუტერული კლასი, სადაც განთავსებულია პროექტორი და ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერები.

რჩევა: სასურველია სკოლამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის განთავსება შესაბამის ოთახში სადაც ფუნქციონირებს სველი წერტილი და შესაძლებელია გამწოვი საშუალების დამონტაჟება.

ინდიკატორი3.5.1.5.დაკმაყოფილებელია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- საინვენტარიზაციო ფორმაN2

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში სულ 11 კომპიუტერია. კომპიუტერები მიღებულია სსიპ საგანამანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსგან. მუშა მდგომარეობაშია 6. სკოლის დირექციის სარგებლობაშია 3 ცალი პორტატული კომპიუტერი. 1პერსონალური კომპიუტერი განთავსებულია ექთნის კაბინეტში, 1 საქმისმწარმოებელთან, სკოლას ასევე აქვს 7პროექტორი და 3 პრინტერი. 7 ლეფტოპი10 მეგაბიტით.სკოლა ინტერნეტით სრულადაა დაფარული სკოლის მთელს შენობაში.სკოლას ინტერნეტი მიეწოდება 10MGPS სიჩქარით.

ინდიკატორი 3.6.1.1. დაკმაყოფილებულია

2.მასწავლებლებისათვის განკუთვნილი სამუშაო სივრცეა: სამასწავლებლო და კომპიუტერული კლასი. სამასწავლებლოში გვაქვს სამი კომპიუტერი, რომელთაგან ორი განკუთვნილია ადმინისტრაციის სარგებლობისათვის (დირექტორი, საქმისმწარმოებელი) ხოლო ერთ ლეფტოპს იყენებს დროებით სარგებლობაში სკოლის ბუღალტერი. მასწავლებლებს წინასწარ შემუშავებული გრაფიკის მიხედვით ეძლევათ შესაძლებლობა აღნიშნულ სივრცეებში განთავსებული კომპიუტერები გამოიყენონ გაკვეთილის მსვლელობაში. მასწავლებლისათვის და მოსწავლეებისთვის განკუთვნილ სივრცეში ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის საინფორმაციო მენეჯერი. გარდა ამისა, მის ფუნქცია-მოვალეობებშია: კომპიუტერული ლაბორატორიის უსაფრთხო და ეფექტური მუშაობა; ოპერაციული სისტემების შერჩევა, დაყენება და ოპტიმიზაცია; კომპიუტერული პროგრამების განახლება, სამომხმარებლო და ანტივირუსული პროგრამების ჩაწერა.

ინდიკატორი 3.6.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ იმერის საჯარო სკოლის ციფრული განვითარების გეგმა;
- საინვენტარიზაციო ფორმა N2.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1.მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2.სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3.სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4.სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახდენს დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურებს, დაცულია დოკუმენტის ფორმები და ტიპები,რეგისტრირდება გასული და შემოსული დოკუმენტაცია, პერსონალის და მოსწავლეების პირადი საქმეები იწარმოება დადგენილი წესის შესაბამისად, სკოლას აქვს საკადრო და საერთო ბრძანებების ჟურნალები, შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალები. გაფორმებული ხელშეკრულებები დანომრილია. თუმცა სკოლას არ აქვს შემუშავებული საქმის წარმოების წესი

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა საქმის წარმოების შემუშავების ვადა 2023 წლის 10.12.

ექსპერთა ჯგუფმა ინდიკატორი გადაიტანა მეტწილ შესაბამისობაში

ინდიკატორი 3.6.2.1.მეტწილ შესაბამისობაშია

2.სკოლა, საქმისწარმოების ელექტრონული სისტემას (e-flow, ელექტრონული ფოსტა,), იყენებს გარე კომუნიკაციის მიზნებისათვის. სკოლა ასევე იყენებს, ელექტრონული ჟურნალს. სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის გამოყენებული აქვს ელექტრონული ფოსტა, გვერდი სოციალურ ქსელში და სხვადასხვა დახურული ჯგუფები სოციალურ ქსელში. **ინდიკატორი 3.6.2.2. დაკმაყოფილებელია**

3.სკოლა სარგებლობს ზოგადი განათლების მართვის ერთიანი სისტემით (eschool), რომელშიც აქვს სრულყოფილი პროფილი, სკოლა დადგენილ დროში და კანონმდებლობის შესაბამისად ასახავს ინფორმაციას.

ინდიკატორი 3.6.2.3. დაკმაყოფილებელია

4.სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას. საქმისწარმოების წესის შესაბამისად საქმისმწარმოებელი თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს დოკუმენტებზე რეაგირების ვადების დაცვას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლა სრულად, კანონმდებლობის შესაბამისად თანამშრომლობს მარეგულირებელ უწყებებთან, დროულად აწვდის მათ ანგარიშებს, უკუკავშირსა და საჭირო ინფორმაციას. **ინდიკატორი 3.6.2.4. დაკმაყოფილებელია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
- 2022 წ15.09. N8 პედაგოგთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1.სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2.სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3.საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4.სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5.ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის იყენებს ელ. ჟურნალს, ელ. პლატფორმა – TEAMS ფეისბუქგვერდს, რომლიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. სკოლის სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია მუდმივად განახლებადი ინფორმაცია დაწესებულების მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ. აღნიშნული გვერდის საშუალებით, ასევე შესაძლებელია სკოლასთან კომუნიკაცია. თუმცა სკოლა არ ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. გეგმის მიხედვით შექმნა ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი.

დირექტორის ბრძანებით განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირს ვებ გვერდზე შესაბამისი ინფორმაციის

განთავსებისთვის. გეგმის მიხედვით ვებ გვერდის შესაბამისი გვერდის სრულყოფა მოხდება 2023 წლის 29 დეკემბრისთვის. 1თვის ვადაში.

ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და ინდიკატორი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.

ინდიკატორი 3.6.3.1. მეტწილ შსაბამისობაშია

2. სოციალური ქსელისა და საინფორმაციო დაფის დათვალიერების შედეგად შეიძლება ჩავთვალოთ, რომ სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი.

ინდიკატორი 3.6.3.2. დაკმაყოფილებულია

3. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოებასთან ურთიერთობის ზოგად პრინციპებს სხვადასხვა მიმართულებით: ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა; ინფორმაციის გავრცელების ინტერნეტ რესურსები: ელ-ფოსტა და სოციალური არხები; შიდა და გარე კომუნიკაცია; მოტივაციის ამაღლება და ინიციატივების ხელშეწყობა; უკუკავშირის შედეგები და ანალიზი.

ინდიკატორი 3.6.3.3. დაკმაყოფილებულია

4.სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ქონდა ვებ-გვერდი.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. გეგმის მიხედვით შექმნა ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი. მასზე განთავსებული ინფორმაცია ქართულ ენაზეა, რომელზეც ახორციელებს სწავლებას.გეგმის მიხედვით ვებ გვერდის შესაბამისი გვერდის სრულყოფა მოხდება 2023 წლის 29 დეკემბრისთვის. 1თვის ვადაში.

ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და ინდიკატორი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.

ინდიკატორი 3.6.3.4. მეტწილ შესაბამისობაშია

5.ინდიკატორი ვერ ფასდება

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. გეგმის მიხედვით შექმნა ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი. გეგმის მიხედვით ვებ გვერდის შესაბამისი გვერდის სრულყოფა მოხდება 2023 წლის 29 დეკემბრისთვის. 1თვის ვადაში.

ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და ინდიკატორი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.

ინდიკატორი 3.6.3.5. არ არის დაკმაყოფილებული..

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მასწავლებეთა პროფილები TEAMS-ის პლატფორმაზე.
- facebook გვერდი ,,იმერის საჯარო სკოლა"

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის ბიუჯეტი, რომელიც განხილული და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. ბიუჯეტში წლის განმავლობაში შეტანილია ცვლილებები რაც დასტურდება 2023 წლის11.09 სამეურვე საბჭოს სხდომის ოქმით, ამავე სხდომაზე განხილულია სკოლის 2024 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი.დირექტორის წლიური ფინანსური ანგარიშით დგინდება, რომ ბიუჯეტი შემუშავებულია რეალური გათვლებისა დაგაანგარიშების საფუძველზე, როგორც შემოსავლების ასევე ხარჯვით ნაწილში.დირექტორის განმარტებით, ბიუჯეტისშემუშავების დროს გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. თითოეული სტრუქტურა, სკოლის დირექციას სამსახურებრივი ბარათით აწვდის ინფორმაციას მომავალი წლისთვის საჭირო შესასყიდის შესახებ. თითოეული სტრუქტურააწვდის ინფორმაციას მომავალი წლისთვის საჭირო შესყიდვების შესახებ. ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ დასტურდებასკოლის დირექტორის 2023 წლის 10 დეკემბრამდე, სკოლის სამეურვეო საბჭოს წინაშე წარდგენილი ანგარიშით. ყოველი წლისდასაწყისში სკოლა საგანმანათლებლო რესურსცენტრში წარადგენს ფინანსური შედეგების ანგარიშგებას (წლიური ბალანსი).ყოველი წლის ბოლოს დირექტორი გამოსცემს ბრძანებას სკოლაში ინვენტარიზაციის ჩასატარებლად. საინვეტარიზაციო კომისიის შემადგენლობის შესახებ.

კომისია ახდენს მცირეფასიანი ინვენტარის აღწერას, რაც შემდგომ გადაეცემა ბუღალტერს, რომლის მიერაც ძირითად საშუალებებს ერიცხებათ ცვეთა. მიღებული შედეგები აისახება წლიურ ბალანსში.

ინდიკატორი 3.7.1.1 დაკმაყოფილებულია

2.სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის, ეფექტიანი სისტემა. ბიუჯეტის დაგეგმვა ხდება გასული წლის მონაცემების დამუშავებით, გათვალისწინებულია ასევე წინა წლის შესყიდვების გეგმის შესრულების ხარჯვითი ნაწილი, განსაზღვრულია ახალი საჭიროებები, გათვალისწინებულია სკოლის ბიუჯეტის ოდენობა, რაც რჩება ხელფასის, კომუნალური და სხვა აუცილებელი ხარჯების შემდეგ. სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, შესყიდვების გეგმა შედგენილია ბაზრის კვლევის საფუძველზე. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს წესი ,,სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" დანართში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომლის მთავარი მიზანია სახელმწიფო შესყიდვების ფაქტობრივად განხორციელებისა და ფულადი სახსრების რაციონალურად ხარჯვის უზრუნველყოფა, შესყიდვების პროცესების გამჭვირვალობა და სუბიექტური გადაწყვეტილებების აღმოფხვრა. სკოლას განსაზღვრული ჰყავს ბაზრის კვლევაზე უფლებამოსილი პირი. (დირექტორის 2021 წლის 19.11. ბრძანება N46) საჭიროების შემთხვევაში ინდ.აქტით შეტანილია ცვლილებები შესყვიდვების გეგმაში. შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების დროს, სკოლას გათვალისწინებული აქვს პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნით ბაზრის

გამოკვლევის შედეგები. ასევე სსიპ ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, **2005 წლის 20.04-ის კანონი ,,სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის'' მე-7 მუხლის თანახმად,** შესყიდვების გეგმის დამტკიცებამდე 57 შესყიდვის ობიექტის საორიენტაციო ღირებულების დადგენის მიზნით, უზრუნველყოფს ბაზრის კვლევას. 2023 წლის შესყიდვების გეგმის დამტკიცებამდე, ბაზრის კვლევა განხორციელებულია შემდეგი მეთოდებით: ა) www. procurement. gov.ge-ზე (spa.ge-ზე კვლევის განაცხადის განთავსება; ბ) ინტერნეტ სივრცეში პოტენციური მიმწოდებლის მოძიება; გ) სხვა ორგანიზაციების გამოცდილების გათვალისწინება (შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდის დათვალიერება/ანალიზი); დ) წინა წლების შესყიდვების გამოცდილების ანალიზი (ხელშეკრულებების შესწავლა); ე) სატელეფონო კვლევა;

სკოლის დირექტორის 17.11.2022 წლის N30 ბრძანებით, დამტკიცებულია სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესი დანართი1 და შსყიდვების წლიური გეგმა დანართი 2 შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023 წლის ბიუჯეტი დამტკიცებული 2022 წლის 31 დეკემბრის N7სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმით;
- 2022 წლის 09.12-ის ფინანსური ანგარიში ;
- 2022 წლის 17 ნოემბრის N30 ბრძანებით დამტკიცებულია სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა.

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება, მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა.სკოლაში არის დისციპლინური კომიტეტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში განიხილავს დისციპლინურ გადაცდომებს. სკოლას მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი მკაფიო ხელშეკრულება. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. წარმოდგენილ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სკოლის შინაგანაწესის გაცნობა, რაც დადასტურებულია მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერით. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგურილებელი წესი და აღნიშნული წესის მონიტორინგის მექანიზმები. მოსწავლეთა უფლებებსა და ძირითად გარანტიებს არეგულირებს სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი, ქულების დაანგარიშების მექანიზმები, სემესტრული, საშემოდგომო და ექსტერნის გამოცდის ჩატარების წესები.სკოლის მიერ შემუშავებული შიდა რეგულაციებით: შინაგანაწესი, მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, პერსონალურ ინფორმაციათა დაცვის მარეგულირებელი წესი და მონიტორინგის მექანიზმები, სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორს დადებული ხელშეკრულებები მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას სრულად უზრუნველყოფს.

ინდიკატორი 4.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2.სასკოლო რეგულაციების განმსაზღვრელი სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის ფოიეში. იგი ასევე განიხილება, როგორც სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნაწილი და ეცნობა მშობლებს სასწავლო წლის დასაწყისში, რაც დასტურდება ხელმოწერით. სკოლის ფოიეში გამოკრულია წესრიგის დაცვის უზრუნველყოფისთვის საჭირო ყველა საკონტაქტო პირისა და ცხელი ხაზის ნომერი.

ინდიკატორი 4.1.1.2. დაკმაყოფილებულია

3. მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს ორივე მხარეს უფლებებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს, ხელშეკრულების მოქმედების ვადისა და შეწყვეტის წესს, დავის გადაწყვეტისა და მის მარეგულირებელ კანონმდებლობას, სხვა დამატებით პირობებს, მხარეთა რეკვიზიტებსა და ხელმოწერებს.

ინდიკატორი 4.1.1.3. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. წარმოდგენილი წესი არეგულირებს სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვას, მოსწავლის პარალელურ კლასში გადაყვანას, მოსწავლის სტატუსის შეჩერებასა და აღდგენას, მობილობის, კლასისა და საფეხურის დაძლევის წესს, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარება და მოსწავლის ჩარიცხვის, სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვის ფორმალურ განათლებაში ჩართვის წესებსა და პროცედურებს. აღნიშნულ დოკუმენტს თან ერთვის მოქალაქის განცხადების ფორმის ნიმუში და დოკუმენტის შედგენის მარეგულირებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი. აღნიშნული დოკუმენტი შესაბამისობაშია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N004/ნ და 2010 წლის 1 ოქტომბრის N98 /ნ ბრძანებებთან. მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის და სკოლიდან გადაყვანის პირობები შესულია ასევე სკოლის შინაგანაწესში. სკოლის საქმისმწარმოებელი აწარმოებსს მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვას სკოლის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში. **ინდიკატორი 4.1.2.1. დაკმაყოფილებულია**

2. მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს. სკოლის არსებული პრაქტიკა მიუთითებს, რომ ის იცავს წარმოდგენილი წესით განსაზღვრულ რეგულაციებს. მტკიცებულების სახით სკოლამ დამატებით წარმოადგინა ბრძანებები მოსწავლის ჩარიცხვისა და ამორიცხვის შესახებ .

ინდიკატორი 4.1.2.2. დაკმაყოფილებულია

3. ინფორმაცია სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის შესახებ მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე, მკაფიო და კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს და სასკოლო სასწავლო გეგმას. სასწავლო წლის დასაწყისშივე ხდება მოსწავლისა და მისი მშობლების ინფორმირება მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში მოსალოდნელი სავარაუდო შედეგების შესახებ; დამრიგებელი ვალდებულია შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს ინფორმაცია მისი შვილის აკადემიური მოსწრების, ქცევისა და გაცდენების შესახებ. საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო კალენდარი, დღის რეჟიმი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და ტელეფონის ნომრები, რაც უკავშირდება უსაფრთხოების უზრუნველყოფას. აქედან გამომდინარე დასტურდება, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები, პირობები და პროგრამები, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

ინდიკატორი 4.1.2.3. დაკმაყოფილებულია

4.სკოლის სოცილაურ ქსელში განთავსებულია სასკოლო ცხოვრების შესახებ ინფორმაცია. სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის წესის თანახმად, სოციალურ ქსელებში განსათავსებლად საჭირო ინფორმაცია ადმინისტრირებაზე მიეწოდება სკოლის საინფორმაციო მენეჯერს, კონკრეტულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირის მიერ; ასევე, დამრიგებლების საშუალებით მშობელს შეუძლია მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია საკუთარი შვილისა და სკოლის სერვისების შესახებ. სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად, დამრიგებელი ვალდებულია მშობლებს შვილის აკადემიური მოსწრების და ყოფაქცევის საკითხები ინდივიდუალური შეხვედრების დროს გააცნონ. სკოლის დერეფანში საჯაროდ გამოკრული ინფორმაცია არის კანონმდებლობის შესაბამისი, არა დისკრიმინაციული და გამჭვირვალე.

ინდიკატორი 4.1.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საადმრიგებლო პროგრამა;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის მექანიზმი;.

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასკოლო გარემოსთან, კერძოდ, სადამრიგებლო პროგრამაში გაწერილია ის აქტივობები, რომლებიც უნდა განახორციელოს დამრიგებელმა, რათა მოსწავლეს არ გაუჭირდეს სასკოლო გარემოში ადაპტაცია. (კლასის საათები, ექსკურსიები, ერთობლივი პროექტები და ა.შ.) სკოლას აქვს სსსმ მოსწავლის გადმოსვლის ან ჩარიცხვის შემთხვევაში სრული შესაბამისი პირობებისა და გარემოსთან ადაპტაციის შესაქმნელად.

რჩევა: დაწესებულებას მიეცა რჩევა, შექმნას მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობის ერთიანი წესი

ინდიკატორი 4.2.1.1.დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; დამრიგებლები, პედაგოგები და სკოლის დირექციის წევრები მაქსიმალურად ცდილობენ შექმნან მოსწავლეებზე ორიენტირებული გარემო, რომელშიც აღსაზრდელები პირველივე დღიდან შეძლებენ ადაპტაციას და საკუთარი შესაძლებლოების გამოვლენას. ამაზე მეტყველებს განხორციელებული სასკოლო აქტივობები, მოვლილი გარემო და დასვენება/რეკრეაციისათვის კომფორტული სივრცეები, გამწვანებული ეზო, ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რესურსები და სასწავლო ინვენტარით აღჭურვილი საკლასო ოთახები. **ინდიკატორი 4.2.1.2.დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად; კერძოდ, დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში ტარდება დამატებითი საკონსულტაციო გაკვეთილები, ეროვნული გამოცდებისათვის მოსწავლეთა მომზადება და კონსულტირება. მრავალფეროვანი საკლასო თუ კლასგარეშე აქტივობები, მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებული კომპლექსური დავალებები,მოსწავლეთა მიერ შექმნილი რესურსები, სადიაგნოსტიკო წერები და კათედრებზე დაგეგმილი აქტივობები მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით, უზრუნველყოფს აღნიშნული ინდიკატორის დაკმაყოფილებას.

ინდიკატორი 4.2.1.3.დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა მოსწავლეს უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. კერძოდ, სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის და მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის ინფორმაციის დროულად მიწოდებას, რათა მათ საკუთარი უფლების დაცვის რეალიზების საშუალება ჰქონდეთ. კერძოდ, ხდება ინფორმაციის მიწოდება, უწევთ თუ არა სემესტრული გამოცდების, საშემოდგომო გამოცდების, ექსტერნის გამოცდების ჩაბარება. მიეწოდებათ ინფორმაცია მათი დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით გასაჩივრების უფლებისა და გასაჩივრების წესის შესახებ. ასევე, სკოლა დროულად აცნობებს მოსწავლეებს გაცდენის შედეგების შესახებ. აწვდის ინფორმაციას რომ შეუძლიათ სასკოლო ცხოვრებაში მიიღონ მონაწილეობა და ჩაერთონ მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნებში. 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში გაწერილია გამოცდების ჩატარების, გაცდენილი შემაჯამებელი სამუშაოების აღდგენის წესი, ასევე შინაგანაწესში გაწერილია მისწავლის წახალისების და დისციპლინური სახდელის განხორციელების წესი.

ინდიკატორი 4.2.1.4. დაკმაყოფილებულია

5.არაფორმალური განათლების ფარგლებში სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფი ,,იმედი",რომელიც ემსახურება სამეწარმეო უნარ-ჩვევების დაუფლებასა და სხადასხვა დონორი ორგანიზაციიდან საგანმანათლებლო გრანტების მოძიებას. მაგ.ახალგაზრდული იდეის საგრანტო კონკურსის ფარგლებში საინიციატივო ჯგუფმა ორჯერ გაიმარჯვა და მიიღო საგრანტო თანხა 960 ლარის ოდენობით,რომლითაც შეიძინა ქიმია-ბიოლოგიის ლაბორატორიის რესურსები და გაამდიდრა სკოლის ბიბლიოთეკის წიგნთა ფონდი,ასევე, მიიღეს საგრანტო თანხა-3000 ევროს ოდენობით,რითაც შეიძინეს და განათავსეს სკოლის ბაზაზე სპორტული ინვენტარი.მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სასკოლო პროცესების დაგეგმვასა და განხორციელებაში.სკოლის მიერ მხარდაჭერილია მოსწავლეთა ინიციატივები საჭირო რესურსების მიწოდებისა და სამუშაო სივრცის გამოყოფის მიმართულებით.**ინდიკატორი 4.2.1.5. დაკმაყოფილებულია**

6.სკოლას სრულად აქვს გააზრებული თუ რა მექანიზმებით მოახდენს მოსწავლეთა, მშობელთა და დაინტერესებულ პირთა უკუკავშირის საფუძველზე მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესებას.ვინაიდან დაწესებულება გადის პირველად ავტორიზაციას აღნიშნული **4.2.1.6. ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

(მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა მიერ განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალები;

4.2.2.სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა სისტემატიურად აწვდის ინფორმაციას მოსწავლეებს სხვადასხვა პროფესიების შეახებ,ავლენენ თითოეული მოსწავლის შესაძლებლობეს და მათ მიდრეკილებას ამა თუ იმ პროფესიის მიმართ., არჩევენ პროფესიებს რომელიც მათთვის ხელმისაწვდომი და საინტერესოა. სკოლაში იწვევენ სხვადასხვა პროფესიის ადმიანებს, რომლებმაც გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს თავიანთ საქმიანობაში.**რჩევა: სკოლის მისიიდან გამომდინარე სასურველია სკოლამ დაგეგმოს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიულიორიენტაციის გაკვეთილები.**

ინდიკატორი 4.2.2.1. დაკმაყოფილებულია

2.სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. კერძოდ, დამრიგებლები უზრუნველყოფენ კოლეჯებისა თუ უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებული პროგრამების მოსწავლეებისათვის გაცნობას.

ინდიკატორი 4.2.2.2. დაკმაყოფილებულია

3.სკოლა მზად არის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესის დროს უზრუნველყოს სკოლაში განხორციელებული პროცესებიდან ძლიერი მხარეების და გასაუმჯობესებელი მხარეების განსაზღვრის და მისი ანალიზის საფუძელზე მისი დაძლევის სტრატეგიაების შემუშავებისთვის.პირველადი ავტორიზაციის გამო ინდიკატორის საფუძვლიანი შეფასება ვერ ხერხდება .

ინდიკატორი 4.2.2.3 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო პროგრამები;

სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სსსმ და შშმ მოსწავლეთა მისაღებად.სკოლის სასწავლო გეგმით განსაზღვრულია და შემუშავებულია სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი.სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ერიცხებოდა სსსმ მოსწავლე.

ინდიკატორი 4.2.3.1 დამაკმაყოფილებებია

2.სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს აქვს მზაობა და მხარდაჭერა სსსმ მოსწავლეთა მისაღებად.

ინდიკატორი 4.2.3.2. დამაკმაყოფილებელია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლაის სასწავლო რესურსი შშმ და სსსმ მოსწავლეთათვის;
- ადაპტირებული გარემო;.

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას არ აქვს დამატებით არასავალდებულო ხასიათის ფასიანი მომსახურება წრეების სახით და არც იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გასცემს სკოლის ფართს.თუმცა მშობელთა და მოსწავლეთა განცხადების საფუძველზე მზაობა აქვს შესთავაზოს მათ დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურება.

ინდიკატორი 4.2.4.1.დაკმაყოფილებულია.

2.წინა ინდიკატორიდან გამომდინარე **ინდიკატორი 4.2.4.2. ვერ ფასდება**

3.ინდიკატორი 4.2.4.3. ვერ ფასდება

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2023-2024 წლის სასწავლო გეგმა
- სკოლის პედაგოგის კვლევა ცეკვის წრის შექმნასთან დაკავშირებით

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხურის ზოგადსგანმანათლებლო პროგრამა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ იმერის საჯარო სკოლას აქვს დაწყებით საფეხურზე კურიკულემის შემუშავების გარკვეული პრაქტიკა ერთეულების სახით. ვიზიტის დროს გავეცანით კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტს,რომელიც საჭიროებს მეტად გამჭირვალობასა და კონკრეტიკას.მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა,რომ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის შემუშავების პროცესი ეფუძნება მასწავლებლების ხედვებს, გამოცდილების გაზიარებასა და საბოლოო ვერსიაზე შეჯერებას. კურიკულუმების შემუშავებისას ხელს უწყობენ მოსწავლეებისა და მშობლების ჩართულობას. ცდილობენ გაითვალისწინონ მოსწავლეების საჭიროებები,ინტერესები,შესაძლებლობები. მაგალითად, რესურსებისა და კომპლექსურების შერჩევისას ან/და პროექტების დაგეგმვისას. ასევე,კურიკულუმის შემუშავების პროცესში ითვალისწინებენ მშობელთა უკუკავშირს,ამ მიზნით ატარებენ მათ წერილობით გამოკითხვას. სკოლა ცდილობს დაინახოს საწყებით საფეხურზე არსებული გამოწვევა და პრობლემა.

რჩევა:კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში მკაფიოდ უნდა ჩანდეს სასკოლო საზოგადოების ინტერესები,შეხედულებები და პრიორიტეტები. ***ინდიკატორი 2.1.1.1 სტანდარტთან შესაბამისია.***

2 კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და პედაგოგებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ შემუშავებულ კურიკულუმში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები,საჭიროებები და შესაძლებლობები. მასწავლებლებმა გაანალიზეს სასწავლო წლის შედეგები, მიმდინარეობდა შეხვედრები მშობლებთან,ჩატარდა მათი წერილობითი გამოკითხვა მათი მოსაზრებების,ინტერესების, საჭიროებების დასადგენად.მიღებული უკუკავშირი გაითვალისწინეს კურიკულმის შემუშავებისას.მაგალითად,სასწავლო წლის განმავლობაში, მასწავლებლები, კათედრების მიხედვით, ერთობლივად განიხილავენ განხორციელებულ აქტივობებსა და სასწავლო პროცესს,როგორც

ფორმალური,ასევე,არაფორმალური მიმართულებით,ითვალისწინებენ სკოლაში კლასკომპლექტების არსებობას და მასთან დაკავშირებულ გამოწვევებს. თუკი ანალიზის დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებს გაუჭირდათ რომელიმე აქტივობის შერულება, არ მოეწონათ კონკრეტული აქტივობა, ან გამოთქვეს რაიმე მოსაზრება მის ჩანაცვლებასთან დაკავშირებით, ცდილობენ გაითვალისწინონ მყისიერად ან მომდევნო სასწავლო წლისთვის/სემესტრისთვის ამ კონკრეტულ თემაზე მუშაობასისას. რადგანაც სკოლას აქვს გარკვეული ხედვა და გამოცდილება ამ მიმართულებით, ***ინდიკატორი 2.1.1.2 სტანდარტთან შესაბამისია.***

3.დაწყებითი საფეხურის სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმი შემუშავდა კათედრებზე. შედგენაში მონაწილეობა მიიღო კათედრის ყველა წევრმა. მათ შეადგინეს კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტი თითოეული კლასისათვის, შეათანხმეს განსახორციელებელი კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებები, შეთანხმდნენ განმავითარებელი შეფასების ფორმებზე და სხვა. კურიკულუმის შემუშავებაში საზოგადოების სხვა წევრებს,მაგ. მოსწავლეებს, მშობლებს უშუალოდ არ მიუღიათ მონაწილეობა, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შედგენისას გათვალისწინებული იყო მათი ინტერესები,საჭიროებები,შესაძლებლობები. სასკოლო კურიკულუმი საჯაროა და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის მაგ. საგნობრივი პროგრამები,სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიური კალენდარი, არაფორმალური სწავლის მეთოდები, საშუალებები და ა.შ. ამდენად, ***ინდიკატორი 2.1.1.3 სტანდარტთან შესაბამისია.***

4..როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კურიკულუმების შემუშავებში მეტ-ნაკლებად გათვალისინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები,შესაძლებლობები.სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასებისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ . სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. სკოლა იყენებს მშობლებთან კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმას, როგორც სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში, ისე ინდივიდუალურ შეხვედრებს.სკოლა სოციალურ გვერდზე აზაირებს როგორც კურიკულუმს, ისე მისი განხორციელების ამსახველ მასალას. მასწავლებლებთან ინფორმირებისათვის იყენებენ დახურულ ჯგუფებს სოციალურ ქსელში.სკოლა მომავალში გეგმავს მსგავსი ინფორმაციის გაზიარებას სკოლის ვებგვერდზე. ***ინდიკატორი 2.1.1.4 სტანდარტთან შესაბამისია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის, I - IV და V - VI კლასის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;

- სადამრიგებლო საათის შინაარსი;
- კათედრის სამუშაო შეხვედრის ოქმი;
- *2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ დაგეგმვის პორიენტირებს;
5. როცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კერძოდ, სკოლა დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებს სთავაზობს საგნობრივ პროგრამას, რომელიც დაგეგმილია საფეხურის დონეზე განსაზღვრული მისაღწევი შედეგების გათვალისწინებით. სწავლის მიზნები ფორმულირებულია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით; სასწავლო პროცესი დაგეგმილია თემატურად. თემა წარმოადგენს მოსწავლის გამოცდილებასთან ახლოს მყოფ კონტექსტს საგნობრივი ცოდნის დასამუშავებლად.. პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს, არის მოსწავლეზე ორიენტირებული, მათი ასაკობრივი შესაძლებლობების მიხედვით შემუშავებული .სკოლას მიერ კურიკულუმების ჩარჩოებში წარმოდგენილი დავალებები უმეტესად კომპლექსური ბუნებისაა ,შემუშავებული კურიკულუმები იძლევა მოსწავლეთათვის საინტერესო ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან ახლოს მდგომი საკითხების შესწავლის შესაძლებლობას,რაც შეიძლება მივიჩნიოთ მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომად. კურიკულუმში წარმოდგენილი დავალებების შესრულება მოსწავლეს რთავს აქტიური სწავლის პროცესში, აქცევს მას სასწავლო პროცესის სუბიექტად. კურიკულუმები გაწერილია კონსტრუქტივივისტური პრინციპების საფუძველზე და ეყრდნობა წინა სასწავლო წელს განხორციელებული კომპლექსური დავალებების ანალიზს, ასევე, მოსწავლეთა წინარე გამოცდილებას. ინტეგრირებული სწავლების პრაქტიკა ხელს უწყობს სასკოლო პროექტების წარმატებით განხორციელებას.**ინდიკატორი 2.1.2.1. შესაბამისია.**

2 დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილია კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელთა შესასსრულებლად მოსწავლეს ინტეგრირებული გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები დასჭირდება და სიღმისეულად გააააზრებინებს მასალას. შესაბამისად, კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში, სხვადასხვა აქტივობისა და რესურსების დამუშავებისას, მოსწავლეებს განუვითარდებათ ფუნქციური უნარები.დაწყებითი საფეხურის კომპლექსური დავალების პირობები ,წარმოდეგნილი პროექტები ააქტიურებენ გლობალურ ფუნქციურ უნარებს: მაგალითად, როლური თამაში, პოსტერის,ღღიურის,ბუკლეტის დამზადება/პრეზენტაცია, და სხვ.დაწყებითი საფეხურის კათედრის ანგარიშებში ჩანს, რომ სასწავლო წლის მანძილზე სკოლამ არაერთი პროექტი განახორციელა საგნობრივი თვალსაზრისით, რაც ზოგჯერ საგანთაშორის ინტეგრირებასაც გულისხმობდა და მოსწავლეთა შორის შემოქმედებითი, კრიტიკული, სოციალური თუ ა.შ. უნარების განვითარებასაც.

სკოლას მიეცეს რჩევა : კურიკულუმის ჩარჩოებში თემაში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება, გაუმჯობესდეს კონტექსტ-მაგალითები.

ინდიკატორი 2.1.2.2. შესაბამისია

3 დაწყებით საფეხურზე მასწავლებლები ითვალისწინებენ სკოლაში კლასკომპლექტების არსებობას, შესაბამისად, მეტად ექცევა ყურადღება დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს,საწავლო პროცესი იგეგმება კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. მასწავლებლები მოსწავლეებს სასწავლო რესურსებსა და მასალას სთავაზობენ მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით. კერძოდ, კომპლექსური დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა საერთო ინტერესიდან და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით. გარდა ამისა, კათედრებზე იქმნება მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები მაქსიმალურად ცდილობენ სასწავლო პროცესში თითოეული მოსწავლის ჩართვას. ამ მიზნით იყენებენ დიფერენცირებული სწავლების სტარტეგიებს (მაგ., სასწავლო მენიუ სხვ.). გარდა ამისა, მოსწავლეებს აძლევენ შემოქმედებითი პროდუქტის ფორმის არჩევანის შესაძლებლობას. **ინდიკატორი 2.1.2.3. შესაბამისია.**

4.დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებმა მიმდინარე 2023 წელს ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში გაიარეს ქოუჩინიგი. ქოუჩინგის ფარგლებში სხვა მიმდინარე საიხლეებთან ერთად ისინი გაეცნენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების ახალ მიდგომებს გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებთან მიმართებაში. შედეგად, ავტორიზაციის მასალებში წარმოდგენილია ორივე ფორმის შეფასების რუბრიკა. განმავითარებელი შეფასება დაეხმარება მასწავლებელს დროულად აღმოაჩინოს მოსწავლის სუსტი მხარეები და მისცეს მიმართულება, სანამ ქულით შეაფასებს. კურიკულუმში გათვალისწინებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები. მიუხედავად არსებული რეალობისა, სკოლისა და მასწავლებლებისთვის გამოწვევად რჩება შეფასების მეთოდის სიღრმისეულად გაგება, რის გამოც სკოლა მაქსიმალურად ჩაერთვება შესაბამის ტრენინგ-სემინარებში, რათა მოხდეს გააზრება და დახვეწა. **ინდიკატორი 2.1.2.4. შესაბამისია.**

5 დაწყებით საფეხურზე შემსვლელელმა საგნების მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულემის შემუშავებისას და შესაბამისად გაკვეთილის დაგეგმვის პროცესში ეყრდნობიან და ითვალისწინებენ.შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზს,კათედრის ოქმებში წარმოდგენილ სემესტრულ და წლიურ ანგარიშებს,პედსაბჭოს ოქმებში წარმოდგენილ სემესტრულ და წლიურ ანგარიშებს,თვითშეფასებებს, რეფლექსიას.მასწავლებლები ითვალისწინებენ ხარისხის მართვისა და პროფესიული განვითარების ჯგუფის წევრებისგან და ,,კრიტიკული მეგობრისგან'' მიღებულ უკუკავშირებს. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა დამატებით განმარტა, რომ შემაჯამებელი სამუშაოს წერის დროს

იყენებს როგორც დახურულ, ასვე ღია დაბოლოებიან დავალებებს. ეს მასწავლებელს აძლევს საშუალებას შეამოწმოს არამარტო ცოდნა, არამედ სააზროვნო უნარების განვითარებაც. ანალიზის დროს გამოკვეთენ სად აქვთ ხარვეზი, სუსტი მხარე და რისი გამოსწორებაა საჭირო.

რჩევა: სკოლაში შეიქმნას ხარისხის მართვის ჯგუფის გაკვეთილზე დასწრების კრიტერიუმები და უკუკავშირის ფორმა.**ინდიკატორი 2.1.2.5. შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *შეფასების რუბრიკები;*
- *სკოლის ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარი.*
- *მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი .*

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ იმერის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მათი შედგენისას მოსწავლეების ინტერესები,სურვილები,შესაძლებლობები მნიშვნელოვნად არის გათვალისწინებული.საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებები მარვალეფროვანია და მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. მოსწავლეები ქმნიან შემოქმედებით პროდუქტებს, ახორციელებენ პროექტებს. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და საგნის ინდიკატორებს. შუალედური მიზნის როლს ასრულებს კომპლექსური დავალება, რომელიც მოსწავლეებს უვითარებს ფუნციურ უნარებს. სწავლის პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი სტრატეგიები. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს საინტერესო აქტივობებს, რომლებიც ბრდის მათ მოტივაციას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კეთებით სწავლებას, წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები. კურიკულუმში მოცემული შუალედური მიზნები, საშუალებას აძლევს მოსწავლეს, რომ ახალი ინფორმაცია გადაამუშაოს და განიხილოს ახალ კონტექსტში და თავისი სიტყვებით გადმოსცეს,იქნება ეს წერილობითი, თუ ზეპირი სახით. მოსწავლეებს უწევთ სხვადასხვა ტიპის დავალებების შესრულება, იქნება ეს პრეზენტაციები, პოსტერების შედგენა, ილუსტრირებული ტექსტების დაწერა, წერილის მიწერა თუ დიალოგების გათამაშება,სხვადასხვა ჟანრის ტექსტების შექმნა,კვლევის ჩატარება და სხვ.. ყველა მათგანი მოითხოვს შემოქმედებითობას და

აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. გარდა ამისა, როგორც ინტერვიუზე აღნიშნეს, კათედები აქტიურად ახორციელებს სხვადასხვა პროექტს. მაგალითად. ,,ქართული სამზარეულო"(საგანი-,,ჩვენი საქართველო"),რომლის ფარგლებში დაგეგმილმა აქტივობებმა მაქსიმალურად ხელი შეუწყო მოსწავლეებს გამოევლინათ შემოქმედებითი უნარი. სკოლა მომავალში სწავლა-სწავლების პროცესში კლასკომპლექტის სპეციფიკის გათვალისწინებით,დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებითა და კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებით გამდიდრებით ეცდება სასწავლო პროცესის ეფექტურობის გაზრდას,მოსწავლეთა კიდევ უფრო გააქტიურებასა და ჩართულობის კიდევ უფრო გაზრდას. მაგალითად, საგან ჩვენი საქართველოს ფარგლებში, თუ კი მე-6 კლასელისთვის კომპლექსურ დავალებად განსაზღვრული იქნება ოფიციალური წერილის მომზადება გურიაში მეურნეობის განვითარების შესახებ, მაშინ, ალბათ, სწორი იქნება იმავე კლასკომპლექტის მე-5 კლასელისთვის სამეგრელოს ან იმერეთის (გააჩნია, მე-5 კლასის პროგრამიდან, გურიის პარალელურად რომელი თემის განხილვა მოუწევს მასწავლებელს) შესახებ იგივე დავალების მიცემა. ასეთი მიდგომით შესაძლოა კარგი შედარებითი ანალიზიც გამოვიდეს, რაც გეგმიურად გათვალისწინებული კონტექსტ-მაგალითების განხილვასთან ერთად შინაარსების უფრო სიღმისეულად გააზრებას შეუწყობდა ხელს. ასევე, მნიშვნელოვანია კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე სასკოლო პროექტის დაგეგმვა-განხორციელება-ანგარიშგება. **ინდიკატორი 2.2.1.1. შესაბამმისია**

2.დაწყებით საფეხურზე წარმოადგენილია კურიკულუმებში გაწერილი თემები, ქვეთემები, საკითხები და შუალედური მიზნები კომპლექსური დავავლებების სახით ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე გამოცდილებას, რაც უზრუნველყოფს ახალი ცოდნის თანდათანობით და ეტაპობრივად,მოსწავლისთვის საინტერესო კონტექსტში კონსტრუირების შესაძლებლობას.ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დავალებებზე მუშაობისას მასწავლებლები ყოველთვის ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე წინარე ცოდნას, რაც მათ უადვილებს, კომპლექსური დავალების შესრულებისას გადაჭრან მათთვის ნაცნობი პრობლემა და შექმნან საინტერესო პროდუქტი. კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში გამოიყენება სტრატეგიები, რომლებიც ეხმარება მოსწავლეს წინარე ცოდნის გააქტიურებაში, რაც მოსწავლეს უადვილებს ცოდნის კონსტრუირებას. მაგალითად, კითხვების დასმა, შესასვლელი ბარათები, გონებრივი იერიში და სხვ. **ინდიკატორი2.2.1.2. შესაბამისობაშია**

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ მოსწავლეებში მეტაკოგნიკური უნარების განვითარების მნიშვნელობა და ხელს უწყობენ მათ, კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში გააცნობიერებიერონ სწავლის პროცესი, გააააქტიურეონ კოგნიტური უნარები. შემოქმედებითი პროდუქტის წარდგენის პროცესში მოსწავლეები განიხილავენ საკუთარი სწავლის პროცესს, აღწერენ, რა სტრატეგიები გამოიყენეს დავალებაზე მუშაობის დროს, რა გამოუვიდათ კარგად, რა პრობლემა შეექმნათ დავალებაზე მუშაობის პროცესში, რას შეცვლიან მომავალში მსგავსი დავალების შექმნისას.მასწავლებლებთან ინტერვიუს

შედეგადაც დადასტურდა, რომ სასწავლო პროცესში ყურადღება ექცევა მოსწავლეთა თვითშეფასებას, ურთიერთშეფასებას და წახალისებულია მოსწავლეთა მიერ საკუთარი სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი.

რჩევა: სასურველია, საზოგადოებრივ კათედრაზე ,სასწავლო პროცესში ხშირად დაიგეგმოს ისეთი აქტივობები, რომლებიც სწავლის სწავლას მიანიჭებს უპირატესობას. **ინდიკატორი 2.2.1.3.შესაბამისია**

4.სასწავლო პროცესში ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება საგნობრივ პროგრამებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ პრაქტიკულ სამუშაოებსა და მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალური ტიპის აქტივობებში. სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა იძლევა მისი პრაქტიკაში რეალიზების საშუალებას. მოსწავლებს უმუშავდებათ პრაქტიკულ უნარი, თუ როგორ გადაწყვიტონ ესა თუ ის საკითხი. სასწავლო პროცესის დეკლარატიულ, პროცედურულ და პირობისეულ ცოდნაზე ორიენტირებულობა პირდაპირ უკავშირდება საფეხურის კომპლექსური ბუნების დავალებებში გაწერილ სამიზნე ცნების კონსტრუირებაზე ორიენტირებულ შეკითხვებს, ეროვნული სასწავლო გეგმა ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითად განიხილავს პროექტული, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელებას. ასევე, სკოლაში მოქმედი კლუბების საქმიანობასა და მიმდინარე პროექტების განხორციელებაში მოსწავლეთა ჩართულობა, თავის მხრივ, ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებას.

რჩევა: კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე სასკოლო პროექტის დაგეგმვა-განხორციელება, ისე, რომ მოსწავლეებს საშუალება ჰქონდეთ მონაწილეობა მიიღონ პროექტის მართვასა და განხორციელებული აქტივობების რეფლექსიაში. **ინდიკატორი 2.2.1.4. შეესაბამისია**

5.დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია იმგავრად, რომ მოსწავლეებს სთავაზობს გამოცდილებასთან ახლოს მდგომ პრობლემებს, რომელთა მოგვარება მოითხოვს მიღებული ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთდაკავშირებულად გამოყენებას. მოსწავლეს ცოდნის კონსტრუირების პროცესში უხდება წინა მასალის ან სხვა საგნებში ნასწავლის გახსენება და ურთიერთკავშირში გააზრება. დაწყებით საფეხურზე სკოლა ზრუნავს მოსწავლეების ტრანსფერული უნარების განვითარებაზე, რასაც ხელს უწყობს ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება, კომპლექსური დავალებების, პროექტებისა და სხვა შემოქმედებით თუ კრიტიკულ აზროვნებაზე დაფუძნებული აქტივობების განხორციელება. ასეთი ტიპის დავალებების შეთავაზებით სკოლა მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, თავიანთი ცოდნა სხვადასხვა კონტექსტში გამოიყენონ. **ინდიკატორი 2.2.1.5. შესაბამისია**

დასტურდება (მტკიცებულებები):·

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- გაკვეთილის გეგმა;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- კათედრის სხომის ოქმი;
- *დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;*
- *სასწავლო პროექტები მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;*
- *მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი და ანგარიში;*

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. კერძოდ, დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი ხორციელდება ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად შექმნილი საგნობრივი კურიკულუმებით. საგნობრივ სტანდარტებში გამოკვეთილია სავალდებულო თემები, სხვადასხვა საკითხზე შემუშავებული კომპლექსური დავალებები მიემართება გრძელვადიან მიზნებს (სამიზნე ცნებები, შედეგების ინდიკატორები). მოსწავლეები ახალი კუთხით წარმოაჩენენ ტექსტს, რომელიც პირდაპირ კავშირშია სამიზნე ცნებებთან. მოსწავლეები ქმნიან შემოქმედებით პროდუქტს, რომლითაც ადასტურებენ საკუთარ ცოდნას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. თუმცა, ყველა კომპლექსურ დავალებას არ ახლავს პირობები კრიტერიუმებით. **რჩევა:**სახლემწიფო ენის კათედრის წარმომადგენლებს მიეცათ რჩევა, დავალებებს დაურთონ პირობები კრიტერიუმებით, რათა გაირკვეს, რამდენად სწორადაა განსაზღვრული ქვეცნება/ქვესაკითხები. ასევე, კლასკომპლექტში შემავალ კლასებს კომპლექსურ დავალებად მიეცეთ ერთი და იმავე ტიპის დავალება,მუშავდებოდეს ერთი და იიგივე მიმართულება,თემა და ა.შ. **ინდიკატორი2.2.2.1. შესაბამისია.**

2 წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწყებითი საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. საგნობრივ კურიკულუმებში ასახული საკითხები მოსწავლეთათვის მათთვის ნაცნობ კონტექსტებს უკავშირდება, რაც დადებით ფსიქო-ემოციურ პირობებს ქმნის და მოსწავლეს პოზიტიური დამოკიდებულება უყალიბდება სწავლის მიმართ. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ

განვითარებას. სკოლა მოსწავლეს ეხმარება ისეთ პიროვნებად ჩამოყალიბებაში, რომელიც შეძლებს, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა. სადამრიგებლო პროგრამებით კლასის საათის ფარგლებში სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ისეთ თემებს, რომლებიც მათ პიროვნულ განვითარებას უწყობს ხელს, იგეგმება და ხორციელდება პროექტები პრიორიტეტულ თემებზე. სკოლა გამოხატავს მზაობას კვლავაც აქტიურად გააგრძელოს მუშაობა ამ მიმართულებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი არაფორმალური განათლების აქტივობები, კერძოდ, განხორციელებული პროექტები, ხელს უწყობს მოსწავლეთა გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. ეს ჩანს სკოლის მიერ წარმოდგენილი პროექტებიდან და მოსწავლეთა ნამუშევრებიდან. **ინდიკატორი2.2.2.2. შესაბამისობაშია**

3 დაწყებით საფეხურზე განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს მოსწავლის თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების უნარების განვითრებას. განმავითარებელი შეფასება მოიცავს მოსწვლის ძლიერ და გამოსასწორებელ მხარეებს და ხელს უწყობს მისი განვითარების პროცესს. სკოლა, ძირითადად, იყენებს მიმდინარე განმავითარებელ შეფასებას მასწავლებლების მიერ გაკვეთილზე გაკეთებული კომენტარის სახით. ამ ეტაპზე სკოლაში წერილობითი შეფასება ყველა განხორციელებულ კომპლექსურ დავალებაზე არ კეთდება, თუმცა ზეპირ რეკომენდაციებს მოსწავლეები იღებენ როგორც მიმდინარე დავალებებში, ასევე შემაჯამებელ სამუშაოებში. სკოლა 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმში უპირატესობას მიანიჭებს მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად სტანდარტის შედეგების მიღწევის დასადგენად სოლო ტაქსონომიის გამოყენებას, რაც საშუალებას მისცემს მასწავლებელს, დაადგინოს თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით რა ცოდნა მიიღო მოსწავლემ, რამდენად ახერხებს ამ ცოდნის გამოყენებას, შესაბამისად მისცემს განმავითარებელ რეკომენდაციებს

.

რჩევა: რომ საგანში ,,ჩვენი საქართველო" დამატებით შექმნან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კონკრეტული თემისა და დავალებისათვის. **ინდიკატორი2.2.2.3. შესაბამისია**

4.შეფასების სისტემის გამჭვირვალეობა ჩანს პირველ რიგში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებით, სადაც ჩაშენებულია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ ისინი გაკვეთილის დაწყებისთანავე აცნობს მოსწავლეებს შეფასების მექანიზმს, რომელი კრიტერიუმებით შეფასდება მათი მუშაობა და ცოდნა. ყოველივე ხელს უწყობს მოსწავლეებში შეფასების სანდოობისა და ვალიდობის გაზრდას. ასევე გაკვეთილებზე დაკვირვებების, დიაგნოსტიკური ტესტების საფუძველზე, აღგენენ თუ სად არის პრობლემა. ანალიზის შედეგებს ეცნობიან მოსწვლეები და კეთდება შესაბამისი უკუკავშირი, რაც შეფასებას ხდის მეტად გამჭირვალეს, ობიექტურსა და სამართლიანს.

შეფასების სისტემა შემუშავებული და გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასების რუბრიკების შეთანხმება ხდება კათედრებზე. სასკოლო სასწავლო გეგმაში ამოიკითხება, რომ მეტი გამჭვირვალეობისთვის სკოლა გამოიყენებს სკოლის ვებგვერდს, ელექტრონულ ფოსტას, ელექტრონული ბრუნვის სისტემას, სოციალურ მედიას, ბეჭდვით მასალას, საინფორმაციო დაფას და სხვა საშუალებებს.სამომავლოდ სკოლა გეგმავს, რომ შეფასების სისტემა გახდეს უფრო მეტად ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **2.2.2.4. ინდიკატორი შესაბამისია**

5 სკოლის შეფასების სისტემის მექანიზმების ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემას. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები (რომელიც განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებლი დავალებების აღდგენისთვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისთვის და სხვა); მასწავლებლებს გააზრებული აქვსთ შეფასების ინსტრუმენტები, მოსწავლეთა საჭიროებისა და მისაღწევი შედეგის გათვალისწინებით. მასწავლებლებს გააჩნიათ შეფასების ინსტრუმენტების გადახედვა/ შეცვლის პრაქტიკა. თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ: ,,კათედრის სხდომებზე მუდმივად განიხილება შეფასების სისტემის საკითხი. ვერიფიკაციით კეთდება მოსწავლის მიღწევის ანალიზი, ესენია: მოსწავლის ნამუშევრების განხილვა პორტფოლიოები გამოფენები".**2.2.2.5. ინდიკატორი შესაბამისია**

6 სკოლის თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ შეფასებები გაწერილია ,,ჟურნალში" და ინახება 5 წლის ვადით.. მასწავლებლებთან გასაუბრების მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამჟამად მუშაობენ ელექტრონულ ჟურნალში, სადაც ხდება შეფასებების შეტანა კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასწავლო წლის ბოლის, კლასის ხელძღვანელი ელექტრონული ჟურნალის საფუძველზე ავსებს მოსწავლის პირად საქმეებს და ინახავს კანონმდებლობით დადგენილი ვადით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და დაცვას კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად.**ინდიკატორი2.2.2.6. შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვერიფიკაციის მექანიზმი
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;
- შეფასების მასალები;
- მასწავლებლის ანგარიშები
- სასწავლო პროექტები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ხარისხის ჯგუფის დებულება
- კათედრის ოქმი
- სსიპ წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ იმერის საჯარო სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ბრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში,დაწყებით საფეხურზე შექმნილია ისეთი გარემო, სადაც უზრუნველყოფილია მოსწავლეთა მხარდაჭერა და მიმღებლობითი გარემო. სკოლის მიერ წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რითაც დასტურდება მოსწავლეთა მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნა..მასწავლებლები ინტერვიუს დროს აღნიშნავდნენ,რომ ისინი ორიენტირებულნი არიან არა დასჯაზე ,არამედ წახალისებაზე.ყველა მათი ინიციატივა არის მხარდაჭერილი,იქნება ეს სასწავლო პროცესში თუ არაფორმალურ გარემოში. შესაბამისად, **2.2.3.1. ინდიკატორი შესაბამისია .**

2დაწყებით საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, პროექტები და აქტივობები, იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად; აქ იგულისხმება მოსწავლეთა საჭიროებების კვლევა და ამ კვლევაზე დაფუძნებით შესაბამისი ცვლილებების შეტანა სასწავლო პროცესში, რაც დასტურდება სასკოლო სასწავლო გეგმით. ასევე, კათედრის შემაჯამებელი ოქმიდან ჩანს, რომ სკოლა აპირებს დიაგნოსტიკური ტესტირების ჩატარებას, თუმცა რა ინსტრუმენტს გამოიყენებდნენ ამისთვის და რამდენჯერ ჩაატარებდნენ დიაგნოსტირებას, ეს შემაჯამებელი ოქმიდან არ ჩანს. ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ დიაგნოსტირებისთვის გამოიყენებენ მეორე ინსტრუმენტს, რომელიც ,,საკლასო წერის" სახელწოდებითაა ცნობილი. მასწავლებლებმა ისაუბრეს დიაგნოსტიკური კვლევის მნიშვნელობაზე და დაადასტურეს, რომ დიაგნოსტიკურ კვლევას ჩაატარებენ წელიწადში ორჯერ: წლის დასაწყისში, რაც მათ საშუალებას მისცემს, როგორ დაგეგმონ სასწავლო პროცესი და სასწავლო წლის დასრულებამდე თვე-ნახევარით ადრე, რაც მათ საშუალებას მისცემს, მეტი აქცენტები გააკეთონ მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით. შესაბამისად, **2.2.3.2. ინდიკატორი შეაბამისია**

3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.მასწავლებლები თამანშრომლობენ კურიკულუმების შედგენისა და განხორცილების პროცესში, უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას.აქვთ მუდმივი კომუნიკაცია მშობლებთან როგორც ონლაინ ფორმატით,ასევე,პირისპირ შეხვედრის სახით.სკოლაში მცირე კონტიგენტის გამო არსებოს კლასკომპლექტები,მიუხედავად მცირე ასაკობრივი სხვაობისა,მასწავლებლები ინტერვიუს დროს აღნიშნავენ,რომ მოსწავლეებს შორის არის პოზიტიური გარემო.აღნიშნეს,რომ თანამშრომლობითი

უნარის განვითარებას ხელს უწყობს კომპლექსური ბუნების დავალებები,როდესაც მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ ნაშრომებს,იღებენ უკუკავშირს. სკოლაში არის მეგობრული, ურთიერთთანამშრომლობაზე დაფუძნებული გარემო სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის.ინტერვიუს დროს აღნიშნავდნენ,რომ კათედრის წევრები პერიოდულად ესწრებიან ერთმანეთ გაკვეთილებზე,ერთობლივად გეგმავენ პროექტებს,მაგრამ სკოლაში არ გააჩნიათ უკუკავშირის ფორმა,რომლითაც იხელმძღვანელებენ.

რჩევა : ეფექტური უკუკავშირისთვის კათედრებმა შეიმუშაონ გაკვეთილებზე დასწრების ფორმა. **ინდიკატორი 2.2.3.3. შესაბამისია.**

4 სასწავლო პროცესში შექმნილია ნდობაზე დაფუძნებული, მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრები თანასწორნი არიან. კათედრის წევრები პერიოდულად ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს,პროეტებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ პოზიტიურ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით, რაც უზრუნველყოფს მაღალ მიმღებლობას. მიუხედავად არსებული განსხვავებებისა და თავისებურებებისა, სკოლაში არსებობს ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო მათი სრულფასოვანი განვითარებისათვის. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი, როგორც კლასის, ისე სკოლის დონეზე.

მასწავლებლები არიან ერთმანეთის მხარდამჭერები სასწავლო პროცესში და ორიენტირებული არიან მოსწავლეებს შეუქმნან უსაფრთხო, პოზიტიური სასწავლო გარემო. დაგეგმილი აქტივობები,ექსკურსიები, შეჯიბრებები, ინტელექტუალური თამაშები და სხვა ღონისძიებები ეხმარება მოსწავლეებს მეგობრული და კეთილგანწყობილი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში. მიღებული და დაფასებულია თითოეულის მოსაზრება. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს გააზრებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა.აქედან გამომდინარე,**ინდიკატორი2.2.3. 4 შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- გახორციელებული პროექტი
- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- სადამრიგებლო პროგრამა;

- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა*

შეფასება:
o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ვიზიტის დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათი კათედრის საქმიანობა და პრაქტიკა ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების პროცესს. სკოლას წარმოდგენილი აქვს პედაგოგიური საბჭოს ოქმები, რომლებშიც განხილულია სემეტრის და სასწავლო წლის ანგარიშები.მართალია, სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია,თუმცა მასში უფრო მკაფიოდ უნდა აისახოს ინფორმაცია მონიტორინგისა და შეფასების პროცესზე.

სკოლას მიეცა რჩევა: კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში მკაფიოდ გამოყოს და დააკონკრეტო მონიტორინგისა და შეფასების პრინციპები,მიმართულებები,ფორმატი,ვადები და ინსტრუმენტები **2.3.1.1.ინდიკატორთან შესაბამისობაა**

2. სკოლამ შეიმუშავა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, თუმცა საჭიროა მკაფიოდ გამოიყოს და დაკონკრეტდეს მონიტორინგისა და შეფასების პროცესი და ინსტრუმენტები (მაგალითად, კვლევის პრაქტიკა ინტერვიუს ან ფოკუს-ჯგუფის ფორმატში), რომლის საშუალებითაც სკოლა დაადგენს მონიტორინგისა და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია ,,დასჯა-წახალისებად", თუ მხარდაჭერის მექანიზმად. **2.3.1.2. ინდიკატორთან შესაბამისობაშია**

3.მასწავლებლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს,რომ კათედრები აპირებენ მომავალი სასწავლო წლიდან სადიაგნოსტიკო ტესტები და შეფასების ინსტრუმენტები უფრო აქტიურად გამოიყენონ პრობლემების საკვლევად და აღმოსაფხვრელად. სამომავლოდ უფრო მასშტაბურად, სტრუქტურიზებულად და სისტემურად იგეგმება დიაგნოსტიკური კვლევების მეთოდების გამოყენების გზით კურიკულუმის დანერგვის/ მიმდინარეობის პროცესის მონიტორინგი. მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს კათედრა აუცილებლად გაითვალისწინებს და შესაბამის ცვლილებებს შეიტანს მომავალი სასწავლო წლისთვის დაგეგმილ კურიკულუმებში.სკოლის მიერ შექმნილ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში საჭიროა მკაფიოდ იქნეს ახსნილი მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე თუ როგორ უნდა მოხდეს რეკომენდაციების შემუშავება კურიკულუმის გაუმჯობესების მიზნით. **2.3.1.3. ინდიკატორთან შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ წალკის რაიონის სოფელ იმერის აჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *სსიპ წალკის რაიონის სოფელ იმერის საჯარო სკოლის თვითშეფასების ფორმა;*
- *კათედრის ოქმები;*
- *შემაჯამებელი დავალების ანალიზი;*
- *დაწყებითი საფეხურის შეფასების რუბრიკები;*
- *სკოლის შინაგანაწესი და სასწავლო პრორცესის მარეგულირებელი სხვა მასალები.*
- *დაწყები კურიკულუმები.*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა,*

შეფასება:

0 გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
0 შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 სსიპ წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ იმერის საჯარო სკოლაში ყოფნისას,დოკუმენტების გაცნობისას და მასწავლებლებთან ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შეფასება დაეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება განხორციელდება სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. შეფასების ჰოლისტური ხასიათი გულისხმობს ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. ინტერვიურების დროს მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ პროცესების, მოსწავლის პრობლემის გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია, ეს ინფორმაცია მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან კი ჩანს, რომ მოსწავლეების შეფასება ხორციელდება როგორც ფაქტობრივი და პროცედურული, ასევე პირობისეული ცოდნის გათვალისწინებით. ეს

დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან, კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებიდან, რომელთა შესრულებაც მოითხოვს სამივე კატეგორიის ცოდნას. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრებულია, რომ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებელი ინდივიდია და თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი. მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. მიმდინარე განმავითარებელი შეფასების სისტემატიური გამოყენება ეხმარება მოსწავლეებს უნარების დახვეწაში სხვადასხვა რჩევის, რეკომენდაციისა თუ პრობლემის გადაჭრის გზების შემუშავების გზით. სამომავლოდ სკოლას აქვს მზაობა მოსწავლეთა დიაგნოსტირებისთვის გამოიყენოს სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტი.შესაბამისად, **2.3.2.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2 სკოლის სამოქმედო გეგმიდან ჩანს, რომ მოსწავლეთა შეფასება განხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, ინტერვიურების პროცესში კათედრის წევრები საუბრობდნენ უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალებების შესახებ, ისინი აღნიშნავდნენ, რომ ახორციელებდნენ კომპლექსურ დავალებებს და ამ მხრივ, გარკვეული გამოცდილება დაუგროვდათ. განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებულია შეფასების კრიტერიუმები, შეფასების კრიტერიუმებში კი გათვალისწინებულია კომპლექსური დავალებების შესაბამისი კონტექსტები.დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული შეფასების სისტემა კომპლექსურია და მოიცავს ბევრ სხვადასხვა მიმართულებას. მოსწავლე არ ფასდება ცალსახად მხოლოდ მის მიერ გამოვლენილი ცოდნის საფუძველზე, არამედ ხდება სხვა ბევრი ფაქტორის გათვალისწინებაც. საგაკვეთილო პროცესი ხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით: წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია. შეფასებაც ხორციელდება შესაბამისი რუბრიკებით. აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას, ურთიერთშეფასებასა და თვითმონიტორინგს. შეფასება ეხმარება გააცნობიერონ მუშაობის პროცესში გამოვლენილი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები. შეფასება ხდება სისტემატიურად, კათედრაზე გამოიყენება, როგორც განმსაზღვრელი , ისე განმავითარებელი შეფასება. კათედრების მიერ შემუშავებულია შეფასების რუბრიკები, ჩამოყალიბებულია შეფასების კრიტერიუმები, მოსწავლეებს ეწერებათ მიმდინარე შეფასებები. შესაბამისად, **2.3.2.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. სკოლა აქტიურად იყენებს არაფორმალური განათლების აქტივობებს, საიდანაც ხდება მოსწავლეებზე მონაცემების შეგროვება, ასევე, კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, რომ შეფასება ხორციელდება მრავალფეროვან მეთოდებზე დაყრდნობით,

გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ; სიტუაციის, მოვლენის, მოსწავლის უნარისა და შესაძლებლობებისა თუ სხვა ასპექტების შესწავლისას გადამწყვეტია მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მიღება, რაც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით, რაც მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს. სკოლა გეგმავს შეფასების პირველ მოდელზე დარჩეს, სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ მოახდინოს მოსწავლეთა დიაგნოსტირება შეფასების მეორე ინსტრუმენტით, რაც „საკლასო წერის“ სახელწოდებითაა ცნობილი' კათედრის წევრებთან ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა, რომ დიაგნოსტირებას ჩაატარებენ წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ისეთ დროს, მაგალითად აპრილში, რომ მოასწრონ მოსწავლეთა თუ კლასის პროფილების დადგენისას გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა. მიღებული შედეგების გაანალიზებით კი ახალი სასწავლო წლისთვის სკოლის მათემატიკის კათედრა აპირებს შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას. შესაბამისად, **2.3.2.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4.წარმოდგენილი კურიკულუმები მოიაზრებს შეფასება განხორციელდეს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს არნიშნეს,რომ მომავალში მოსწავლეზე დაკვირვება წარიმართება მულტიფაქტორული მიდგომის გათვალისწინებით, სხვადასხვა გარემოებებში, რის საშუალებასაც იძლევა დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და არაფორმალური აქტივობები. ასევე,გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ გეგმავენ კურიკულუმებში ისეთი სისტემის შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს არსებული სიტუაციის დანახვას მრავალმხრივი კონტექსტიდან და მიზნობრივ შეფასებას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ,სკოლას აქვს გამოცდილება შეფასება მოახდინოს სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, კერძოდ, მასწავლებელბი და დამრიგებელი აანალიზებენ მოსწავლის აკადემიურ და ფუნქციურ უნარებს და აკვირდებიან რა გარემო ფაქტორები (ოჯახი, ტრადიცია, თემი, ფასეულობები და სხვა) ახდენს გავლენას შედეგზე.**2.3.2.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საგნობრივი კურიკულუმები და მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალება*
- *ერთწლიანი სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები*

- *პროექტის გეგმა*

შეფასება:
o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია
2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის აქვს შექმნილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, აღნიშნულ დოკუმენტს აკლია კონკრეტიკა,არ არის მკაფიოდ გადმოცემული კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, ასევე მონიტორინგი და შეფასების შედეგები,თუმცა სკოლას გააჩნია მზაობა, რომ არსებული კურიკულუმის ანალიზის, მასწავლებლების ურთიერთდასწრებისა და თანამშრომლობის საფუძველზე შეიმუშავონ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტი,თუ როგორ გამოიყენონ დაგროვილი გამოცდილება სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

რჩევა:სკოლამ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში მკაფიოდ უნდა გაწეროს კურიკულუმის განვითარების,მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტი,მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. **2.4.1.1.ინდიკატორთან შესაბამისია.**

2. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლები საგნობრივ კათედრებზე შეხვედრისას ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, რაც აისახება ახალ კურიკულუმში: თემების განაწილება,საკითხების შერჩევა, დროის დათმობა, კომპლექსური დავალებების შესაბამისობა და სხვა. ამ მიმართულებით სკოლა გეგმავს კურიკულუმების განხორციელების პროცესში დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნას, სადაც გათვალისწინებული იქნება რევიზიის პროცესში გამოვლენილი ხარვეზები, საჭიროებები,პრობლემების გადაჭრის გზები.**2.4.1.2.ინდიკატორთან შესაბამისია.**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები*
- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა*
- *ვერიფიკაციის მექანიზმი*

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომონენტი 2.1 **კურიკულუმის შემუშავება**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.2 **კურიკულუმის განხორციელება**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.3 **კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.4 **კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი- ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა-

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 სსიპ წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ იმერის საჯარო სკოლას აქვს საბაზო საფეხურზე კურიკულემის შემუშავების გარკვეული პრაქტიკა ერთეულების სახით. ვიზიტის დროს გავეცანით კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტს,რომელიც საჭიროებს მეტად გამჭირვალობასა და კონკრეტიკას.აღნიშნულ დოკუმენტში მკაფიოდ უნდა ჩანდეს სასკოლო საზოგადოების ინტერესები,შეხედულებები და პრიორიტეტები. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა,რომ საბაზო საფეხურის კურიკულუმის შემუშავების პროცესი ეფუძნება მასწავლებლების ხედვებს, გამოცდილების გაზიარებასა და საბოლოო ვერსიაზე შეჯერებას. კურიკულუმების შემუშავებისას ხელს უწყობენ მოსწავლეებისა და მშობლების ჩართულობას. ცდილობენ გაითვალისწინონ მოსწავლეების საჭიროებები,ინტერესები,შესაძლებლობები. მაგალითად, რესურსებისა და კომპლექსურების შერჩევისას ან/და პროექტების დაგეგმვისას. ასევე,კურიკულუმის შემუშავების პროცესში ითვალისწინებენ

მშობელთა უკუკავშირს,ამ მიზნით ატარებენ მათ წერილობით გამოკითხვას. სკოლა ცდილობს დაინახოს საბაზო საფეხურზე არსებული გამოწვევა და პრობლემა. ***ინდიკატორი 2.1.1.1 სტანდარტთან არის ნაწილობრივ შესაბამისობაში.***

2 კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და პედაგოგებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ საბაზო საფეხურზე შემუშავებულ კურიკულუმში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები,საჭიროებები და შესაძლებლობები. მასწავლებლებმა გაანალიზეს სასწავლო წლის შედეგები, მიმდინარეობდა შეხვედრები მშობლებთან,ჩატარდა მათი წერილობითი გამოკითხვა მათი მოსაზრებების,ინტერესების, საჭიროებების დასადგენად.მიღებული უკუკავშირი გაითვალისწინეს კურიკულმის შემუშავებისას. მაგალითად,სასწავლო წლის განმავლობაში, მასწავლებლები, კათედრების მიხედვით, ერთობლივად განიხილავენ განხორციელებულ აქტივობებსა და სასწავლო პროცესს,როგორც ფორმალური,ასევე,არაფორმალური მიმართულებით,ითვალისწინებენ სკოლაში კლასკომპლექტების არსებობას და მასთან დაკავშირებულ გამოწვევებს. თუკი ანალიზის დროს გამოიკვეთება, რომ მოსწავლეებს გაუჭირდათ რომელიმე აქტივობის შერულება, არ მოეწონათ კონკრეტული აქტივობა, ან გამოთქვეს რაიმე მოსაზრება მის ჩანაცვლებასთან დაკავშირებით, ცდილობენ გაითვალისწინონ მყისიერად ან მომდევნო სასწავლო წლისთვის/სემესტრისთვის ამ კონკრეტულ თემაზე მუშაობასისას. რადგანაც სკოლას აქვს გარკვეული ხედვა და გამოცდილება ამ მიმართულებით, ***ინდიკატორი 2.1.1.2 სტანდარტთან შესაბამისია.***

3. საბაზო საფეხურზე სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმი შემუშავდა კათედრებზე. შედგენაში მონაწილეობა მიიღო კათედრის ყველა წევრმა. მათ შეადგინეს კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტი თითოეული კლასისათვის, შეათანხმეს განსახორციელებელი კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებები, შეთანხმდნენ განმავითარებელი შეფასების ფორმებზე და სხვა. კურიკულუმის შემუშავებაში საზოგადოების სხვა წევრებს,მაგ. მოსწავლეებს, მშობლებს უშუალოდ არ მიუღიათ მონაწილეობა, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შედგენისას გათვალისწინებულია მათი ინტერესები,საჭიროებები,შესაძლებლობები. სასკოლო კურიკულუმი საჯაროა და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის მაგ. საგნობრივი პროგრამები,სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიური კალენდარი, არაფორმალური სწავლის მეთოდები, საშუალებები და ა.შ. ამდენად, ***ინდიკატორი 2.1.1.3 სტანდარტთან შესაბამისია.***

4..როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კურიკულუმების შემუშავებში მეტ-ნაკლებად გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები,შესაძლებლობები.სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასებისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ

კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ . სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. სკოლა იყენებს მშობლებთან კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმას, როგორც სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში, ისე ინდივიდუალურ შეხვედრებს.სკოლა სოციალურ გვერდზე აზაირებს როგორც კურიკულუმს, ისე მისი განხორციელების ამსახველ მასალას. მასწავლებლებთან ინფორმირებისათვის იყენებენ დახურულ ჯგუფებს სოციალურ ქსელში.სკოლამ შექმნა ვებგვერდა,სადაც გეგმავს მსგავსი ინფორმაციის გაზიარებას.***ინდიკატორი 2.1.1.4 სტანდარტთან შესაბამისია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები;
- სადამრიგებლო საათის შინაარსი;
- კათედრის სამუშაო შეხვედრის ოქმი;
- *2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 საბაზო საფეხურზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კერძოდ, სკოლა საბაზო საფეხურზე მოსწავლეებს სთავაზობს საგნობრივ პროგრამას, რომელიც დაგეგმილია საფეხურის

დონეზე განსაზღვრული მისაღწევი შედეგების გათვალისწინებით. სწავლის მიზნები ფორმულირებულია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით; სასწავლო პროცესი დაგეგმილია თემატურად. თემა წარმოადგენს მოსწავლის გამოცდილებასთან ახლოს მყოფ კონტექსტს საგნობრივი ცოდნის დასამუშავებლად. პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს, არის მოსწავლეზე ორიენტირებული, მათი ასაკობრივი შესაძლებლობების მიხედვით შემუშავებული .სკოლის მიერ კურიკულუმების ჩარჩოებში წარმოდგენილი დავალებები უმეტესად კომპლექსური ბუნებისაა ,შემუშავებული კურიკულუმები იძლევა მოსწავლეთათვის საინტერესო ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან ახლოს მდგომი საკითხების შესწავლის შესაძლებლობას,რაც შეიძლება მივიჩნიოთ მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომად. კურიკულუმში წარმოდგენილი დავალებების შესრულება მოსწავლეს რთავს აქტიური სწავლის პროცესში, აქცევს მას სასწავლო პროცესის სუბიექტად. კურიკულუმები გაწერილია კონსტრუქტივისტური პრინციპების საფუძველზე და ეყრდნობა წინა სასწავლო წელს განხორციელებული კომპლექსური დავალებების ანალიზს, ასევე, მოსწავლეთა წინარე გამოცდილებას. ინტეგრირებული სწავლების პრაქტიკა ხელს უწყობს სასკოლო პროექტების წარმატებით განხორციელებას.**ინდიკატორი 2.1.2.1. შესაბამისია.**

2. საბაზო საფეხურის კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილია კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელთა შესასსრულებლად მოსწავლეს ინტეგრირებული გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები დასჭირდება,რომელიც სიღმისეულად გააზრებინებს მასალას. შესაბამისად, კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში, სხვადასხვა აქტივობისა და რესურსების დამუშავებისას, მოსწავლეებს განუვითარდებათ ფუნქციური უნარები..**ინდიკატორი 2.1.2.2. შესაბამისია**

3.საბაზო საფეხურზე მასწავლებლები ითვალისწინებენ სკოლაში კლასკომპლექტების არსებობას, შესაბამისად, მეტად ექცევა ყურადღება დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს,საწავლო პროცესი იგეგმება კონკრეტული მოსწავლის ინტერსებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. მასწავლებლები მოსწავლეებს სასწავლო რესურსებსა და მასალას სთავაზობენ მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით. კერძოდ, კომპლექსური დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა საერთო ინტერესიდან და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით. გარდა ამისა, კათედრებზე იქმნება მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები მაქსიმალურად ცდილობენ სასწავლო პროცესში თითოეული მოსწავლის ჩართვას. ამ მიზნით იყენებენ დიფერენცირებული სწავლების სტარტეგიებს (მაგ., სასწავლო მენიუ სხვ.). გარდა ამისა, მოსწავლეებს აძლევენ შემოქმედებითი პროდუქტის ფორმის არჩევანის შესაძლებლობას. **ინდიკატორი 2.1.2.3. შესაბამისია.**

4.საბაზო საფეხურის მასწავლებლებმა მიმდინარე 2023 წელს ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში გაიარეს ქოუჩინგი. ქოუჩინგის ფარგლებში სხვა მიმდინარე საიხლეებთან ერთად ისინი გაეცნენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების ახალ მიდგომებს გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებთან მიმართებაში. შედეგად, ავტორიზაციის მასალებში წარმოდგენილია ორივე ფორმის შეფასების რუბრიკა. განმავითარებელი შეფასება დაეხმარება მასწავლებელს დროულად აღმოაჩინოს მოსწავლის სუსტი მხარეები და მისცეს მიმართულება.ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში ჩატერებული ქოუჩინგის შედეგად მიღებული გამოცდილების საფუძველზე, ურთიერთთნამშრომლობით დამატებით შეიმუშავებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს მიმართულს გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზე.მიუხედავად არსებული რეალობისა, სკოლისა და მასწავლებლებისთვის გამოწვევად რჩება შეფასების მეთოდის სიღრმისეულად გაგება, რისთვისაც სკოლა მაქსიმალურად ჩაერთვება შესაბამის ტრენინგ-სემინარებში, რათა მოხდეს გააზრება და დახვეწა. კურიკულუმში გათვალისწინებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები.**ინდიკატორი 2.1.2.4. შესაბამისია.**

5. საბაზო საფეხურზე შემსვლელელმა საგნების მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულემის შემუშავებისას და შესაბამისად გაკვეთილის დაგეგმვის პროცესში ეყრდნობიან და ითვალისწინებენ.შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზს,კათედრის ოქმებში წარმოდგენილ სემესტრულ და წლიურ ანგარიშებს,პედსაბჭოს ოქმებში წარმოდგენილ სემესტრულ და წლიურ ანგარიშებს,თვითშეფასებებს, რეფლექსიას.მასწავლებლები ითვალისწინებენ ხარისხის მართვისა და პროფესიული განვითარების ჯგუფის წევრებისგან და ,,კრიტიკული მეგობრისგან'' მიღებულ უკუკავშირებს. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა დამატებით განმარტა, რომ შემაჯამებელი სამუშაოს წერის დროს იყენებს როგორც დახურულ, ასვე ღია დაბოლოებიან დავალებებს. ეს მასწავლებელს აძლევს საშუალებას შეამოწმოს არამარტო ცოდნა, არამედ სააზროვნო უნარების განვითარებაც. ანალიზის დროს გამოკვეთენ სად აქვთ ხარვეზი, სუსტი მხარე და რისი გამოსწორებაა საჭირო.

რჩევა: სკოლაში შეიქმნას ხარისხის მართვის ჯგუფის გაკვეთილზე დასწრების კრიტერიუმები და უკუკავშირის ფორმა. **ინდიკატორი 2.1.2.5. შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*

- *შეფასების რუბრიკები;*
- *სკოლის ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარი.*
- *მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი .*

შეფასება:
o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ იმერის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მათი შედგენისას მოსწავლეების ინტერესები,სურვილები,შესაძლებლობები მნიშვნელოვნად არის გათვალისწინებული.საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებები მარვალეფროვანია და მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს.მოსწავლეები ქმნიან შემოქმედებით პროდუქტებს, ახორციელებენ პროექტებს.საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და საგნის ინდიკატორებს. შუალედური მიზნის როლს ასრულებს კომპლექსური დავალება, რომელიც მოსწავლეებს უვითარებს ფუნციურ უნარებს. სწავლის პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი სტრატეგიები. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს საინტერესო აქტივობებს, რომლებიც ბრდის მათ მოტივაციას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კეთებით სწავლებას, წახალისებულია

მოსწავლეთა ინიციატივები.მაგ. ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის საგნებში კომპლექსური დავალების შესასრულებისას მოსწავლე ბუნების მოვლენების ასახსნელად ჩაატარებს ექსპერიმენტს, მოამზადებს საინფორმაციო ბუკლეტს, შექმნის პოსტერს, პრეზენტაციას წარმოადგენს PowerPoint - ის ფორმატით. კურიკულუმში მოცემული შუალედური მიზნები, საშუალებას აძლევს მოსწავლეს, რომ ახალი ინფორმაცია გადაამუშაოს და განიხილოს ახალ კონტექსტში და თავისი სიტყვებით გადმოსცეს,იქნება ეს წერილობითი, თუ ზეპირი სახით. მოსწავლეებს უწევთ სხვადასხვა ტიპის დავალებების შესრულება, იქნება ეს პრეზენტაციები, პოსტერების შედგენა, ილუსტრირებული ტექსტების დაწერა, წერილის მიწერა თუ დიალოგების გათამაშება,სხვადასხვა ჯანრის ტექსტების შექმნა,კვლევის დაგეგმვა/განხორციელება და სხვ.. ყველა მათგანი მოითხოვს შემოქმედებითობას და აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. გარდა ამისა, როგორც ინტერვიუზე აღნიშნეს, კათედრები აქტიურად ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებს.მაგ.მოსწავლეთა აქტიური ჩართულობის მიზნით სკოლაში განხორციელებულია პროექტები ,,წიგნიერი თაობა" , ,, გენდერი და გენდერული ძალადობა", ,,საუკეთესო მკითხველი" და სხვ.ამდენად, სკოლას აქვს აქტიური სასწავლო პროცესების წარმართვის როგორც მზაობა, ისე გამოცდილება. სკოლა მომავალში სწავლა-სწავლების პროცესში კლასკომპლექტის სპეციფიკის გათვალისწინებით,დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებითა და კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებით გამდიდრებით ეცდება სასწავლო პროცესის ეფექტურობის მოსწავლეთა ჩართულობის კიდევ უფრო გაზრდას. **ინდიკატორი 2.2.1.1. შესაბამისია**

2.საბაზო საფეხურზე წარმოადგენილია კურიკულუმებში გაწერილი თემები, ქვეთემები, საკითხები და შუალედური მიზნები კომპლექსური დავავლებების სახით ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე გამოცდილებას, რაც უზრუნველყოფს ახალი ცოდნის თანდათანობით და ეტაპობრივად,მოსწავლისთვის საინტერესო კონტექსტში კონსტრუირების შესაძლებლობას.ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დავალებებზე მუშაობისას მასწავლებლები ყოველთვის ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე წინარე ცოდნას, რაც მათ უადვილებს, კომპლექსური დავალების შესრულებისას გადაჭრან მათთვის ნაცნობი პრობლემა და შექმნან საინტერესო პროდუქტი. კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში გამოიყენება სტრატეგიები, რომლებიც ეხმარება მოსწავლეს წინარე ცოდნის გააქტიურებაში, რაც მოსწავლეს უადვილებს ცოდნის კონსტრუირებას. მაგალითად, კითხვების დასმა,გონებრივი იერიში და სხვ. **ინდიკატორი2.2.1.2. შესაბამისობაშია**

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. საბაზო საფეხურის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ მოსწავლეებში მეტაკოგნიკური უნარების განვითარების მნიშვნელობა და ხელს უწყობენ მათ, კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში გააცნობიერებიერონ სწავლის პროცესი, გააააქტიურეონ კოგნიტური უნარები. შემოქმედებითი პროდუქტის წარდგენის პროცესში მოსწავლეები განიხილავენ საკუთარი სწავლის პროცესს, აღწერენ, რა სტრატეგიები გამოიყენეს დავალებაზე მუშაობის დროს, რა გამოუვიდათ კარგად, რა პრობლემა შეექმნათ დავალებაზე მუშაობის პროცესში, რას შეცვლიან მომავალში მსგავსი დავალების შექმნისას.მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგადაც დადასტურდა, რომ

სასწავლო პროცესში ყურადღება ექცევა მოსწავლეთა თვითშეფასებას, ურთიერთშეფასებას და წახალისებულია მოსწავლეთა მიერ საკუთარი სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. **ინდიკატორი 2.2.1.3.შესაბამისია**

4.სასწავლო პროცესში ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება საბაზო საფეხურის საგნობრივ პროგრამებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ პრაქტიკულ სამუშაოებსა და მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალური ტიპის აქტივობებში. სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა იძლევა მისი პრაქტიკაში რეალიზების საშუალებას. მოსწავლებს უმუშავდებათ პრაქტიკულ უნარი, თუ როგორ გადაწყვიტონ ესა თუ ის საკითხი. სასწავლო პროცესის დეკლარატიულ, პროცედურულ და პირობისეულ ცოდნაზე ორიენტირებულობა პირდაპირ უკავშირდება საფეხურის კომპლექსური ბუნების დავალებებში გაწერილ სამიზნე ცნების კონსტრუირებაზე ორიენტირებულ შეკითხვებს, ეროვნული სასწავლო გეგმა ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითად განიხილავს პროექტული, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელებას. ასევე, სკოლაში მოქმედი კლუბების საქმიანობასა და მიმდინარე პროექტების განხორციელებაში მოსწავლეთა ჩართულობა, თავის მხრივ, ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებას. მაგ.ეკოლოგიურად სუფთა წყლის პრობლემას მიეძღვნა პროექტი(ეყრდნობოდა მგრადი განვითარების მე-6 მიზანს),რომლის ფარგლებში მოსწავლეებმა მიღებული თეორიული ცოდნა განახორციელეს პრაქტიკაში.ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება გამოიკვეთა სასწავლო პროექტ ,,უხილავი ენერგიის სურნელში",მოსწავლეები დეკლარატიული ცოდნასთან ერთად დაეუფლენ პროცედურულ და პირობისეულ ცოდნას.შექმნეს ,, მწვანე სოფლის მოდელი",წყალზე მომუშავე ტურბინები,განათების სისტემა.

ინდიკატორი 2.2.1.4. შეესაბამისია

5.საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია იმგავრად, რომ მოსწავლეებს სთავაზობს გამოცდილებასთან ახლოს მდგომ პრობლემებს, რომელთა მოგვარება მოითხოვს მიღებული ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთდაკავშირებულად გამოყენებას. მოსწავლეს ცოდნის კონსტრუირების პროცესში უხდება წინა მასალის ან სხვა საგნებში ნასწავლის გახსენება და ურთიერთკავშირში გააზრება. საბაზო საფეხურზე სკოლა ზრუნავს მოსწავლეების ტრანსფერული უნარების განვითარებაზე, რასაც ხელს უწყობს ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება, კომპლექსური დავალებების, პროექტებისა და სხვა შემოქმედებით თუ კრიტიკულ აზროვნებაზე დაფუძნებული აქტივობების განხორციელება. ასეთი ტიპის დავალებების შეთავაზებით სკოლა მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, თავიანთი ცოდნა სხვადასხვა კონტექსტში გამოიყენონ. **ინდიკატორი 2.2.1.5. შესაბამისია**

დასტურდება (მტკიცებულებები):·

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- გაკვეთილის გეგმა
- სადამრიგებლო პროგრამები
- კათედრის სხომის ოქმი;
- *საბაზო საფეხურის კურიკულუმი*
- *სასწავლო პროექტი*
- *მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები*
- *მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი და ანგარიში*

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

კერძოდ, საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესი ხორციელდება ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად შექმნილი

საგნობრივი კურიკულუმებით. საგნობრივ სტანდარტებში გამოკვეთილია სავალდებულო თემები, სხვადასხვა საკითხზე შემუშავებული კომპლექსური დავალებები მიემართება გრძელვადიან მიზნებს (სამიზნე ცნებები, შედეგების ინდიკატორები). მოსწავლეები ახალი კუთხით წარმოაჩენენ ტექსტს, რომელიც პირდაპირ კავშირშია სამიზნე ცნებებთან. მოსწავლეები ქმნიან შემოქმედებით პროდუქტს, რომლითაც ადასტურებენ საკუთარ ცოდნას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. თუმცა, ყველა კომპლექსურ დავალებას არ ახლავს პირობები კრიტერიუმებით.მაგ.სახლემწიფო ენის კათედრის წარმომადგენლებს მიეცათ რჩევა, დავალებებს დაურთონ პირობები კრიტერიუმებით, რათა გაირკვეს, რამდენად სწორადაა განსაზღვრული ქვეცნება/ქვესაკითხები. ასევე, კლასკომპლექტში შემავალ კლასებს კომპლექსურ დავალებად მიეცეთ ერთი და იმავე ტიპის დავალება,მუშავდებოდეს ერთი და იიგივე მიმართულება,თემა და ა.შ. **ინდიკატორი2.2.2.1. შესაბამისია.**

2 წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. საგნობრივ კურიკულუმებში ასახული საკითხები მოსწავლეთათვის მათთვის ნაცნობ კონტექსტებს უკავშირდება, რაც დადებით ფსიქო-ემოციურ პირობებს ქმნის და მოსწავლეს პოზიტიური დამოკიდებულება უყალიბდება სწავლის მიმართ.სკოლა მოსწავლეს ეხმარება ისეთ პიროვნებად ჩამოყალიბებაში, რომელიც შეძლებს, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა. სადამრიგებლო პროგრამებით კლასის საათის ფარგლებში სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ისეთ თემებს, რომლებიც მათ პიროვნულ განვითარებას უწყობს ხელს, იგეგმება და ხორციელდება პროექტები პრიორიტეტულ თემებზე. სკოლა გამოხატავს მზაობას კვლავაც აქტიურად გააგრძელოს მუშაობა ამ მიმართულებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი არაფორმალური განათლების აქტივობები, კერძოდ, განხორციელებული პროექტები, ხელს უწყობს მოსწავლეთა გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. ეს ჩანს სკოლის მიერ წარმოდგენილი პროექტებიდან და მოსწავლეთა ნამუშევრებიდან. **ინდიკატორი2.2.2.2. შესაბამისობაშია**

3.საბაზო საფეხურზე განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს მოსწავლის თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების უნარების განვითრებას. განმავითარებელი შეფასება მოიცავს მოსწავლის ძლიერ და გამოსასწორებელ მხარეებს და ხელს უწყობს მისი განვითარების პროცესს. სკოლა, ძირითადად, იყენებს მიმდინარე განმავითარებელ შეფასებას მასწავლებლების მიერ გაკვეთილზე გაკეთებული კომენტარის სახით. ამ ეტაპზე სკოლაში წერილობითი შეფასება ყველა განხორციელებულ კომპლექსურ დავალებაზე არ კეთდება, თუმცა ზეპირ რეკომენდაციებს მოსწავლეები იღებენ როგორც მიმდინარე დავალებებში, ასევე შემაჯამებელ სამუშაოებში. სკოლა 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმში უპირატესობას

მიანიჭებს მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად სტანდარტის შედეგების მიღწევის დასადგენად სოლო ტაქსონომიის გამოყენებას, რაც საშუალებას მისცემს მასწავლებელს, დაადგინოს თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით რა ცოდნა მიიღო მოსწავლემ, რამდენად ახერხებს ამ ცოდნის გამოყენებას, შესაბამისად მისცემს განმავითარებელ რეკომენდაციებს. მასწავლებლებმა შეხვედრის დროს აღნიშნეს, რომ გასულ სასწავლო წელს უკვე ისარგებლეს განმსაზღვრელი შეფასების ახალი რუბრიკით. საბაზო საფეხურზე ფიზიკის მასწავლებელმა წარმოადგინა დიფერენცირებულ სწავლებაზე ორიენტირებული სავარჯიშო – სწავლება ილუსტრაციების მეთოდით. სავარჯიშოში ერთი და იმავე საკითხთან მიმართებაში კითხვები ორიენტირებული იყო მარტივიდან რთულისაკენ. მასწავლებლის განმარტებით:ყველა შესაძლებლობისა და უნარის მქონე მოსწავლეს ჰქონდა შესაძლებლობა ეპასუხა კითხვებისათვის.კითხვების თანმიმდევრობამ გაზარდა მოსწავლეთა ჩართულობა, ინტერესი და შესაბამისად შედეგიც.**ინდიკატორი2.2.2.3. შესაბამისია**

4. შეფასების სისტემის გამჭვირვალეობა ჩანს პირველ რიგში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებით, სადაც ჩაშენებულია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ ისინი გაკვეთილის დაწყებისთანავე აცნობს მოსწავლეებს შეფასების მექანიზმს, რომელი კრიტერიუმებით შეფასდება მათი მუშაობა და ცოდნა. ყოველივე ხელს უწყობს მოსწავლეებში შეფასების სანდოობისა და ვალიდობის გაზრდას. ასევე გაკვეთილებზე დაკვირვებების, დიაგნოსტიკური ტესტების საფუძველზე, ადგენენ თუ სად არის პრობლემა. ანალიზის შედეგებს ეცნობიან მოსწვლეები და კეთდება შესაბამისი უკუკავშირი, რაც შეფასებას ხდის მეტად გამჭირვალეს, ობიექტურსა და სამართლიანს. შეფასების სისტემა შემუშავებული და გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასების რუბრიკების შეთანხმება ხდება კათედრებზე. სასკოლო სასწავლო გეგმაში ამოიკითხება, რომ მეტი გამჭვირვალეობისთვის სკოლა გამოიყენებს სკოლის ვებგვერდს, ელექტრონულ ფოსტას,სოციალურ მედიას, ბეჭდვით მასალას, საინფორმაციო დაფას და სხვა საშუალებებს.სამომავლოდ სკოლა გეგმავს, რომ შეფასების სისტემა გახდეს უფრო მეტად ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **2.2.2.4. ინდიკატორი შესაბამისია**

5 სკოლის შეფასების სისტემის მექანიზმების ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემას. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები (რომელიც განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებლი დავალებების აღდგენისთვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისთვის და სხვა); მასწავლებლებს გააზრებული აქვსთ შეფასების ინსტრუმენტები, მოსწავლეთა საჭიროებისა და მისაღწევი შედეგის გათვალისწინებით. მასწავლებლებს გააჩნიათ შეფასების ინსტრუმენტების გადახედვა/ შეცვლის პრაქტიკა. თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ: ,,კათედრის სხდომებზე მუდმივად განიხილება შეფასების სისტემის საკითხი. ვერიფიკაციით

კეთდება მოსწავლის მიღწევის ანალიზი, ესენია მოსწავლის ნამუშევრების განხილვა პორტფოლიოები გამოფენები“.**2.2.2.5. ინდიკატორი შესაბამისია**

6 სკოლის თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ შეფასებები გაწერილია ,,ჟურნალში“ და ინახება 5 წლის ვადით.. მასწავლებლებთან გასაუბრების მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამჟამად მუშაობენ ელექტრონულ ჟურნალში, სადაც ხდება შეფასებების შეტანა კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასწავლო წლის ბოლის, კლასის ხელძღვანელი ელექტრონული ჟურნალის საფუძველზე ავსებს მოსწავლის პირად საქმეებს და ინახავს კანონმდებლობით დადგენილი ვადით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და დაცვას კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად.**ინდიკატორი2.2.2.6. შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):·

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვერიფიკაციის მექანიზმი
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;
- შეფასების მასალები;
- მასწავლებლის ანგარიშები
- სასწავლო პროექტები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ხარისხის ჯგუფის დებულება
- კათედრის ოქმი
- სსიპ წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ იმერის საჯარო სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
5. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
6. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1სკოლაში, საბაზო საფეხურზე შექმნილია ისეთი გარემო, სადაც უზრუნველყოფილია მოსწავლეთა მხარდაჭერა და მიმღებლობითი გარემო. სკოლის მიერ წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რითაც დასტურდება მოსწავლეთა მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნა..მასწავლებლები ინტერვიუს დროს აღნიშნავდნენ,რომ ისინი ორიენტირებულნი არიან არა დასჯაზე ,არამედ წახალისებაზე.ყველა მათი ინიციატივა არის მხარდაჭერილი,იქნება ეს სასწავლო პროცესში თუ არაფორმალურ გარემოში. შესაბამისად, **2.2.3.1. ინდიკატორი შესაბამისია .**

2კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, პროექტები და აქტივობები, იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად; აქ იგულისხმება მოსწავლეთა საჭიროებების კვლევა და ამ კვლევაზე დაფუძნებით შესაბამისი ცვლილებების შეტანა სასწავლო პროცესში, რაც დასტურდება სასკოლო სასწავლო გეგმით. ასევე, კათედრის შემაჯამებელი ოქმიდან ჩანს, რომ სკოლა აპირებს დიაგნოსტიკური ტესტირების ჩატარებას, თუმცა რა ინსტრუმენტს გამოიყენებდნენ ამისთვის და რამდენჯერ ჩაატარებდნენ დიაგნოსტირებას, ეს შემაჯამებელი ოქმიდან არ ჩანს. ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ დიაგნოსტირებისთვის გამოიყენებენ მეორე ინსტრუმენტს, რომელიც ,,საკლასო წერის" სახელწოდებითაა ცნობილი. მასწავლებლებმა ისაუბრეს დიაგნოსტიკური კვლევის მნიშვნელობაზე და დაადასტურეს, რომ დიაგნოსტიკურ კვლევას ჩაატარებენ წელიწადში ორჯერ: წლის დასაწყისში, რაც მათ საშუალებას მისცემს, როგორ დაგეგმონ სასწავლო პროცესი და სასწავლო წლის დასრულებამდე თვე-ნახევარით ადრე, რაც მათ საშუალებას მისცემს, მეტი აქცენტები გააკეთონ მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით. შესაბამისად, **2.2.3.2. ინდიკატორი შეაბამისია**

3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.მასწავლებლები თამანშრომლობენ კურიკულუმების შედგენისა და განხორცილების პროცესში, უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას.აქვთ მუდმივი კომუნიკაცია მშობლებთან როგორც ონლაინ

ფორმატით,ასევე,პირისპირ შეხვედრის სახით.სკოლაში მცირე კონტიგენტის გამო არსებოს კლასკომპლექტები,მიუხედავად მცირე ასაკობრივი სხვაობისა,მასწავლებლები ინტერვიუს დროს აღნიშნავენ,რომ მოსწავლეებს შორის არის პოზიტიური გარემო.აღნიშნეს,რომ თანამშრომლობითი უნარის განვითარებას ხელს უწყობს კომპლექსური ბუნების დავალებები,როდესაც მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ ნაშრომებს,იღებენ უკუკავშირს. სკოლაში არის მეგობრული, ურთიერთთანამშრომლობაზე დაფუძნებული გარემო სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის.შესაბამისად, **ინდიკატორი 2.2.3.3. შესაბამისია.**

4 სასწავლო პროცესში შექმნილია ნდობაზე დაფუძნებული, მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრები თანასწორნი არიან. კათედრის წევრები პერიოდულად ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს,პროექტებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ პოზიტიურ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით, რაც უზრუნველყოფს მაღალ მიმღებლობას. მიუხედავად არსებული განსხვავებებისა და თავისებურებებისა, სკოლაში არსებობს ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო მათი სრულფასოვანი განვითარებისათვის. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი, როგორც კლასის, ისე სკოლის დონეზე. მასწავლებლები არიან ერთმანეთის მხარდამჭერები სასწავლო პროცესში და ორიენტირებული არიან მოსწავლეებს შეუქმნან უსაფრთხო, პოზიტიური სასწავლო გარემო. დაგეგმილი აქტივობები,ექსკურსიები, შეჯიბრებები, ინტელექტუალური თამაშები და სხვა ღონისძიებები ეხმარება მოსწავლეებს მეგობრული და კეთილგანწყობილი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში.მიმღებლობითი და მხარდამჭერილი გარემო განსაკუთრებით გამოკვეთილია არაფორმალური განათლების მიმართულებით,კერძოდ,კლუბური მუშაობებსა და პროექტებში,სადაც თითოეული მოსწავლის მოსაზრება მიღებული და დაფასებულია. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს გააზრებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა.აქედან გამომდინარე,**ინდიკატორი2.2.3. 4 შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- გახორციელებული პროექტი
- სასკოლო-სასწავლო გეგმა;

- სადამრიგებლო პროგრამა;
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა*

შეფასება:
0 გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
0 შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ვიზიტის დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათი კათედრის საქმიანობა და პრაქტიკა ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების პროცესს. სკოლას წარმოდგენილი აქვს პედაგოგიური საბჭოს ოქმები, რომლებშიც განხილულია სემეტრის და სასწავლო წლის ანგარიშები.მართალია, სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, თუმცა საჭიროებს მკაფიოდ გამოყონ და დააკონკრეტონ მონიტორინგისა და შეფასების პრინციპები, მიმართულებები, ფორმატი, ვადები და ინსტრუმენტები. **2.3.1.1.ინდიკატორთან ნაწილობრივ არის შესაბამისობა**

2. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც უზრუნელყოფს ხარიხის კონტროლს სკოლაში.კათედრის წევრები ესწრებიან გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და ერთმანეთს სთავაზობენ განვითარებაზე ორინტირებულ

უკუკავშირს. სკოლამ შეიმუშავა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, თუმცა საჭირო მკაფიოდ გამოიყოს და დაკონკრეტდეს მონიტორინგისა და შეფასების პროცესი და ინსტრუმენტები (მაგალითად, კვლევის პრაქტიკა ინტერვიუს ან ფოკუს-ჯგუფის ფორმატში), რომლის საშუალებითაც სკოლა დააგენს მონიტორინგისა და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია „დასჯა-წახალისებად", თუ მხარდაჭერის მექანიზმად. **2.3.1.2. ინდიკატორთან შესაბამისობაშია**

3.მასწავლებლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს,რომ კათედრები აპირებენ მომავალი სასწავლო წლიდან სადიაგნოსტიკო ტესტები და შეფასების ინსტრუმენტები უფრო აქტიურად გამოიყენონ პრობლემების საკვლევად და აღმოსაფხვრელად. სამომავლოდ უფრო მასშტაბურად, სტრუქტურიზებულად და სისტემურად იგეგმება დიაგნოსტიკური კვლევების მეთოდების გამოყენების გზით კურიკულუმის დანერგვის/ მიმდინარეობის პროცესის მონიტორინგი. მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს კათედრა აუცილებლად გაითვალისწინებს და შესაბამის ცვლილებებს შეიტანს მომავალი სასწავლო წლისთვის დაგეგმილ კურიკულუმებში.სკოლის მიერ შექმნილ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში საჭირო მკაფიოდ იქნეს ახსნილი მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე თუ როგორ უნდა მოხდეს რეკომენდაციების შემუშავება კურიკულუმის გაუმჯობესების მიზნით.მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მონიტორინგისა და შეფასებისას იდენტიფიცირებული იქნება საშუალო საფეხურზე მიღწევები და პრობლემები თვითშეფასების საგაკვეთილო დაკვირვების, ტესტირების და სხვა მეთოდების დახმარებით.მოხდება მათი შეფასება/ანალიზი და დაიგეგმება არსებული გამოწვევების მოგვარების გზები.**2.3.1.3. ინდიკატორთან შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ წალკის რაიონის სოფელ იმერის აჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *სსიპ წალკის რაიონის სოფელ იმერის საჯარო სკოლის თვითშეფასების ფორმა;*
- *კათედრის ოქმები;*
- *შემაჯამებელი დავალების ანალიზი;*
- *საბაზო საფეხურის შეფასების რუბრიკები;*
- *სკოლის შინაგანაწესი და სასწავლო პრორცესის მარეგულირებელი სხვა მასალები.*
- *საბაზოსაფეხურის კურიკულუმები.*

- *სასკოლო სასწავლო გეგმა,*
- *კათედრის ოქმი*

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 სსიპ წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ იმერის საჯარო სკოლაში ყოფნისას,დოკუმენტების გაცნობისას და მასწავლებლებთან ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შეფასება დაეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება განხორციელდება სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. შეფასების ჰოლისტური ხასიათი გულისხმობს ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას და

მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. ინტერვიურების დროს მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ პროცესების, მოსწავლის პრობლემის გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია, ეს ინფორმაცია მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან კი ჩანს, რომ მოსწავლეების შეფასება ხორციელდება როგორც ფაქტობრივი და პროცედურული, ასევე პირობისეული ცოდნის გათვალისწინებით. ეს დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან, კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებიდან, რომელთა შესრულებაც მოითხოვს სამივე კატეგორიის ცოდნას. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრებულია, რომ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებელი ინდივიდია და თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი. მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. მიმდინარე განმავითარებელი შეფასების სისტემატიური გამოყენება ეხმარება მოსწავლეებს უნარების დახვეწაში სხვადასხვა რჩევის, რეკომენდაციისა თუ პრობლემის გადაჭრის გზების შემუშავების გზით. სამომავლოდ სკოლას აქვს მზაობა მოსწავლეთა დიაგნოსტირებისთვის გამოიყენოს სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტი.შესაბამისად, **2.3.2.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2 სკოლის სამოქმედო გეგმიდან ჩანს, რომ მოსწავლეთა შეფასება განხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, ინტერვიურების პროცესში კათედრის წევრები საუბრობდნენ უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალებების შესახებ, ისინი აღნიშნავდნენ, რომ ახორციელებდნენ კომპლექსურ დავალებებს და ამ მხრივ, გარკვეული გამოცდილება დაუგროვდათ. განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებულია შეფასების კრიტერიუმები, შეფასების კრიტერიუმებში კი გათვალისწინებულია კომპლექსური დავალებების შესაბამისი კონტექსტები.საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული შეფასების სისტემა კომპლექსურია და მოიცავს ბევრ სხვადასხვა მიმართულებას. მოსწავლე არ ფასდება ცალსახად მხოლოდ მის მიერ გამოვლენილი ცოდნის საფუძველზე, არამედ ხდება სხვა ბევრი ფაქტორის გათვალისწინებაც.მიუხედავად კლასკომპლექტებისა, საგაკვეთილო პროცესი ხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით: წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია. შეფასებაც ხორციელდება შესაბამისი რუბრიკებით. აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას, ურთიერთშეფასებასა და თვითმონიტორინგს. შეფასება ეხმარება გააცნობიერონ მუშაობის პროცესში გამოვლენილი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები. შეფასება ხდება სისტემატიურად, კათედრაზე გამოიყენება, როგორც განმსაზღვრელი , ისე განმავითარებელი შეფასება. კათედრების მიერ შემუშავებულია შეფასების რუბრიკები, ჩამოყალიბებულია შეფასების კრიტერიუმები, მოსწავლეებს ეწერებათ მიმდინარე შეფასებები. შესაბამისად, **2.3.2.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. სკოლა საბაზო საფეხურზე აქტიურად იყენებს არაფორმალური განათლების აქტივობებს, საიდანაც ხდება მოსწავლეებზე მონაცემების შეგროვება, ასევე, კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, რომ შეფასება ხორციელდება მრავალფეროვან მეთოდებზე დაყრდნობით, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ; სიტუაციის, მოვლენის, მოსწავლის უნარისა და შესაძლებლობებისა თუ სხვა ასპექტების შესწავლისას გადამწყვეტია მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მიღება, რაც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით, რაც მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს. სკოლა გეგმავს შეფასების პირველ მოღელზე დარჩეს, სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ მოახდინოს მოსწავლეთა დიაგნოსტირება შეფასების მეორე ინსტრუმენტით, რაც ,,საკლასო წერის" სახელწოდებითაა ცნობილი' კათედრის წევრებთან ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა, რომ დიაგნოსტირებას ჩაატარებენ წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ისეთ დროს, მაგალითად აპრილში, რომ მოასწრონ მოსწავლეთა თუ კლასის პროფილების დადგენისას გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა. შესაბამისად, **2.3.2.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4.წარმოდგენილი კურიკულუმები მოიაზრებს შეფასება განხორციელდეს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს არნიშნეს,რომ მომავალში მოსწავლეზე დაკვირვება წარიმართება მულტიფაქტორული მიდგომის გათვალისწინებით, სხვადასხვა გარემოებებში, რის საშუალებასაც იძლევა დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და არაფორმალური აქტივობები. ასევე,გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ გეგმავენ კურიკულუმებში ისეთი სისტემის შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს არსებული სიტუაციის დანახვას მრავალმხრივი კონტექსტიდან და მიზნობრივ შეფასებას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ,სკოლას აქვს გამოცდილება შეფასება მოახდინოს სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, კერძოდ, მასწავლებელბი და დამრიგებელი აანალიზებენ მოსწავლის აკადემიურ და ფუნქციურ უნარებს და აკვირდებიან რა გარემო ფაქტორები (ოჯახი, ტრადიცია, თემი, ფასეულობები და სხვა) ახდენს გავლენას შედეგზე.**2.3.2.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საგნობრივი კურიკულუმები და მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები*
- *ერთწლიანი სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები*
- *პროექტის გეგმა*

შეფასება:
0 გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
0 შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია
2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის აქვს შექმნილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, აღნიშნულ დოკუმენტს აკლია კონკრეტიკა,არ არის მკაფიოდ გადმოცემული კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, ასევე მონიტორინგი და შეფასების შედეგები,თუმცა სკოლას გააჩნია მზაობა, რომ არსებული კურიკულუმის ანალიზის, მასწავლებლების ურთიერთდასწრებისა და თანამშრომლობის საფუძველზე შეიმუშავონ

კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტი,თუ როგორ გამოიყენონ დაგროვილი გამოცდილება სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

რჩევა:სკოლამ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში მკაფიოდ უნდა გაწეროს კურიკულუმის განვითარების,მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტი,მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. **2.4.1.1.ინდიკატორთან შესაბამისია.**

2. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლები საგნობრივ კათედრებზე შეხვედრისას ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, რაც აისახება ახალ კურიკულუმში: თემების განაწილება,საკითხების შერჩევა, დროის დათმობა, კომპლექსური დავალებების შესაბამისობა და სხვა. ამ მიმართულებით სკოლა გეგმავს კურიკულუმების განხორციელების პროცესში დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნას, სადაც გათვალისწინებული იქნება რევიზიის პროცესში გამოვლენილი ხარვეზები, საჭიროებები,პრობლემების გადაჭრის გზები.**2.4.1.2.ინდიკატორთან შესაბამისია.**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საბაზისაფეხურის კურიკულუმები*
- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა*
- *ვერიფიკაციის მექანიზმი*

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომონენტი 2.1 **კურიკულუმის შემუშავება**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.2 **კურიკულუმის განხორციელება**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.3 **კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.4 **კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი- ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ იმერის საჯარო სკოლას აქვს საშუალო საფეხურზე კურიკულემის შემუშავების გარკვეული პრაქტიკა ერთეულების სახით. ვიზიტის დროს გავეცანით კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტს,რომელიც საჭიროებს მეტად გამჭირვალობასა და კონკრეტიკას.მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა,რომ საშუალო საფეხურის კურიკულუმის შემუშავების პროცესი ეფუძნება მასწავლებლების ხედვებს, გამოცდილების გაზიარებასა და საბოლოო ვერსიაზე შეჯერებას. კურიკულუმების შემუშავებისას ხელს უწყობენ მოსწავლეებისა და მშობლების ჩართულობას. ცდილობენ გაითვალისწინონ მოსწავლეების საჭიროებები,ინტერესები,შესაძლებლობები. მაგალითად, რესურსებისა და კომპლექსურების შერჩევისას ან/და პროექტების დაგეგმვისას. ასევე,კურიკულუმის შემუშავების პროცესში ითვალისწინებენ მშობელთა უკუკავშირს,ამ მიზნით ატარებენ მათ წერილობით გამოკითხვას. სკოლა ცდილობს დაინახოს საშუალო საფეხურზე არსებული გამოწვევა და პრობლემა.

რჩევა: კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში მკაფიოდ უნდა ჩანდეს სასკოლო საზოგადოების ინტერესების,შეხედულებების,პრიორიტეტების გათვალისწინების საშუალებები და მეთოდები.. ***ინდიკატორი 2.1.1.1 სტანდარტთან შესაბამისია.***

2 კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და პედაგოგებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ შემუშავებულ კურიკულუმში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები,საჭიროებები და შესაძლებლობები. მასწავლებლებმა გაანალიზეს სასწავლო წლის შედეგები, მიმდინარეობდა შეხვედრები მშობლებთან,ჩატარდა მათი წერილობითი გამოკითხვა მათი მოსაზრებების,ინტერესების, საჭიროებების დასადგენად.მიღებული უკუკავშირი გაითვალისწინეს კურიკულმის შემუშავებისას.მაგალითად,სასწავლო წლის განმავლობაში, მასწავლებლები, კათედრების მიხედვით, ერთობლივად განიხილავენ განხორციელებულ აქტივობებსა და სასწავლო პროცესს,როგორც ფორმალური,ასევე,არაფორმალური მიმართულებით,ითვალისწინებენ სკოლაში კლასკომპლექტების არსებობას და მასთან დაკავშირებულ გამოწვევებს. თუკი ანალიზის დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებს გაუჭირდათ რომელიმე აქტივობის შერულება, არ მოეწონათ კონკრეტული აქტივობა, ან გამოთქვეს რაიმე მოსაზრება მის ჩანაცვლებასთან დაკავშირებით, ცდილობენ გაითვალისწინონ მყისიერად ან მომდევნო სასწავლო წლისთვის/სემესტრისთვის ამ კონკრეტულ თემაზე მუშაობასისას. რადგანაც სკოლას აქვს გარკვეული ხედვა და გამოცდილება ამ მიმართულებით, ***ინდიკატორი 2.1.1.2 სტანდარტთან შესაბამისია.***

3.საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი შემუშავდა კათედრებზე. შედგენაში მონაწილეობა მიიღო კათედრის ყველა წევრმა. მათ შეადგინეს კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტი თითოეული კლასისათვის, შეათანხმეს განსახორციელებელი კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებები, შეთანხმდნენ განმავითარებელი შეფასების ფორმებზე და სხვა. კურიკულუმის შემუშავებაში საზოგადოების სხვა წევრებს,მაგ. მოსწავლეებს, მშობლებს უშუალოდ არ მიუღიათ მონაწილეობა, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შედგენისას გათვალისწინებული იყო მათი ინტერესები,საჭიროებები,შესაძლებლობები. სასკოლო კურიკულუმი საჯაროა და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის მაგ. საგნობრივი პროგრამები,სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიური კალენდარი, არაფორმალური სწავლის მეთოდები, საშუალებები და ა.შ. ამდენად, ***ინდიკატორი 2.1.1.3 სტანდარტთან შესაბამისია.***

4..როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კურიკულუმების შემუშავებში მეტ-ნაკლებად გათვალისინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები,შესაძლებლობები.სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასებისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. სკოლა იყენებს მშობლებთან კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმას, როგორც სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში, ისე ინდივიდუალურ შეხვედრებს.სკოლა სოციალურ გვერდზე აზაირებს როგორც კურიკულუმს, ისე მისი განხორციელების ამსახველ მასალას. მასწავლებლებთან ინფორმირებისათვის იყენებენ დახურულ ჯგუფებს სოციალურ ქსელში.სკოლა მომავალში გეგმავს მსგავსი ინფორმაციის გაზიარებას სკოლის ვებგვერდზე. ***ინდიკატორი 2.1.1.4 სტანდარტთან შესაბამისია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;
- კათედრის სამუშაო შეხვედრის ოქმი;
- *2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1 შემუშავებული კურიკულუმიები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2 კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3 სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4 განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ დაგეგმვის პორიენტირებს;
5 როცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კერძოდ, სკოლა საშუალო საფეხურზე მოსწავლეებს სთავაზობს საგნობრივ პროგრამას, რომელიც დაგეგმილია საფეხურის დონეზე განსაზღვრული მისაღწევი შედეგების გათვალისწინებით. სწავლის მიზნები ფორმულირებულია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით; სასწავლო პროცესი დაგეგმილია თემატურად. თემა წარმოადგენს მოსწავლის გამოცდილებასთან ახლოს მყოფ კონტექსტს საგნობრივი ცოდნის დასამუშავებლად.. პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს, არის მოსწავლეზე ორიენტირებული, მათი ასაკობრივი შესაძლებლობების მიხედვით შემუშავებული .სკოლას მიერ კურიკულუმების ჩარჩოებში წარმოდგენილი დავალებები უმეტესად კომპლექსური ბუნებისაა ,შემუშავებული კურიკულუმები იძლევა მოსწავლეთათვის საინტერესო ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან ახლოს მდგომი საკითხების შესწავლის შესაძლებლობას,რაც შეიძლება მივიჩნიოთ მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომად. კურიკულუმში წარმოდგენილი დავალებების შესრულება მოსწავლეს რთავს აქტიური სწავლის პროცესში, აქცევს მას სასწავლო პროცესის სუბიექტად. კურიკულუმები გაწერილია კონსტრუქტივივისტური პრინციპების საფუძველზე და ეყრდნობა წინა სასწავლო წელს განხორციელებული კომპლექსური დავალებების ანალიზს, ასევე, მოსწავლეთა წინარე გამოცდილებას. ინტეგრირებული სწავლების პრაქტიკა ხელს უწყობს სასკოლო პროექტების წარმატებით განხორციელებას.**ინდიკატორი 2.1.2.1. შესაბამისია.**

2 საშუალო საფეხურის კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილია კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელთა შესასსრულებლად მოსწავლეს ინტეგრირებული გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები დასჭირდება და სიღმისეულად გააააზრებინებს მასალას. შესაბამისად, კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში, სხვადასხვა აქტივობისა და რესურსების დამუშავებისას, მოსწავლეებს განუვითარდებათ ფუნქციური უნარები.საშუალო საფეხურის კომპლექსური დავალების პირობები ,წარმოდეგნილი პროექტები ააქტიურებენ გლობალურ ფუნქციურ უნარებს: მაგალითად, როლური თამაში, პოსტერის,დღიურის,ბუკლეტის დამზადება/პრეზენტაცია, და სხვ.საშუალო საფეხურის კათედრის ანგარიშებში ჩანს, რომ სასწავლო წლის მანძილზე სკოლამ არაერთი პროექტი განახორციელა საგნობრივი თვალსაზრისით, რაც ზოგჯერ საგანთაშორის ინტეგრირებასაც გულისხმობდა და მოსწავლეთა შორის შემოქმედებითი, კრიტიკული, სოციალური თუ ა.შ. უნარების განვითარებასაც.

სკოლას მიეცეს რჩევა : კურიკულუმის ჩარჩოებში თემაში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება, გაუმჯობესდეს კონტექსტ-მაგალითები.

ინდიკატორი 2.1.2.2. შესაბამისია

3 საშუალო საფეხურზე მასწავლებლები ითვალისწინებენ სკოლაში კლასკომპლექტების არსებობას, შესაბამისად, მეტად ექცევა ყურადღება დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს,საწავლო პროცესი იგეგმება კონკრეტული მოსწავლის ინტერსებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. მასწავლებლები მოსწავლეებს სასწავლო რესურსებსა და მასალას სთავაზობენ მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით. კერძოდ, კომპლექსური დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა საერთო ინტერესიდან და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით. გარდა ამისა, კათედრებზე იქმნება მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები მაქსიმალურად ცდილობენ სასწავლო პროცესში თითოეული მოსწავლის ჩართვას. ამ მიზნით იყენებენ დიფერენცირებული სწავლების სტარტეგიებს. გარდა ამისა, მოსწავლეებს აძლევენ შემოქმედებითი პროდუქტის ფორმის არჩევანის შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.1.2.3. შესაბამისია.

4.საშუალო საფეხურის მასწავლებლებმა მიმდინარე 2023 წელს ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში გაიარეს ქოუჩინიგი. ქოუჩინგის ფარგლებში სხვა მიმდინარე საიხლეებთან ერთად ისინი გაეცნენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების ახალ მიდგომებს გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებთან მიმართებაში. შედეგად, ავტორიზაციის მასალებში წარმოდგენილია ორივე ფორმის შეფასების რუბრიკა. განმავითარებელი შეფასება დაეხმარება მასწავლებელს დროულად აღმოაჩინოს მოსწავლის სუსტი მხარეები და მისცეს მიმართულება, სანამ ქულით შეაფასებს. კურიკულუმში გათვალისწინებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები.

მასწავლებელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში, X- XI კლასებში აქტიურად იყენებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტებს/რუბრიკებს. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული შეფასების პროცესში - თემის დაწყებამდე მასწავლებლები იკვლევენ მოსწავლის წინარე ცოდნას, არკვევენ, ახერხებს თუ არა მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას.2023-2024 სასწავლო წლის მიმდინარეობისას სკოლა გეგმავს საშუალო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი თემების ფარგლებში დამატებით განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნას. მიუხედავად არსებული რეალობისა, სკოლისა და მასწავლებლებისთვის გამოწვევად რჩება შეფასების მეთოდის სიღრმისეულად გაგება, რის გამოც სკოლა მაქსიმალურად ჩაერთვება შესაბამის ტრენინგ-სემინარებში, რათა მოხდეს გააზრება და დახვეწა. **ინდიკატორი 2.1.2.4. შესაბამისია.**

5 საშუალო საფეხურზე შემსვლელელმა საგნების მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულემის შემუშავებისას და შესაბამისად გაკვეთილის დაგეგმვის პროცესში ეყრდნობიან და ითვალისწინებენ.შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზს,კათედრის ოქმებში წარმოდგენილ სემესტრულ და წლიურ ანგარიშებს,პედსაბჭოს ოქმებში წარმოდგენილ სემესტრულ და წლიურ ანგარიშებს,თვითშეფასებებს, რეფლექსიას.მასწავლებლები ითვალისწინებენ ხარისხის მართვისა და პროფესიული განვითარების ჯგუფის წევრებისგან და ,,კრიტიკული მეგობრისგან'' მიღებულ უკუკავშირებს. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა დამატებით განმარტა, რომ შემაჯამებელი სამუშაოს წერის დროს იყენებს როგორც დახურულ, ასვე ღია დაბოლოებიან დავალებებს. ეს მასწავლებელს აძლევს საშუალებას შეამოწმოს არამარტო ცოდნა, არამედ სააზროვნო უნარების განვითარებაც. ანალიზის დროს გამოკვეთენ სად აქვთ ხარვეზი, სუსტი მხარე და რისი გამოსწორებაა საჭირო.

რჩევა: სკოლაში შეიქმნას ხარისხის მართვის ჯგუფის გაკვეთილზე დასწრების კრიტერიუმები და უკუკავშირის ფორმა.

ინდიკატორი 2.1.2.5. შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *შეფასების რუბრიკები;*

- *სკოლის ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარი.*
- *მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი .*

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1 სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ იმერის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის კურიკულუმების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მათი შედგენისას მოსწავლეების ინტერესები,სურვილები,შესაძლებლობები მნიშვნელოვნად არის გათვალისწინებული.საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებები მარვალეფროვანია და მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. მოსწავლეები ქმნიან შემოქმედებით პროდუქტებს, ახორციელებენ პროექტებს. საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და საგნის ინდიკატორებს. შუალედური მიზნის როლს ასრულებს კომპლექსური დავალება, რომელიც მოსწავლეებს უვითარებს ფუნციურ უნარებს. სწავლის პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი სტრატეგიები. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს საინტერესო აქტივობებს, რომლებიც ზრდის მათ მოტივაციას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კეთებით სწავლებას, წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები. კურიკულუმში მოცემული შუალედური მიზნები, საშუალებას აძლევს მოსწავლეს, რომ ახალი ინფორმაცია გადაამუშაოს და განიხილოს ახალ კონტექსტში და თავისი სიტყვებით გადმოსცეს,იქნება ეს წერილობითი, თუ ზეპირი სახით. მოსწავლეებს უწევთ სხვდასხვა ტიპის დავალებების შესრულება, იქნება ეს პრეზენტაციები, პოსტერების შედგენა, ილუსტრირებული ტექსტების დაწერა, წერილის მიწერა თუ დიალოგების გათამაშება. ყველა მათგანი მოითხოვს შემოქმედებითობას და აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. ინტერვიუსას ინგლისური ენის მასწავლებელმა აღნიშნა, რომ იგი აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა პროექტებში. მაგალითად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის SALIS-ის ლაბორატორიის მიერ განხორციელებულ საერთაშორისო პროექტებში. როგორც მან აღნიშნა, გასულ სასწავლო წელს, აღნიშნული ლაბორატორიის პროექტის ფარგლებში წარდგენილმა მათმა პროექტმა მოიპოვა გამარჯვება და წარდგენილ იქნა გერმანიაში. როგორც ვიცით, პროექტები მოიაზრებს სხვდასხვა მრავალფეროვან აქტივობებს და შესაბამისად მოსწავლეებიც ჩართულნი იქნებოდნენ აქტიურ შემოქმედებით პროცესებში.ამდენად, სკოლას აქვს აქტიური სასწავლო პროცესების წარმართვის როგორც მზაობა, ისე გამოცდილება.

სკოლა მომავალში სწავლა-სწავლების პროცესში კლასკომპლექტის სპეციფიკის გათვალისწინებით,დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებითა და კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებით გამდიდრებით ეცდება სასწავლო პროცესის ეფექტურობის გაზრდას,მოსწავლეთა კიდევ უფრო გააქტიურებასა და ჩართულობის კიდევ უფრო გაზრდას. ასეთი მიდგომით შესაძლოა კარგი შედარებითი ანალიზიც გამოვიდეს, რაც გეგმიურად გათვალისწინებული კონტექსტ-მაგალითების განხილვასთან ერთად შინაარსების უფრო სიღმისეულად გააზრებას შეუწყობდა ხელს.

ინდიკატორი 2.2.1.1. შესაბამამისია

2.საშუალო საფეხურზე წარმოადგენილია კურიკულუმებში გაწერილი თემები, ქვეთემები, საკითხები და შუალედური მიზნები კომპლექსური დავავლებების სახით ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე გამოცდილებას, რაც უზრუნველყოფს ახალი ცოდნის თანდათანობით და

ეტაპობრივად,მოსწავლისთვის საინტერესო კონტექსტში კონსტრუირების შესაძლებლობას.ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დავალებებზე მუშაობისას მასწავლებლები ყოველთვის ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე წინარე ცოდნას, რაც მათ უადვილებს, კომპლექსური დავალების შესრულებისას გადაჭრან მათთვის ნაცნობი პრობლემა და შექმნან საინტერესო პროდუქტი. კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში გამოიყენება სტრატეგიები, რომლებიც ეხმარება მოსწავლეს წინარე ცოდნის გააქტიურებაში, რაც მოსწავლეს უადვილებს ცოდნის კონსტრუირებას. მაგალითად, კითხვების დასმა,გონებრივი იერიში და სხვ. **ინდიკატორი2.2.1.2. შესაბამისობაშია**

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.საშუალო საფეხურის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ მოსწავლეებში მეტაკოგნიკური უნარების განვითარების მნიშვნელობა და ხელს უწყობენ მათ, კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში გააცნობიერებიერონ სწავლის პროცესი, გააააქტიურეონ კოგნიტური უნარები. შემოქმედებითი პროდუქტის წარდგენის პროცესში მოსწავლეები განიხილავენ საკუთარი სწავლის პროცესს, აღწერენ, რა სტრატეგიები გამოიყენეს დავალებაზე მუშაობის დროს, რა გამოუვიდათ კარგად, რა პრობლემა შეექმნათ დავალებაზე მუშაობის პროცესში, რას შეცვლიან მომავალში მსგავსი დავალების შექმნისას.მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგადაც დადასტურდა, რომ სასწავლო პროცესში ყურადღება ექცევა მოსწავლეთა თვითშეფასებას, ურთიერთშეფასებას და წახალისებულია მოსწავლეთა მიერ საკუთარი სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი.საშუალო საფეხურზე ხდება ამ პროცესზე განსაკუთრებული ყურადღების მიქცევამ, მასწავლებლები მიუხედავად მოსწავლეთა მცირე რაოდენობისა,ცდილობენ მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით მათ დაეხმარონ თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების უნარის განვითარებაში.ხშირად მისცენ ისეთი დავალებები,რომლებიც ხელს შეუწყობს სწავლის სწავლას.

რჩევა: სასურველია კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებით გამდიდრება და, ასევე, კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე სასკოლო პროექტის დაგეგმვა-განხორციელება, ისე, რომ მოსწავლეებს საშუალება ჰქონდეთ მონაწილეობა მიიღონ პროექტის მართვასა და განხორციელებული აქტივობების რეფლექსიაში.

ინდიკატორი 2.2.1.3.შესაბამისია

4.სასწავლო პროცესში ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება საგნობრივ პროგრამებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ პრაქტიკულ სამუშაოებსა და მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალური ტიპის აქტივობებში. სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა იძლევა მისი პრაქტიკაში რეალიზების საშუალებას. მოსწავლებს უმუშავდებათ პრაქტიკულ უნარი, თუ როგორ გადაწყვიტონ ესა თუ ის საკითხი. სასწავლო პროცესის დეკლარატიულ, პროცედურულ და პირობისეულ ცოდნაზე ორიენტირებულობა პირდაპირ უკავშირდება საფეხურის კომპლექსური ბუნების დავალებებში გაწერილ სამიზნე ცნების კონსტრუირებაზე ორიენტირებულ შეკითხვებს, ეროვნული სასწავლო გეგმა ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითად განიხილავს პროექტული, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელებას. ასევე, სკოლაში

მოქმედი კლუბების საქმიანობასა და მიმდინარე პროექტების განხორციელებაში მოსწავლეთა ჩართულობა, თავის მხრივ, ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებას.

ინდიკატორი 2.2.1.4. შეესაბამისია

5.საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია იმგავრად, რომ მოსწავლეებს სთავაზობს გამოცდილებასთან ახლოს მდგომ პრობლემებს, რომელთა მოგვარება მოითხოვს მიღებული ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთდაკავშირებულად გამოყენებას. მოსწავლეს ცოდნის კონსტრუირების პროცესში უხდება წინა მასალის ან სხვა საგნებში ნასწავლის გახსენება და ურთიერთკავშირში გააზრება. საფეხურზე სკოლა ზრუნავს მოსწავლეების ტრანსფერული უნარების განვითარებაზე, რასაც ხელს უწყობს ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება, კომპლექსური დავალებების, პროექტებისა და სხვა შემოქმედებით თუ კრიტიკულ აზროვნებაზე დაფუძნებული აქტივობების განხორციელება. ასეთი ტიპის დავალებების შეთავაზებით სკოლა მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, თავიანთი ცოდნა სხვადასხვა კონტექსტში გამოიყენონ. **ინდიკატორი 2.2.1.5. შესაბამისია**

დასტურდება (მტკიცებულებები):·

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- გაკვეთილის გეგმა;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- კათედრის სხომის ოქმი;
- *საშუალო საფეხურის კურიკულუმები;*
- *სასწავლო პროექტები მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;*
- *მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი და ანგარიში;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2 .საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3 .შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4 .შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. კერძოდ, საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი ხორციელდება ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად შექმნილი საგნობრივი კურიკულუმებით. საგნობრივ სტანდარტებში გამოკვეთილია სავალდებულო თემები, სხვადასხვა საკითხზე შემუშავებული კომპლექსური დავალებები მიემართება გრძელვადიან მიზნებს (სამიზნე ცნებები, შედეგების ინდიკატორები). მოსწავლეები ახალი კუთხით

წარმოაჩენენ ტექსტს, რომელიც პირდაპირ კავშირშია სამიზნე ცნებებთან. მოსწავლეები ქმნიან შემოქმედებით პროდუქტს, რომლითაც ადასტურებენ საკუთარ ცოდნას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. თუმცა, ყველა კომპლექსურ დავალებას არ ახლავს პირობები კრიტერიუმებით.
რჩევა:სახლემწიფო ენის კათედრის წარმომადგენლებს მიეცათ რჩევა, დავალებებს დაურთონ პირობები კრიტერიუმებით, რათა გაირკვეს, რამდენად სწორადაა განსაზღვრული ქვეცნება/ქვესაკითხები. ასევე, კლასკომპლექტში შემავალ კლასებს კომპლექსურ დავალებად მიეცეთ ერთი და იმავე ტიპის დავალება,მუშავდებოდეს ერთი და იგივე მიმართულება,თემა და ა.შ. **ინდიკატორი2.2.2.1. შესაბამისია.**

2 წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. საგნობრივ კურიკულუმებში ასახული საკითხები მოსწავლეთათვის მათთვის ნაცნობ კონტექსტებს უკავშირდება, რაც დადებით ფსიქო-ემოციურ პირობებს ქმნის და მოსწავლეს პოზიტიური დამოკიდებულება უყალიბდება სწავლის მიმართ. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სკოლა მოსწავლეს ეხმარება ისეთ პიროვნებად ჩამოყალიბებაში, რომელიც შეძლებს, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა. სადამრიგებლო პროგრამებით კლასის საათის ფარგლებში სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ისეთ თემებს, რომლებიც მათ პიროვნულ განვითარებას უწყობს ხელს, იგეგმება და ხორციელდება პროექტები პრიორიტეტულ თემებზე. სკოლა გამოხატავს მზაობას კვლავაც აქტიურად გააგრძელოს მუშაობა ამ მიმართულებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი არაფორმალური განათლების აქტივობები, კერძოდ, განხორციელებული პროექტები, ხელს უწყობს მოსწავლეთა გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. ეს ჩანს სკოლის მიერ წარმოდგენილი პროექტებიდან და მოსწავლეთა ნამუშევრებიდან. **ინდიკატორი2.2.2.2. შესაბამისობაშია**

3 საშუალო საფეხურზე განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს მოსწავლის თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების უნარების განვითრებას. განმავითარებელი შეფასება მოიცავს მოსწვლის ძლიერ და გამოსასწორებელ მხარეებს და ხელს უწყობს მისი განვითარების პროცესს. სკოლა, ძირითადად, იყენებს მიმდინარე განმავითარებელ შეფასებას მასწავლებლების მიერ გაკვეთილზე გაკეთებული კომენტარის სახით. ამ ეტაპზე სკოლაში წერილობითი შეფასება ყველა განხორციელებულ კომპლექსურ დავალებაზე არ კეთდება, თუმცა ზეპირ რეკომენდაციებს მოსწავლეები იღებენ როგორც მიმდინარე დავალებებში, ასევე შემაჯამებელ სამუშაოებში. სკოლა 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმში უპირატესობას მიანიჭებს მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად სტანდარტის შედეგების მიღწევის დასადგენად სოლო ტაქსონომიის გამოყენებას, რაც

საშუალებას მისცემს მასწავლებელს, დაადგინოს თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით რა ცოდნა მიიღო მოსწავლემ, რამდენად ახერხებს ამ ცოდნის გამოყენებას, შესაბამისად მისცემს განმავითარებელ რეკომენდაციებს.

ინდიკატორი2.2.2.3. შესაბამისია

4.შეფასების სისტემის გამჭვირვალეობა ჩანს პირველ რიგში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებით, სადაც ჩაშენებულია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ ისინი გაკვეთილის დაწყებისთანავე აცნობს მოსწავლეებს შეფასების მექანიზმს, რომელი კრიტერიუმებით შეფასდება მათი მუშაობა და ცოდნა. ყოველივე ხელს უწყობს მოსწავლეებში შეფასების სანდოობისა და ვალიდობის გაზრდას. ასევე გაკვეთილებზე დაკვირვებების, დიაგნოსტიკური ტესტების საფუძველზე, აღგენენ თუ სად არის პრობლემა. ანალიზის შედეგებს ეცნობიან მოსწვლეები და კეთდება შესაბამისი უკუკავშირი, რაც შეფასებას ხდის მეტად გამჭირვალეს, ობიექტურსა და სამართლიანს. შეფასების სისტემა შემუშავებული და გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასების რუბრიკების შეთანხმება ხდება კათედრებზე. სასკოლო სასწავლო გეგმაში ამოიკითხება, რომ მეტი გამჭვირვალეობისთვის სკოლა გამოიყენებს სკოლის ვებგვერდს, ელექტრონულ ფოსტას, ელექტრონული ბრუნვის სისტემას, სოციალურ მედიას, ბეჭდვით მასალას, საინფორმაციო დაფას და სხვა საშუალებებს.სამომავლოდ სკოლა გეგმავს, რომ შეფასების სისტემა გახდეს უფრო მეტად ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **2.2.2.4. ინდიკატორი შესაბამისია**

5 სკოლის შეფასების სისტემის მექანიზმების ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემას. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები (რომელიც განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებლი დავალებების აღდგენისთვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისთვის და სხვა); მასწავლებლებს გააზრებული აქვსთ შეფასების ინსტრუმენტები, მოსწავლეთა საჭიროებისა და მისაღწევი შედეგის გათვალისწინებით. მასწავლებლებს გააჩნიათ შეფასების ინსტრუმენტების გადახედვა/ შეცვლის პრაქტიკა. თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ: ,,კათედრის სხდომებზე მუდმივად განიხილება შეფასების სისტემის საკითხი. ვერიფიკაციით კეთდება მოსწავლის მიღწევის ანალიზი, ესენია: მოსწავლის ნამუშევრების განხილვა პორტფოლიოები გამოფენები".**2.2.2.5. ინდიკატორი შესაბამისია**

6 სკოლის თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ შეფასებები გაწერილია ,,ჟურნალში" და ინახება 5 წლის ვადით.. მასწავლებლებთან გასაუბრების მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამჟამად მუშაობენ ელექტრონულ ჟურნალში, სადაც ხდება შეფასებების შეტანა კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასწავლო წლის ბოლის, კლასის ხელმძღვანელი ელექტრონული ჟურნალის საფუძველზე ავსებს მოსწავლის პირად საქმეებს და ინახავს კანონმდებლობით დადგენილი ვადით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და დაცვას კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად.**ინდიკატორი2.2.2.6. შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვერიფიკაციის მექანიზმი
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;
- შეფასების მასალები;
- მასწავლებლის ანგარიშები
- სასწავლო პროექტები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ხარისხის ჯგუფის დებულება-ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი
- კათედრის ოქმი
- სსიპ წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ იმერის საჯარო სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1სკოლაში,საშუალო საფეხურზე შექმნილია ისეთი გარემო, სადაც უზრუნველყოფილია მოსწავლეთა მხარდაჭერა და მიმღებლობითი გარემო. სკოლის მიერ წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რითაც დასტურდება მოსწავლეთა მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნა..მასწავლებლები ინტერვიუს დროს აღნიშნავდნენ,რომ ისინი ორიენტირებულნი არიან არა დასxაზე ,არამედ წახალისებაზე.ყველა მათი ინიციატივა არის მხარდაჭერილი,იქნება ეს სასწავლო პროცესში თუ არაფორმალურ გარემოში. შესაბამისად, **2.2.3.1. ინდიკატორი შესაბამისია .**

2კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, პროექტები და აქტივობები, იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად; აქ იგულისხმება მოსწავლეთა საჭიროებების კვლევა და ამ კვლევაზე დაფუძნებით შესაბამისი ცვლილებების შეტანა სასწავლო პროცესში, რაც დასტურდება სასკოლო სასწავლო გეგმით. ასევე, კათედრის შემაჯამებელი ოქმიდან ჩანს, რომ სკოლა აპირებს დიაგნოსტიკური ტესტირების ჩატარებას, თუმცა რა ინსტრუმენტს გამოიყენებდნენ ამისთვის და რამდენჯერ ჩაატარებდნენ დიაგნოსტირებას, ეს შემაჯამებელი ოქმიდან არ ჩანს. ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ დიაგნოსტირებისთვის გამოიყენებენ მეორე ინსტრუმენტს, რომელიც ,,საკლასო წერის" სახელწოდებითაა ცნობილი. მასწავლებლებმა ისაუბრეს დიაგნოსტიკური კვლევის მნიშვნელობაზე და დაადასტურეს, რომ დიაგნოსტიკურ კვლევას ჩაატარებენ წელიწადში ორჯერ: წლის დასაწყისში, რაც მათ საშუალებას მისცემს, როგორ დაგეგმონ სასწავლო პროცესი და სასწავლო წლის დასრულებამდე თვე-ნახევარით ადრე, რაც მათ საშუალებას მისცემს, მეტი აქცენტები გააკეთონ მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით. შესაბამისად, **2.2.3.2. ინდიკატორი შეაბამისია**

3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.მასწავლებლები თამანშრომლობენ კურიკულუმების შედგენისა და განხორცილების პროცესში, უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას.აქვთ მუდმივი კომუნიკაცია მშობლებთან როგორც ონლაინ ფორმატით,ასევე,პირისპირ შეხვედრის სახით.სკოლაში მცირე კონტიგენტის გამო არსებოს კლასკომპლექტები,მიუხედავად მცირე ასაკობრივი სხვაობისა,მასწავლებლები ინტერვიუს დროს აღნიშნავენ,რომ მოსწავლეებს შორის არის პოზიტიური გარემო.აღნიშნეს,რომ თანამშრომლობითი უნარის განვითარებას ხელს უწყობს კომპლექსური ბუნების დავალებები,როდესაც მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ ნაშრომებს,იღებენ უკუკავშირს. სკოლაში არის მეგობრული, ურთიერთთანამშრომლობაზე დაფუძნებული გარემო სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის.ინტერვიუს დროს აღნიშნავდნენ,რომ კათედრის წევრები პერიოდულად ესწრებიან ერთმანეთ გაკვეთილებზე,ერთობლივად გეგმავენ პროექტებს,მაგრამ სკოლაში არ გააჩნიათ უკუკავშირის ფორმა,რომლითაც იხელმძღვანელებენ.

რჩევა : ეფექტური უკუკავშირისთვის კათედრებმა შეიმუშაონ გაკვეთილებზე დასწრების ფორმა. **ინდიკატორი 2.2.3.3. შესაბამისია.**

4 სასწავლო პროცესში შექმნილია ნდობაზე დაფუძნებული, მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრები თანასწორნი არიან. კათედრის წევრები პერიოდულად ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს,პროეტებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ პოზიტიურ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით, რაც უზრუნველყოფს მაღალ მიმღებლობას. მიუხედავად არსებული განსხვავებებისა და თავისებურებებისა, სკოლაში არსებობს ჯანსაღი, ნდობაზე

დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო მათი სრულფასოვანი განვითარებისათვის. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი, როგორც კლასის, ისე სკოლის დონეზე.

მასწავლებლები არიან ერთმანეთის მხარდამჭერები სასწავლო პროცესში და ორიენტირებული არიან მოსწავლეებს შეუქმნან უსაფრთხო, პოზიტიური სასწავლო გარემო. დაგეგმილი აქტივობები,ექსკურსიები, შეჯიბრებები, ინტელექტუალური თამაშები და სხვა ღონისძიებები ეხმარება მოსწავლეებს მეგობრული და კეთილგანწყობილი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში. მიღებული და დაფასებულია თითოეულის მოსაზრება. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს გააზრებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა.აქედან გამომდინარე,**ინდიკატორი2.2.3. 4 შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- გახორციელებული პროექტი
- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა*

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1.მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ვიზიტის დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათი კათედრის საქმიანობა და პრაქტიკა ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების პროცესს. მონიტორინგი და შეფასება ეფუძნება მასწავლებელთა მხრიდან საკუთარი პრაქტიკის ანალიზს, განხორციელებული აქტივობების რეფლექსიებს, საგნობრივ კათედრებზე გაწეული სამუშაოების წლიურ ანგარიშებს. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელთა ფუნქციები უმეტესწილად მიმართულია მასწავლებლების მხარდაჭერაზე საგაკვეთილო პროცესზე. დაკვირვების ხარისხის განვითარების ჯგუფი ესწრება კათედრის წევრებს, აძლევს უკუკავშირს. ჯგუფის წევრები აჯამებენ განხორციელებულ საქმიანობას. სკოლას წარმოდგენილი აქვს პედაგოგიური საბჭოს ოქმები, რომლებშიც განხილულია სემეტრის და სასწავლო წლის ანგარიშები.მართალია, სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია,თუმცა მასში უფრო მკაფიოდ უნდა აისახოს ინფორმაცია მონიტორინგისა და შეფასების პროცესზე. **სკოლას მიეცა რჩევა:** კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში მკაფიოდ გამოყოს და დააკონკრეტო მონიტორინგისა და შეფასების პრინციპები,მიმართულებები,ფორმატი,ვადები და ინსტრუმენტები **2.3.1.1.ინდიკატორთან შესაბამისობაა**

2. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც უზრუნელყოფს ხარიხის კონტროლს სკოლაში.კათედრის წევრები ესწრებიან გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და ერთმანეთს სთავაზობენ განვითარებაზე ორინტირებულ უკუკავშირს. სკოლამ შეიმუშავა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, თუმცა საჭირო მკაფიოდ გამოიყოს და დაკონკრეტდეს მონიტორინგისა და შეფასების პროცესი და ინსტრუმენტები (მაგალითად, კვლევის პრაქტიკა ინტერვიუს ან ფოკუს-ჯგუფის ფორმატში), რომლის საშუალებითაც სკოლა დაადგენს მონიტორინგისა და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია „დასჯა-წახალისებად", თუ მხარდაჭერის მექანიზმად. **2.3.1.2. ინდიკატორთან შესაბამისობაშია**

3.მასწავლებლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს,რომ კათედრები აპირებენ მომავალი სასწავლო წლიდან სადიაგნოსტიკო ტესტები და შეფასების ინსტრუმენტები უფრო აქტიურად გამოიყენონ პრობლემების საკვლევად და აღმოსაფხვრელად. სამომავლოდ უფრო მასშტაბურად, სტრუქტურიზებულად და სისტემურად იგეგმება დიაგნოსტიკური კვლევების მეთოდების გამოყენების გზით კურიკულუმის დანერგვის/ მიმდინარეობის პროცესის მონიტორინგი. მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს კათედრა აუცილებლად გაითვალისწინებს და შესაბამის ცვლილებებს შეიტანს მომავალი სასწავლო წლისთვის დაგეგმილ კურიკულუმებში.სკოლის მიერ შექმნილ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში საჭირო მკაფიოდ იქნეს ახსნილი მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე თუ როგორ უნდა მოხდეს რეკომენდაციების შემუშავება კურიკულუმის გაუმჯობესების მიზნით.მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მონიტორინგისა და შეფასებისას იდენტიფიცირებული იქნება საშუალო საფეხურზე მიღწევები და პრობლემები თვითშეფასების საგაკვეთილო დაკვირვების, ტესტირების და სხვა მეთოდების დახმარებით.მოხდება მათი შეფასება/ანალიზი და დაიგეგმება არსებული გამოწვევების მოგვარების გზები.

2.3.1.3. ინდიკატორთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ წალკის რაიონის სოფელ იმერის აჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *სსიპ წალკის რაიონის სოფელ იმერის საჯარო სკოლის თვითშეფასების ფორმა;*
- *კათედრის ოქმები;*
- *შემაჯამებელი დავალების ანალიზი;*
- *საშუალო საფეხურის შეფასების რუბრიკები;*
- *სკოლის შინაგანაწესი და სასწავლო პრორცესის მარეგულირებელი სხვა მასალები.*
- *საშუალო საფეხურის კურიკულუმები.*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა,*
- *კათედრის ოქმი*

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 სსიპ წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ იმერის საჯარო სკოლაში ყოფნისას,დოკუმენტების გაცნობისას და მასწავლებლებთან ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შეფასება დაეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება განხორციელდება სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. შეფასების ჰოლისტური ხასიათი გულისხმობს ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. ინტერვიურების დროს მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ პროცესების, მოსწავლის პრობლემის გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია, ეს ინფორმაცია მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან კი ჩანს, რომ მოსწავლეების შეფასება ხორციელდება როგორც ფაქტობრივი და პროცედურული, ასევე პირობისეული ცოდნის გათვალისწინებით. ეს

დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან, კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებიდან, რომელთა შესრულებაც მოითხოვს სამივე კატეგორიის ცოდნას. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრებულია, რომ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებელი ინდივიდია და თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი. მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. მიმდინარე განმავითარებელი შეფასების სისტემატიური გამოყენება ეხმარება მოსწავლეებს უნარების დახვეწაში სხვადასხვა რჩევის, რეკომენდაციისა თუ პრობლემის გადაჭრის გზების შემუშავების გზით. სამომავლოდ სკოლას აქვს მზაობა მოსწავლეთა დიაგნოსტირებისთვის გამოიყენოს სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტი.შესაბამისად, **2.3.2.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2 სკოლის სამოქმედო გეგმიდან ჩანს, რომ მოსწავლეთა შეფასება განხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, ინტერვიურების პროცესში კათედრის წევრები საუბრობდნენ უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალებების შესახებ, ისინი აღნიშნავდნენ, რომ ახორციელებდნენ კომპლექსურ დავალებებს და ამ მხრივ, გარკვეული გამოცდილება დაუგროვდათ. განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებულია შეფასების კრიტერიუმები, შეფასების კრიტერიუმებში კი გათვალისწინებულია კომპლექსური დავალებების შესაბამისი კონტექსტები.დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული შეფასების სისტემა კომპლექსურია და მოიცავს ბევრ სხვადასხვა მიმართულებას. მოსწავლე არ ფასდება ცალსახად მხოლოდ მის მიერ გამოვლენილი ცოდნის საფუძველზე, არამედ ხდება სხვა ბევრი ფაქტორის გათვალისწინებაც. საგაკვეთილო პროცესი ხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით: წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია. შეფასებაც ხორციელდება შესაბამისი რუბრიკებით. აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას, ურთიერთშეფასებასა და თვითმონიტორინგს. შეფასება ეხმარება გააცნობიერონ მუშაობის პროცესში გამოვლენილი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები. შეფასება ხდება სისტემატიურად, კათედრაზე გამოიყენება, როგორც განმსაზღვრელი , ისე განმავითარებელი შეფასება. კათედრების მიერ შემუშავებულია შეფასების რუბრიკები, ჩამოყალიბებულია შეფასების კრიტერიუმები, მოსწავლეებს ეწერებათ მიმდინარე შეფასებები. შესაბამისად, **2.3.2.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. სკოლა აქტიურად იყენებს არაფორმალური განათლების აქტივობებს, საიდანაც ხდება მოსწავლეებზე მონაცემების შეგროვება, ასევე, კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, რომ შეფასება ხორციელდება მრავალფეროვან მეთოდებზე დაყრდნობით,

გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ; სიტუაციის, მოვლენის, მოსწავლის უნარისა და შესაძლებლობებისა თუ სხვა ასპექტების შესწავლისას გადამწყვეტია მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მიღება, რაც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით, რაც მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს. სკოლა გეგმავს შეფასების პირველ მოდელზე დარჩეს, სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ მოახდინოს მოსწავლეთა დიაგნოსტირება შეფასების მეორე ინსტრუმენტით, რაც ,,საკლასო წერის" სახელწოდებითაა ცნობილი' კათედრის წევრებთან ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა, რომ დიაგნოსტირებას ჩაატარებენ წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ისეთ დროს, მაგალითად აპრილში, რომ მოასწრონ მოსწავლეთა თუ კლასის პროფილების დადგენისას გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა. შესაბამისად, **2.3.2.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4.წარმოდგენილი კურიკულუმები მოიაზრებს შეფასება განხორციელდეს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს არნიშნეს,რომ მომავალში მოსწავლეზე დაკვირვება წარიმართება მულტიფაქტორული მიდგომის გათვალისწინებით, სხვადასხვა გარემოებებში, რის საშუალებასაც იძლევა დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და არაფორმალური აქტივობები. ასევე,გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ გეგმავენ კურიკულუმებში ისეთი სისტემის შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს არსებული სიტუაციის დანახვას მრავალმხრივი კონტექსტიდან და მიზნობრივ შეფასებას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ,სკოლას აქვს გამოცდილება შეფასება მოახდინოს სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, კერძოდ, მასწავლებელები და დამრიგებელი აანალიზებენ მოსწავლის აკადემიურ და ფუნქციურ უნარებს და აკვირდებიან რა გარემო ფაქტორები (ოჯახი, ტრადიცია, თემი, ფასეულობები და სხვა) ახდენს გავლენას შედეგზე.**2.3.2.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საგნობრივი კურიკულუმები და მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალება*
- *ერთწლიანი სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები*
- *პროექტის გეგმა*

შეფასება:
o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია
2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის აქვს შექმნილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, აღნიშნულ დოკუმენტს აკლია კონკრეტიკა,არ არის მკაფიოდ გადმოცემული კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, ასევე მონიტორინგი და შეფასების შედეგები,თუმცა სკოლას გააჩნია მზაობა, რომ არსებული კურიკულუმის ანალიზის, მასწავლებლების ურთიერთდასწრებისა და თანამშრომლობის საფუძველზე შეიმუშავონ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტი,თუ როგორ გამოიყენონ დაგროვილი გამოცდილება სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

რჩევა:სკოლამ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში მკაფიოდ უნდა გაწეროს კურიკულუმის განვითარების,მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტი,მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. **2.4.1.1.ინდიკატორთან შესაბამისია.**

2. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლები საგნობრივ კათედრებზე შეხვედრისას ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, რაც აისახება ახალ კურიკულუმში: თემების განაწილება,საკითხების შერჩევა, დროის დათმობა, კომპლექსური დავალებების შესაბამისობა და სხვა. ამ მიმართულებით სკოლა გეგმავს კურიკულუმების განხორციელების პროცესში დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნას, სადაც გათვალისწინებული იქნება რევიზიის პროცესში გამოვლენილი ხარვეზები, საჭიროებები,პრობლემების გადაჭრის გზები.**2.4.1.2.ინდიკატორთან შესაბამისია.**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საშუალო საფეხურის კურიკულუმები*
- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა*
- *ვერიფიკაციის მექანიზმი*

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სოფიო გაგოშაძე ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

თამარი ოღლიშვილი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

იოსები ლაზარაშვილი საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

ნინო ბლუაშვილი უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;

მადონა ბობოხიძე ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;

მარინე ჩიტაძე ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;

მარინე კვარაცხელია სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;

მზია დადვანი მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;

თამარ ზედგენიძე სპორტის საგნობრივი ექსპერტი;

ხათუნა ბენდელიანი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი,

01.12.2023.
თარიღი